ალია

N29/3345/ 18-22 მარტი 2016 წ · ფასი 70 თეთრი

ორშაბათი · ოთხშაბათი · ხუთშაბათი · პარასკევი — ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

ბაგა-ბაღებში უვარგისი ხორცის შემდეგ, „მუტანტი“ კარტოფილის შეტანაც დაუწყიათ...



9

# რის გამო დასცინიან უცხოეთში პრეზიდენტ მარგველაშვილს და რისი დათმობა მოუწევს საქართველოს რუსეთთან?



5

## ზაზა ხატიაშვილი: „ამ პარლამენტშიც თუ არ იციან, რა განცხადებები უნდა აკეთონ, ენას კბილი დააჭირონ“!



რამ გაამწარა და რატომ „დაეტაკა“ ვენეციის კომისია თეა წულუკიანს 7

# სად და ვის დაუპირისპირდებიან აქციაშეწყვეტილი სტუდენტები, თუკი მათთვის მიცემული პირობა დაირღვევა?



11

„ვიკილიკსი“ საკაუშვილზე ჰილარი კლინტონის მიმოწერას აქვეყნებს



2

რატომ მოგვთხოვა ევროპ-მ რუსეთის დელეგაციისთვის გამონაკლისის დაშვება? რატომ „დაიკიდა“ ხელისუფლებამ ვენეციის კომისიის რეკომენდაციები?



3

მეუფე პრეზიდენტის ტერმინოლოგიას საროსკიპოს მენეჯერის ლაპარაკს ადარებს



2

ვინ არის ეროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტი და რა რჩევებს აძლევენ მას ექსპერტები ლარის გასაძლიერებლად



4

რატომ შეიძინა „საქართველოს ბანკმა“ „ჯი-პი-სის“ აფთიაქები და რა შეიცვლება მოსახლეობისთვის?

საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA

ჯიპისი GPC

6

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

ძაღლების და კატების პატრონებს შეზღუდვები უწესდებათ



13

„აუცილებლად წავიკითხავ „ვეფხისტყაოსანს“ — რა იცის საქართველოზე შოთა რუსთაველის ორეულმა ბრიტანელმა მოდელმა



10

რამდენად ბედნიერია საქართველო — ქვეყნების რეიტინგი



10

სტალინის შვილიშვილი დახეული კოლგოტებითა და სათამაშო ავტომატით გამოჩნდა



8

## მეუფე პრეზიდენტის ტერმინოლოგიას საროსკიპოს მენეჯერის ლაპარაკს ადარებს



სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსი მეუფე სპირიდონი გიორგი მარგველაშვილს გაკეთებული განცხადებისთვის აკრიტიკებს:

– თქვენ, ალბათ, ნახეთ, გავრცელდა კადრები, ერთ-ერთი დიდი ყოფილი თანამდებობის პირისთვის რაღაც მრუშობის კადრები გადაუღიათ და ეს გავრცელდა სოციალურ ქსელებში. როგორც ჩანს, ბევრმა ნახა და ამაზე გაკეთდა შეფასებები. რა თქმა უნდა, ღმერთმა მიუტევოს იმ ადამიანს, ვინც ეს მრუშობა ჩაიდინა და მან დიდი სინანული უნდა აჩვენოს, იმიტომ, რომ ღვთის წინაშე არ არის კარები არასდროს დაკეტილი, მან აუცილებლად უნდა შეინანოს, რომ ღმერთმა ის ცოდვა აპატიოს, იმიტომ, რომ წერია, „ქორწილი არის წმიდა და საწოლი შეუგინებელი“ – ოჯახის ღალატი ეს არის უმძიმესი ცოდვა, რომელზეც ძალიან მძიმე ეპიტემიას იყენებს ეკლესია და კაცის კვლას უთანაბრებს. რა თქმა უნდა, ამ დედაკაცმა ეს უნდა შეინანოს, ღმერთმა მიუტევოს მას ეს და მისცეს სინანული, რომ ეს შეინანოს. მაგრამ როგორ შეფასდა ეს ყველაფერი? სამწუხაროდ, მასმედიაში, ხელისუფლების წევრის გამოსვლაში, ზოგიერთი პარლამენტარის გამოსვლაში სრულიად მოულოდნელი შეფასებები იყო. ისეთი, რომ კიდევ უფრო დიდი შიში დანერგა ჩვენში, დავინახეთ, რომ ჩვენი ერი გაცილებით მძიმედ არის ცოდვებში ჩაძირული... სახელმწიფოს მეთაური გამოდის ტელევიზორში და ამ ფაქტს ასეთ შეფასებას აძლევს, – იცით, რაო?! რა არის ამაში ცუდი, მე ძალიან მდიდარი სექსი მქონდაო, მაქვს და მექნებაო. არაფრით არ არის ეს სახელმწიფოს მეთაურის ლაპარაკი. ეს არის საროსკიპოს, ანუ ბორდელის მენეჯერის, სუტენიორის ლაპარაკი და მისი ტერმინოლოგია. ასეთ საშინელ და უბედურ დღეში ვართ ჩვენ – ასეთ ადამიანებს დღეს სახელმწიფოში თანამდებობები უჭირავთ. ხალხი უნდა გავაფრთხილოთ, რომ არ მოუსმინონ ასეთ სიბილწეს. გინდა პარლამენტარი იყოს, გინდა სახელმწიფოს მეთაური. კაცი, რომელიც ოჯახს ღალატობს, დედაკაცი, რომელიც ოჯახს ღალატობს, ორ შაურად გაყიდის თავის ქვეყანას. თავისი ოჯახი არ უყვარს და ქვეყანას შეიყვარებს?! სინანული კი არა, ტრაბახობს, ამაშია მთელი უბედურება. და სხვასაც მოუწოდებს, ასეთები იყავითო. უბედური! გარყვნილი! – ბრძანა ქადაგებისას მეუფე სპირიდონმა. (პირველი რადიო)

# „ვიკილიკსი“ სააკაშვილზე ჰილარი კლინტონის მიმოწერას აქვეყნებს






საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაცია „ვიკილიკსი“ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის ელექტრონული მიმოწერის არქივს აქვეყნებს, სადაც საქართველოსა და მიხეილ სააკაშვილზეა საუბარი.

„ვიკილიკსმა“ ელექტრონული მიმოწერისა და მასზე მიმაგრებული დოკუმენტების საძიებო არქივი საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნა, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტსა და ჰილარი კლინტონს შორის ელექტრონულ სერვერზე არსებულ 30 322 შეტყობინებას მოიცავს.

50 547-გვერდიანი დოკუმენტი 2010 წლის 30 ივნისიდან 2014 წლის 12 აგვისტომდე პერიოდს მოიცავს. მათგან 7 570 შეტყობინება ჰილარი კლინტონის მიერაა გაგზავნილი.

ერთ-ერთი დოკუმენტით, რომელიც 2009 წლის 19 სექტემბრით თარიღდება, ირკვევა, რომ ჰილარი კლინტონის დღის წესრიგში მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრა ადგილობრივი დროით, 14:45 საათზე იყო ჩანიშნული. 2010 წლის 23 ოქტომბრით დათარიღებულ მიმოწერაში კი, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების განმუხტვის შესაძლებლობას ეხება, აღნიშნულია, რომ „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანება იგეგმება, რომელიც პრეზიდენტმა შესაძლოა, იოკოჰამაში, პირისპირ შეხვედრის ფორმატში (ნოემბერი 14), პირველ რიგში, მედვედევთან, ხოლო შემდეგ სააკაშვილთან (ნოემბერი 20), ლისაბონში განიხილოს“.

„ვიკილიკსის“ ინფორმაციით, 2011 წლის 14 ივნისით დათარიღებული ელექტრონული მიმოწერა, რომელიც ლორენ ჯილოტსა და ჰილარი კლინტონს შორის შედგა, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და ჰილარი კლინტონს შორის სატელეფონო საუბრის ორგანიზებას ეხება.

„სააკაშვილმა სატელეფონო ზარი ხვალ, 07:30 საათზე დაადასტურა. საიდან ისაუბრებთ – საკუთარი სახლიდან თუ **blackberry**-დან? გარდა ამისა, გავიგეთ, რომ ლავროვი ხვალ მიემგზავრება და ჯერ არ გარკვეულა, შეძლებს თუ არა ხვალ დილით საუბარს. ვცდილობთ, საუბარი ორივე მხარესთან შედგეს – ნებისმიერი ცვლილების შესახებ შეგატყობინებთ“, – წერს ლორენ ჯილოტი აშშ-ის მაშინდელ სახელმწიფო მდივანს.

2012 წლის 29 მაისის მიმოწერაში, რომელიც ჯეიკ სალივანსა და კლინტონს შორის შედგა, სახელმწიფო მდივანი რუსეთის პოლიტიკურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორ სერგეი მარკოვთან შეხვედრის დეტალებს იხსენებს.

„სერგეი მარკოვი შეხვედრაზე ყავარჯნებითა და მარცხენა ფეხზე თაბაშირით მოვიდა – იანვარში მომხდარი მოტოციკლის ავარიაში მუხლი მოიტეხა. ვისაუბრეთ რუსული ტელევიზიის სტუდიის მწვანე გაყინულ ოთახში. „უკვე დროა, შუალედში ამერიკელები შეგვხვდნენ, რაც ნიშნავს: საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მოშორებას, რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით მათი სამხედრო სტრატეგიის განვითარებას და ლატვიასა და ესტონეთში ანტირუსული „რეჟიმების“ შეცვლას. როგორია? მკითხა მან შეხვედრაზე“, – წერს ჰილარი კლინტონი ჯეიკ სალივანს.

შემდეგი მიმოწერა, რომელიც 2012 წლის 2 სექტემბრითაა დათარიღებული, საქართველოში მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებს ეხება. მიმოწერა ამჯერად, კლინტონის მრჩეველ სიდნი ბლუმენტალთან შედგა.

„ახლახან ვესაუბრე ჯონ კორნბლუმს, რომელიც საქართველოში სააკაშვილთან ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკური პარტიისთვის მუშაობს, რომელსაც „ქართული ოცნება“ ჰქვია. საქართველოში არჩევნები პირველ ოქტომბერს გაიმართება. კორნბლუმი ვარაუდობს, რომ პოლიტიკურად შეჭირვებული სააკაშვილი შესაძლოა, დამარცხდეს. კომენტარის გარეშე გიგზავნი „ქართული ოცნების“ ლიდერის წერილს (რომელიც კორნბლუმმა გამომიგზავნა) და სტატიას „ეკონომისტიდან“, – წერს ჰილარი კლინტონი საკუთარ მრჩეველს.

ამავე მიმოწერიდან ირკვევა, რომ საპარლამენტო არჩევნების მოახლოებისას „ქართულმა ოცნებამ“ ოპოზიციის ორგანიზება შეძლო, რომელიც საქართველოში მანამდე არასდროს მომხდარა.

„მოსახლეობა სააკაშვილზე უკიდურესად გაბრაზებულია, თუმცა წარსულში ის ყოველთვის მანევრირებდა ოპოზიციასთან. ახლა მას ეს არ შეუძლია. აშშ-ში ჩვენი მოსაზრება არ არის, რომ საუკეთესოები ვართ (მიუხედავად იმისა, რომ ვართ), თუმცა „ქართულმა ოცნებამ“ ახალი დინამიკა დაიწყო, რომელმაც სააკაშვილი ზეწოლის ქვეშ მოაქცია და მას ავტორიტარულ მმართველობაში ადანაშაულებს. ეს ყველაფერი კი, პოლიტიკური კლიმატის „გახურებას“ იწვევს.

აშშ-სთვის საუკეთესო და ერთადერთი გზა ისაა, რომ სააკაშვილს სახალხოდ უთხრას (პირადი გაფრთხილებების იგნორირებას ახდენს), მიდგომა შეცვალოს. გარკვეულ შემთხვევებში, საქართველოს მთავრობას უკან მიუბრუნდა ოპოზიციასა და დემოკრატიაზე განხორციელებული თავდასხმები, როდესაც შეერთებული შტატების მთავრობისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან საჯარო კრიტიკა მიიღო. თუმცა, ზოგადად, დასავლელი ლიდერების არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, რომ ქვეყანაში თავისუფალი არჩევნები ჩატარებულიყო, პრეზიდენტი სააკაშვილი არჩევნების საერთაშორისო სტანდარტების იგნორირებას ახდენდა; სუსტდება შესაძლებლობა, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნები თავისუფალი, სამართლიანი და ჭეშმარიტად კონკურენტუნარიანი იქნება.

სამწუხაროდ, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ყველა შესაძლო მეთოდს იყენებს, რათა საარჩევნო პროცესს ძირი გამოუთხაროს. მთავრობამ ოპოზიციის მიმართ აგრესიული პოლიტიკა წამოიწყო, მათ შორის, „ქართული ოცნებისა“ და მისი მხარდამჭერების მიმართ 125 მილიონი აშშ დოლარზე მეტი უკანონო ჯარიმების დაკისრებით; დაპატიმრების, დაკითხვისა და ოპოზიციის ლიდერების განთავისუფლებით; დამოუკიდებელი მედიისა და ამომრჩევლამდე ოპოზიციის ხელმისაწვდომობის ჩახშობით;

საქართველო, როგორც რუსეთის წინააღმდეგ კავკასიის რეგიონში სამხედრო საყრდენი, სიტუაციას აუარესებს. საქართველოს პრეზიდენტი „ცივი ომის“ რიტორიკას, არც საქართველოს და არც დასავლეთის ინტერესების გათვალისწინებით არ იყენებს, რაც საქართველოსთან უსაფრთხოების სფეროში დასავლეთის ჯანსაღ ურთიერთობას თითქმის შეუძლებელს ხდის. ჩვენ აღნიშნულ რეგიონში ბევრად ფართო ინტერესები გვაქვს, რომელიც რუსეთთან თანამშრომლობას მოითხოვს – არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად რთული შეიძლება ჩანდეს ეს ყველაფერი“, – აღნიშნულია მიმოწერაში.

„ვიკილიკსის“ მიერ გავრცელებული ერთ-ერთი მიმოწერა, რომელიც 2012 წლის 2 ოქტომბრით თარიღდება, ჰილარი კლინტონსა და ჰუმა აბედინს შორის საუბარს მოიცავს, საიდანაც ირკვევა, რომ მიხეილ სააკაშვილმა საპარლამენტო არჩევნებში დამარცხება აღიარა.

„არჩევნების პირველადი შედეგებიდან ირკვევა, რომ „ქართულმა ოცნებამ“, რომელსაც მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი ხელმძღვანელობს, ამომრჩეველთა უმრავლესობის მხარდაჭერა მოიპოვა და სააკაშვილის ცხრაწლიანი მმართველობა დაასრულა“, – აღნიშნულია კლინტონისა და ჰუმა აბედინის მიმოწერაში.

„ვიკილიკსმა“ ელექტრონული მიმოწერისა და მასზე მიმაგრებული დოკუმენტების არქივი საკუთარ ვებგვერდზე 16 მარტს გამოაქვეყნა. ელექტრონული მიმოწერის არქივი იმ ათასობით დოკუმენტს შორისაა, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ინფორმაციის თავისუფლების აქტის მოთხოვნის შედეგად გაასაჯაროვა. მათგან ბოლო დოკუმენტი მიმდინარე წლის 29 თებერვალს გასაჯაროვდა. (ინფო9)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## ფეხბურთელის დაჭრის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

შს სამინისტროს ინფორმაციით, ხულიგნობის ბრალდებით დაკავებულია ერთი პირი (239-ე მუხლის I და III ნაწილებით). გამოძიება გრძელდება 118-ე მუხლით, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმედ დაზიანებას გულისხმობს.

თბილისში „შატილის“ სტადიონზე გამართული შეხვედრის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე „მარკ სტარსსა“ და გურჯაანის „ალაზანს" შორის მიმდინარე თამაშისას მოედანზე შეჭრილ გულშემატკივრებსა და ორივე გუნდის ფეხბურთელებს შორის ჩხუბი დაიწყო, რის გამოც თამაშის გაგრძელება შეუძლებელი გახდა.

როგორც ირკვევა, ჩხუბი მოედნის გარეთაც გაგრძელდა.

ინციდენტის შედეგად ორი ფეხბურთელი „სპიცით“ დაიჭრა.

რაც შეეხება დაჭრილთა ჯანმრთელობას, ისინი საავადმყოფოდან უკვე გაწერეს. (ნიუპოსტი)

## დილერები მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტის შეზღუდვაზე მიცემული ერთწლიანი ვადის მინიმუმ 2 წლამდე გაზრდას მოითხოვენ

მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტიორი კომპანიები იმპორტის შეზღუდვაზე მათთვის მიცემული ერთწლიანი ვადის მინიმუმ 2 წლამდე გაზრდას მოითხოვენ.

როგორც ჯეი.ეფ.აი.სი-ს დირექტორმა ზვიად ზიზიაშვილმა განაცხადა, 1 წელი არ არის საკმარისი ვადა, რომ აღნიშნულ საქმიანობაში ჩადებული ინვესტიციების ამოღება მოხდეს.

– თავდაპირველად იყო შეხვედრა ბიზნესომბუდსმენთან და შს სამინისტროს წარმომადგენლებთან. სამინისტროს შემოთავაზება იყო ერთწლიან ვადაზე. ჩვენთვის ერთწლიანი ვადა არანაირ ამინდს არ ცვლის ბაზარზე და ეს საკმარისი არ არის. შეხვედრაზე ითქვა, რომ სანამ სამინისტრო საკომიტეტო მოსმენაზე გაიტანდა კანონპროექტს, კიდევ მოხდებოდა ჩვენთან შეხვედრა, თუმცა ჯერჯერობით ეს შეხვედრა არ მომხდარა, – განაცხადა ზვიად ზიზიაშვილმა.

მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტიორი კომპანიების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ 1-წლიანი ვადის 2 წლამდე გახანგრძლივების მოთხოვნით შაბათს მარჯვენასაჭიანი ავტომობილების საპროტესტო აქცია იგეგმება, რომელიც დაიწყება დიდი დილმიდან და დასრულდება შს სამინისტროსთან. (bpn.ge)

## სააკაშვილის აღიარება – ვის და რა მიზეზით სვამდა ექსპრეზიდენტი ციხეში

სააკაშვილმა უკრაინაში სიტყვით გამოსვლისას საზოგადოებას გაუმხილა, ვის და რატომ სვამდნენ საქართველოში ციხეში და მერე ათავისუფლებდნენ და როგორ ეხმარებოდა ეს ეკონომიკას.

– მოვედით ხელისუფლებაში და ფული საერთოდ არ გვაქვს, რა ვქნათ? მაგალითად, მე მჭირდებოდა, სასწრაფოდ ამეშენებინა გზა აეროპორტში, ვინაიდან გვინდოდა ტურიზმის განვითარება. აეროპორტიდან კი მხოლოდ ტრაქტორით ან ტანკით შეიძლებოდა ქალაქამდე მისვლა. ჩვენ დავაკავეთ ის ადამიანი, ვინც გზების დაგებაზე იყო პასუხისმგებელი ბოლო 20 წლის განმავლობაში. მან მაშინვე გადაიხადა, მგონი, 15 თუ 20 მილიონი დოლარი ექვსი საათის განმავლობაში და ჩვენ ორი დღის შემდეგ დავიწყეთ გზის დაგება და ერთ თვეში მოვრჩით. ან თუნდაც, ჩვენ არ გვქონდა სარკინიგზო სტრუქტურა, ყველა ვაგონი გაყიდული იყო. ჩვენ ციხეში ჩავსვით რკინიგზის მმართველი. მან ერთი კაცისთვის განკუთვნილ კამერაში 2-3 დღის ფიქრის შემდეგ საკმარისი თანხა მოგვცა, რათა შეგვეკეთებინა ვაგონები უკრაინიდან. თუ ამ პრეცედენტს უკრაინელ კორუფციონერებზეც გამოვიყენებთ, მაგრად დავიწყებთ ცხოვრებას და მე გარწმუნებთ, რომ ჩვენ ყველა გავათავისუფლეთ, ვინაიდან ფული გადაიხადეს, – ამბობს სააკაშვილი. (palitratv.ge)

## ლევან ბერძენიშვილი: ოკუპაციის კანონი გაუქმდება, როდესაც აღარ იქნება ოკუპაცია

– ოკუპაციის კანონი გაუქმდება, როდესაც აღარ იქნება ოკუპაცია, – ამის შესახებ პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბერძენიშვილმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინის განცხადების კომენტირებისას განაცხადა.

– ოკუპაციის კანონი გაუქმდება, როდესაც აღარ იქნება ოკუპაცია. კარასინის განცხადებებზე შეიძლება ბევრი ვისაუბროთ, თვით საქართველოს არსებობაც შეიძლება ბევრს არ მოსწონდეს, მაგრამ ჩვენ გვაქვს ჩვენი გზა, ჩვენი არჩევანი, – აცხადებს ლევან ბერძენიშვილი. (kvira.ge)

## დავით უსუფაშვილი — რუსეთი უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ

– რუსეთი უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ – სანქციები უმნიშვნელოვანესია და რაც უფრო ყოვლისმომცველი იქნება ისინი, მით უკეთესი, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი **Defence Matters**-თან ინტერვიუში აცხადებს.

– კრემლთან ნებისმიერი სახით კომუნიკაციისას აუცილებელია, საერთაშორისო საზოგადოებამ გაგზავნოს მკაფიო მესიჯი, რა არის ცუდი ქცევა და რა – კარგი. ამის ნათელი მაგალითია ტერორიზმი. როდესაც საქმე ასეთ საერთო და დიდ პრობლემას ეხება, რუსეთს არ უნდა ვუთხრათ: „ეს შენი საქმე არ არის“. ამავდროულად, რუსეთს არ უნდა მივცეთ უფლება, აკეთოს ის, რასაც სირიაში აკეთებს. „ისლამური სახელმწიფოს“ საწინააღმდეგო დასავლური კოალიციის მიწვევის გარეშე კონფლიქტში ჩართვით რუსებმა საკუთარი, განცალკევებული თამაში წამოიწყეს, – აცხადებს დავით უსუფაშვილი.

კითხვაზე, ხომ არ ფიქრობს, რომ რუსეთმა შეძლო, ყურადღება საქართველოდან უკრაინასა და სირიაზე გადაეტანა, უსუფაშვილი განმარტავს, რომ, ერთი მხრივ, საქართველოზე რუსეთის აშკარა ზეწოლა შემცირდა, რადგან ის სხვაგან, უკრაინასა თუ სირიაში გაიზარდა, მაგრამ რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ განხორციელებულ პოლიტიკაში რაიმე ცვლილების დანახვა რთულია.

– მათ სტრატეგიულ მიმართულებებსა და მიზნებში თითქმის არაფერი შეცვლილა. რუსეთთან დაძაბულობის შემცირება მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების მიერ გაწეული ძალისხმევის დამსახურებაა. მიუხედავად ამისა, ოკუპაცია ძალაშია, საფრთხე ისევ არსებობს. რუსეთს ვერ ვატყობთ, რომ ის აპირებს დანარჩენი ცივილიზებული მსოფლიოს მსგავსად აღიაროს საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენმა ქვეყანამ წარმატებას მიაღწიოს. ჩვენ აღარ გვსურს ახალი ომი ჩვენს ტერიტორიაზე. ჩვენ გვინდა ვიყოთ პრობლემების მოგვარების პროცესის ნაწილი და არა მათი წარმოშობის მიზეზი, – აცხადებს დავით უსუფაშვილი. (ინტერპრესნიუსი)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33





# რატომ მოგვთხოვა ეუთო-მ რუსეთის დელეგაციისთვის გამონაკლისის დაშვება? რატომ „დაიკიდა“ ხელისუფლებამ ვენეციის კომისიის რეკომენდაციები?

**„ალიას“ პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი ესაუბრება:**

**— პარლამენტში ფიქრობენ, რომ ოკუპაციის კანონში ცვლილებები შეიტანონ, რათა რუსეთის წარმომადგენლებს თბილისში დაგეგმილ ეუთოს სხდომაზე დასწრების პრობლემა არ შეექმნათ. რამდენად სწორია ასეთი გამონაკლისების დაშვება და თუ დავშვებენ, მაშინ რა აზრი აქვს საერთოდ ამ კანონის არსებობას?**

– აქ ცოტა უფრო სიღრმისეულად უნდა შევხედოთ ამ არაფერი მოაქვს. რაც შეეხება კანონს, აქ საუბარია იმაზე, აქვს თუ არა უფლება რუსეთის დელეგაციას, იმ კანონიდან გამომდინარე, რომელიც სააკაშვილმა მიიღო, მონაწილეობა მიიღოს ეუთოს ამ კონფერენციაში თბილისში, თუკი მათ ოდესმე გადაკვეთილი აქვთ თბილისთან შეთანხმების გარეშე აფხაზეთის ან ცხინვალის რეგიონის საზღვარი? საქმე რა არის, იცით? ეს კანონი არის ყოვლად მოუმზადებელი, ქარაფშუტული და რომ იტყვიან, თათარიახნად მიღებული, სააკაშვილის ხუშტურებიდან გამომდინარე. საქართველომ ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა მაშინ, როდესაც ეს კანონი ასეთი ბრიყვული სახით მიიღო.

ამ სიტუაციაში საქართველო ჩაყენებულია ჩიხურ მდგომარეობაში. სააკაშვილის ფუქსავატურმა და ქარაფშუტულმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ის, რაც გამოიწვია, მაგრამ ამ ხელისუფლებამ ვერაფერი მოახერხა იმის შიშით, რომ დღევანდელმა ოპოზიციამ, არ დატუქსოს არსებული ხელისუფლება. ამიტომ დღევანდელმა ხელისუფლებამ ჩაისვარა. საქართველოს ახალ მთავრობას, უპირველესად, ეს ბრიყვული კანონი უნდა გაეუქმებინა. იცით, ეს კანონი რას იწვევს? სეპარატიზმს, უკვე არსებულს, რეალურს, უკვე გამოყოფილ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ყოველგვარი თბილისის გარეშე ჩასვლას, იქ საქმის კეთებას და ასე შემდეგ. 32 საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, მათ მიაფურთხეს საქართველოს და ისე მუშაობენ იქ. ახლა ვიყვიროთ ჩვენ, როგორ შეიძლება მათი იქ ყოფნა თბილისის გარეშე? შე მამაცხონებულო, ნუ შექმნი ისეთ იდიოტურ კანონს, რომელიც შენ თვითონ მოგაქცევს ჩიხში. მაგრამ ქართველები დიდოსტატები ვართ პრობლემების შექმნაში, რომელსაც შემდეგ ვერ ვლახავთ. ამ სიტუაციაში გამოსავალს იმაში ვხედავ, რომ საქართველოს პარლამენტმა დღესვე უნდა გააუქმოს ეს იდიოტური კანონი, არაფერს არ აძლევს ის საქართველოს. ეს არის, უბრალოდ, სირაქლემის პოზაში ყოფნა. საქართველოს პოლიტიკა თავიდან ბოლომდე ბრიყვულია, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკაში. მე საერთოდ ისიც მიკვირს, რატომ გაოცდა საქართველოს ხელისუფლება და რატომ იქაფებენ პირს იმასთან დაკავშირებით, რაც გრიგორი კარასინმა განაცხადა. მას ტრაგიკული არაფერი უთქვამს, ელემენტარული თქვა, – ყველაფერს აქვს საზღვარი, გინებას, ქებას და ასე შემდეგ და ნუ შეეცდებით, მოთმინებიდან გამოგვიყვანოთო. არც ერთი ბირთვული, მით უმეტეს, ზესახელმწიფო, როგორიც რუსეთია – არ ვენეციის კომისია. ეს კომისია იძლევა რეკომენდაციებს, შენ შეგიძლია, ეს შეასრულო, ან არ შეასრულო. ქართველმა პოლიტიკოსებმა, განსაკუთრებით ხელისუფლებიდან, იციან, რომ ამ რეკომენდაციების შესრულება სავალდებულო არ არის, ამიტომ ცდილობენ, როგორმე თავი აარიდონ ამას.

**— რეკომენდაციები ერთია, თუმცა შიდაპოლიტიკური ვითარება ხომ შეიძლება დაიძაბოს, თუ ხელისუფლება საარჩევნო კოდექსს არ შეცვლის? არასაპარლამენტო ოპოზიცია ადგება და ქუჩაში გამოვა, შეიძლება მათ ამ „გადამგდები“ ხელისუფლებით უკმაყოფილო მოსახლეობაც შეუერთდეს და ამას რა მოყვება, არავინ იცის...**

– არასაპარლამენტო ოპოზიცია შეიძლება გამოვიდეს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს არასაპარლამენტო ოპოზიცია ისეთი არ არის, როგორიც უნდა იყოს. ვთქვათ, გამოვიდა ბაჩუკი ქარდავა, მისი არსებობის შესახებ შეიძლება თქვენ კი გაგიგიათ, მაგრამ მისი „ფუნდამენტური“ იდეების შესახებ გსმენიათ რამე? ასე რომ ჩამოვთვალოთ, არის დავითაია, „ევროპელი დემოკრატების“ თუ რაღაცის ხელმძღვანელი და კიდევ ბევრი... საერთოდ, ქვეყანაში, სადაც ყანწისა და თამადის კულტი უმაღლეს დონეზეა ასული, ქართველი რომ იტყვის, ევროპული პარტია ვარო, ეს იმდენად სასაცილოა... ერთი სიტყვით, ასეთი ადამიანები ხალხს გარეთ ვერ გამოიყვანენ, ვერც ნათელაშვილი გამოიყვანს ხალხს, არ აქვთ მათ ამის რესურსი, რადგან საზოგადოება არც ისეთი ბრიყვია, როგორც ეს ქუჩაში დარჩენილ პარტიებსა და თუნდაც, იმ პარტიებს ჰგონიათ, რომლებიც პარლამენტში არიან. ეს ძალიან კარგად იცის ხელისუფლებამ. ამიტომ რაც არ უნდა იჭიჭყინონ გარეთ მყოფმა პარტიებმა, იქნებიან ესენი მემარჯვენეები, მემარცხენეები თუ სხვა – ყველაზე იმდენი კომპრომატი ითქვა ოფიციალურად, რომ არავის აინტერესებს საერთოდ მათ გვერდით დგომა. ამდენად, ისინი ვერ შექმნიან ვერავითარ ამინდს და აქედან გამომდინარე, ხელისუფლება აკეთებს იმას, რაც თვითონ სურს.

საკითხს. წარმოვიდგინოთ ასეთი რამ: ნებისმიერ ორგანიზაციას, მათ შორის ეუთოს, გაეროს, რომ არ ჰყავდეს დონორები, ანუ საწევროების გადამხდელები, ეს ორგანიზაციები ვერ იარსებებდნენ. ვინაიდან საბჭოთა კავშირი იყო ერთ-ერთი პირველი ინიციატორი ამ ორგანიზაციის შექმნისა, დღევანდელი რუსეთი იხდის ამ ორგანიზაციის საწევროს ლომის წილს. ეს ყველაფერი რატომ ვახსენე, იცით? როდესაც ეუთოს კონფერენცია ტარდება, მასში აუცილებლად არის გათვალისწინებული დღევანდელი რუსეთის წარმომადგენლობა. თუ ამას ამ კუთხით შევხედავთ, მაშინ საქართველოში, სადაც უნდა ჩატარდეს ეს გასვლითი კონფერენცია, საჭიროა რუსეთის დელეგაციის ყოფნაც, ამ დელეგაციის გარეშე კონფერენციის ჩატარებას აზრი არ აქვს. თუმცა გაოცებას ვარ, რატომ მიიღო ეუთომ საქართველოში ასეთი კონფერენციის ჩატარების გადაწყვეტილება? ეუთომ ხომ ძალიან კარგად იცის, რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული დაძაბულობა? ამიტომ მას ეს სადმე სხვაგან უნდა ჩაეტარებინა.

**— რას დაარქმევთ ეუთოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას?**

– ეს არის ეუთოს აპარატის ძალიან დიდი შეცდომა, მაგრამ მე ეს დღეს არ მიკვირს, რადგან ეუთო, ევროკავშირი, ევროსაბჭო, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გაალიზიანოს რუსეთი, დაუპირისპირდეს მას და ასე შემდეგ, რასაც კარგი აიტანს ასეთ შეურაცხყოფებს არშემდგარი, ჭიაღუა ქვეყნის მხრიდან.

**— ვენეციის კომისიის მოთხოვნების მიუხედავად ხელისუფლება საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანას, როგორც ჩანს არ აპირებს. არა და ოპოზიციაში ყოფნისას მათი მოთხოვნაც იგივე იყო. ინტერპარტიული ჯგუფი აცხადებს, რომ წლევანდელი არჩევნები არალეგიტიმურად ჩაითვლება. ისინი არც ხალხმრავალ აქციებს გამორიცხავენ, რასაც შეიძლება ქაოსი მოყვეს. რატომ ჯიუტობს ხელისუფლება, არჩევნების მოგების იმედი არ აქვს?**

– ერთია, როდესაც შენ ხარ ოპოზიციაში და ებრძვი ხელისუფლებას და სულ სხვა განზომილებაა, როდესაც შენ უკვე ხელისუფლებაში ხარ და ზემოდან უყურებ ოპოზიციას. როდესაც ადამიანები, რომლებიც დღეს „ქართული ოცნების“ კოალიციაში არიან, იყვნენ ოპოზიციაში სამი წლის წინათ, ასრულებდნენ იმას, რაც უნდა შეესრულებინა ოპოზიციას, ანუ ხელისუფლება გაეკრიტიკებინა უპირველესად იმ დარგში, რასაც საარჩევნო კოდექსი ჰქვია. საარჩევნო კოდექსი იყო, არის და მრავალი წლის განმავლობაში დარჩება აქილევსის ქუსლად საქართველოს პოლიტიკისთვის, რადგან იმისთვის, ვინც ხელისუფლებაშია, სწორედ რომ ზედგამოჭრილია ისეთი საარჩევნო კოდექსი, როგორიც დღეს გვაქვს, ეს გარანტიას აძლევს ხელისუფლებას გამარჯვებაში. აქ არ აქვს მნიშვნელობა ელიტარული ქართული პოლიტიკისთვის, რას იტყვის ოპოზიცია და ა.შ.

**ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...**

## გერმანიამ თურქეთში დიპლომატიური მისიები დახურა

პოტენციური თავდასხმების საფრთხის გამო გერმანიამ თურქეთში დიპლომატიური მისიები დროებით დახურა.

როგორც გერმანული გამოცემა „დოიჩე ველე“ წერს, დაიხურა გერმანიის საელჩო ანკარაში, გერმანიის გენერალური საკონსულო სტამბულში და ანკარაში მდებარე გერმანული სკოლა.

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოცემას განუმარტა, რომ არსებობს ინფორმაცია პოტენციური საფრთხეების შესახებ.

15 მარტს ანკარაში გერმანიის საკონსულომ გააფრთხილა თანამოქალაქეები, რომ თურქეთში ახალი ტერაქტების რისკი არსებობს და მათ სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდა. (ინტერპრესნიუსი)



## უცხოელი ვარსკვლავების კონცერტებზე ბილეთები სიმბოლურ ფასად გაიყიდება



– უცხოეთიდან ჩამოყვანილი ცნობილი არტისტების კონცერტებზე ბილეთები გაიყიდება, თუმცა სიმბოლურ ფასად, – ამის შესახებ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

როგორც მიხეილ გიორგაძემ განმარტა, ვარსკვლავების მონაწილეობით ღონისძიებები, რისთვისაც შეიძლება საქართველოში ტურისტი ჩამოვიდეს, რეგიონებში ბევრი მიზეზის გამო ვერ გაიმართება, მათ შორის, მინისტრმა ტექნიკური აღჭურვილობა დაასახელა.

– ჩვენ არ ვართ მზად, რომ მთელ ქვეყანაში ამ დონის ღონისძიებები გავმართოთ და ეს ფინანსური თვალსაზრისითაც ძალიან ძვირი იქნებოდა, მაგრამ ჩვენ აქ ვგულისხმობთ იგივე ქართველი შემსრულებლების ძალიან მაღალ ჩართულობას. ეს ყველაფერი ტურისტულად უფრო მიმზიდველ იმიჯს კიდევ უფრო გაუმაგრებს საქართველოს და როდესაც „ა“ კლასის ვარსკვლავების ჩამოყვანაზე ვსაუბრობთ, ეს კიდევ უფრო გაზრდის ჩვენი ქვეყნის ცნობადობას, რადგან ასეთ სახელებს საერთაშორისო მედიის ყურადღებაც მოჰყვება, – განაცხადა გიორგაძემ.

მისივე თქმით, სხვადასხვა არტისტის მოთხოვნიდან, თავად კონცერტის ფორმატიდან და შინაარსიდან გამომდინარე, სხვადასხვა ლოკაციები იქნება შერჩეული, თუმცა კონცერტების უმრავლესობა, ღია ცის ქვეშ გაიმართება.

კითხვაზე, უცხოელი ვარსკვლავების ჩამოყვანის გამო წინა ხელისუფლებას აკრიტიკებდნენ და როგორი იყო მაშინ მისი პოზიცია, მიხეილ გიორგაძემ აღნიშნა, რომ ასეთ ღონისძიებებთან დაკავშირებით მისი პოზიცია არ შეცვლილა და ის ყოველთვის მიიჩნევდა და მიიჩნევს, რომ ეს ნამდვილად ხელს უწყობს ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გაზრდას.

– ამ შემთხვევაში თვისობრივი განსხვავება იქნება ის, რომ დიდი საერთაშორისო ვარსკვლავების კონცერტების უმრავლესობაზე ბილეთები აუცილებლად გაიყიდება, ეს არ იქნება ღია ცის ქვეშ უფასო კონცერტები. ჩვენს ქვეყანაში უსაფრთხოების, მოწესრიგებულობის თვალსაზრისით გარკვეული სტანდარტები უნდა შევქმნათ, მაშინ როცა ვსაუბრობთ უცხოელი ტურისტების მოზიდვაზე, – განაცხადა გიორგაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## საქართველოს ხელისუფლება პოლიტიკურ თაღლითობაში ამხილეს — მამუკა კაციტაძე



ვენეციის კომისიის დასკვნასთან დაკავშირებით ინტერპარტიული ჯგუფი პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას ელოდება. ოპოზიციაში აცხადებენ, რომ ვენეციის კომისიის მიერ წარდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებას მთავრობა არ აპირებს.

– საქართველოს ხელისუფლება პოლიტიკურ თაღლითობაში ამხილეს, იმიტომ, რომ ჯერიმენდერინგის პრინციპი არის პოლიტიკური თაღლითობის ტერმინი და ვენეციის კომისიის წარმომადგენლებმა ეს ტერმინი საქართველოს საარჩევნო სისტემას მიუსადაგეს, – განაცხადა „ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარე მამუკა კაციტაძემ. (ნიუპოსტი)

## ოკუპაციის კანონის გაუქმებას არავინ აპირებს — დავით ზალკალიანი



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანმა გრიგორი კარასინის განცხადებების კომენტირებისას განაცხადა, რომ მთელმა მსოფლიომ, ცივილიზებულმა სამყარომ და მსოფლიო თანამეგობრობამ კარგად იციან, რომ საქართველომ 2012 წლიდან გადადგა ძალიან სერიოზული, კონსტრუქციული ნაბიჯები რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების მიმართულებით. მისივე განცხადებით, „ოკუპაციის კანონის" გაუქმებას არავინ აპირებს":

– მთელმა მსოფლიომ, ცივილიზებულმა სამყარომ და მსოფლიო თანამეგობრობამ კარგად იციან, რომ საქართველომ 2012 წლიდან გადადგა ძალიან სერიოზული, კონსტრუქციული ნაბიჯები რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების მიმართულებით. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვითვალისწინებთ ეუთო-ს სურვილს, პრინციპებს, რომ ღონისძიებაში, რომელიც ტარდება ეუთო-ს ეგიდით და არა საქართველოს სურვილით, მონაწილეობა მიიღოს ეუთოს წევრმა ყველა ქვეყანამ. ჩვენ ხომ არ ვიცით, ჯერ ვინ ჩამოვა საქართველოში. მჭიდრო კონტაქტში ვართ ეუთო-სთან. მთავარი ამოსავალი წერტილი იქნება, რომ ჩვენ ვითვალისწინებთ ყველა იმ პრინციპს, რომელზეც არის დაფუძნებული ეს ორგანიზაცია, – განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ. (ნიუპოსტი)

# ვინ არის ეროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტი და რა რჩევებს აძლევენ მას ექსპერტები ლარის გასაძლიერებლად

ნინო ლაზარტყავა
571 99-92-33



**გიორგი ქადაგიძე წავიდა. ლარი ნელ-ნელა მყარდება (ტფუ, ტფუ, თვალი არ ეცეს!), კობა გვენეტაძე მოვიდა...**

**გვენეტაძე ეროვნული ბანკის პრეზიდენტად უკვე დანიშნა გიორგი მარგველაშვილმა და თან ისიც განაცხადა, ეროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტი დაიცავს იმ პოზიციას, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას სჭირდებაო.**

– დღეს დავნიშნეთ ეროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტი. კობა გვენეტაძე სრულიად დემოკრატიული, ღია პროცესით შევარჩიეთ, ასევე, თანამშრომლობით კოალიციასთან. მან მოიპოვა ხმები პარლამენტში და ბოლოს პრეზიდენტობის კანდიდატად იქნა წარმოდგენილი, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

თავის მხრივ, კობა გვენეტაძემ ნდობისთვის და მხარდაჭერისთვის ყველას მადლობა გადაუხადა.



**დაიმსახურებს თუ არა თავად გვენეტაძე მადლობას, რა დონის სპეციალისტია ის, არის თუ არა „ნაციონალურ მოძრაობასთან" დაახლოებული პირი და რას საქმიანობდა ბოლო წლების განმავლობაში?**

**„ალიას" ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში, ემზარ ჯგერენაია ესაუბრა:**

– პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ კობას ფინანსურ ორგანოებში მუშაობის



გამოცდილება აქვს, მუშაობდა სავალუტო ფონდის სტრუქტურებში. ამ უკანასკნელში მუშაობა ეროვნული ბანკის პრეზიდენტისთვის ყველაზე დიდი სკოლა და გამოცდილებაა, რადგან ეს არ არის უბრალო კომერციული ბანკი. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი არის მთავრობის მრჩეველი, კარგი გაგებით და ამ კუთხით ის გამოცდილება, რომელიც კობას აქვს, საკმაოდ მნიშვნელოვანია. მინდა გითხრათ, რომ ის არის ძალიან წესიერი, წყნარი, ნაკითხი, განათლებული პიროვნება. მჯობნის მჯობნი არ დაილევა, მაგრამ კობა ერთ-ერთი გამორჩეული ადამიანია და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის სავალუტო ფონდში მუშაობდა.

**— „ნაციონალური მოძრაობის" დროს კობა გვენეტაძეს ეროვნულ ბანკში უმუშავია? გიორგი ქადაგიძე ყოველთვის მოიაზრებოდა „ნაციონალების" მიერ მხარდაჭერილად...**

– არამარტო მხარდაჭერილი, მხარდასმულიც იყო... რაც „ნაციონალური მოძრაობა" ხელისუფლებაში მოვიდა, კობამ საქართველო დატოვა და საქართველოს საზღვრებს გარეთ წავიდა, ანუ „ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის პერიოდში, კობა საქართველოში არ იყო. საერთოდ, მას პარტიული მუშაობის გამოცდილებაც არ აქვს. მინდა გითხრათ, რომ კარგად ვიცი მისი ბიოგრაფია და იმიტომ გეუბნებით ამას. ის იყო სავალუტო ფონდის წარმომადგენელი აზერბაიჯანში და შემდეგ ყაზახეთში. თუ არ ვცდები, 4-5 თვე იქნება, რაც კობა საქართველოში ჩამოვიდა.

**— რა მოლოდინები გაქვთ ეროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტის საქმიანობისგან? რას შეცვლის და რა კუთხით? მაგალითად, ქადაგიძის წასვლას ლარის გამყარება მოჰყვა, რაც ზოგს დამთხვევად მიაჩნია, ზოგი კი ლარის დევალვაციაში სწორედ ქადაგიძეს ადანაშაულებს, — მისი წასვლით ცხადი გახდა, რომ ლარის კურსის მართვა მის ხელთ იყოო.**

– მე არ ვეკუთვნი იმ ადამიანების კატეგორიას, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ეროვნულ ბანკს ჰქონდა არასწორი კურსი. კობა ბუნებით მეტად ლიბერალი კაცია, ჩემი აზრით, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ მაინც დამოუკიდებელი იქნება და მთავრობასთან კონსტრუქციული დიალოგის გარდა, სხვა თანამშრომლობა არ ექნება და გაატარებს იმ მონეტარულ პოლიტიკას, რომელსაც მოითხოვს საქართველოს ფინანსური სიმყარე. რაც შეეხება ქადაგიძის წავლის შემდეგ ლარის გამყარების პროცესს: დრომ აჩვენა, რომ ის პოლიტიკა, რომელსაც ეროვნული ბანკი ატარებდა, აბსოლუტურად სწორი იყო, ანუ სავალუტო ინტერვენციებმა არ გაამართლა, არ მოიტანა რეალური შედეგი, ტრენდად იყო ჩამოყალიბებული ლარის ვარდნა და ამას ვერ გააჩერებდა თუნდაც ნახევარი მილიარდის დახარჯვა და კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა: ის გამყარება, რაც ახლა ხდება ლარის ირგვლივ, დაკავშირებულია ფისკალურ ნაწილთან და არა მონეტარულ ნაწილთან, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემი აზრით, ლარის გამყარება უბრალოდ დამთხვევაა და არავითარი კავშირი ქადაგიძის წასვლასთან არ აქვს.

**— ეროვნული ბანკის პრეზიდენტად კობა გვენეტაძის დანიშვნა ლარის გამყარება-არგამყარების საკითხს ამ შემთხვევაში ვერ გადაწყვეტს?**

– ვერ გადაწყვეტს. ლარის გამყარება-არგამყარების საკითხს გადაწყვეტს ჩვენი ეკონომიკა და მიმდინარე ბალანსის მდგომარეობა, ეს არის ერთადერთი ჭეშმარიტი განმარტება.

**„ალიასთან" საუბარში საბანკო სფეროს ექსპერტი, ლია ელიავა პუნქტობრივად ამბობს, რა აქვს გასაკეთებელი ეროვნულ ბანკს იმისთვის, რომ არსებული სიტუაცია გამოასწოროს**

– **პირველი:** ეროვნულმა



ბანკმა უნდა დაიცვას ორგანული კანონი „ეროვნული ბანკის შესახებ", მისი ძირითადი მოთხოვნა ფასების სტაბილურობისა და ეკონომიკის ხელშეწყობის თაობაზე. ეს მოთხოვნა უნდა შეასრულოს, რადგან უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში, ეროვნული ბანკი სისტემატურად არღვევდა კანონის მოთხოვნებს და პრაქტიკულად, უგულებელყოფდა მას.

**მეორე:** ვინაიდან ეროვნულ ბანკს კონსტიტუციით ავალია ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა, მან კეთილი უნდა ინებოს, გამოიჩინოს ინიციატივა და თავისი ზედამხედველობის ქვეშ მოაქციოს მთელი საფინანსო სექტორი და არა მარტო კომერციულ ბანკებს გაუწიოს ზედამხედველობა, რითაც ხელს შეუწყობს საფინანსო სექტორის სტაბილურობას.

**მესამე:** ეროვნული ბანკის შესახებ ორგანულ კანონში წერია, რომ ლარი არის გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე. ეროვნულმა ბანკმა კეთილი უნდა ინებოს და აღკვეთოს უცხოური ვალუტის ბრუნვა ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში, განსაკუთრებით ეს ეხება სამშენებლო სექტორს, უცხოური ავტომობილებით ვაჭრობას, ანუ იმ სექტორებში, სადაც უცხოური ვალუტა ტრიალებს, ის აუცილებლად უნდა ჩანაცვლდეს ლარით და ეს ეროვნული ბანკის გასაკეთებელია, რადგან ასე უწერია კანონში.

**მეოთხე:** ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს ქვეყნის დოლარიზაციის შემცირება 70-დან 10-15 პროცენტამდე. ამის გაკეთება მას შეუძლია და 7 წლის განმავლობაში ბანკს ეს არ გაუკეთებია.

**მეხუთე:** ეროვნულმა ბანკმა უნდა შეცვალოს ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის დადგენის მეთოდოლოგია და მეთოდი, რადგან ის არის მახინჯი, არ პასუხობს ჩვენი ეკონომიკის მოთხოვნებს, მოწყვეტილია ქვეყნის ეკონომიკურ პროცესებს და არეალურია.

**მეექვსე:** ინფლაციის თარგეთირება. ვინაიდან ეროვნულმა ბანკმა თავის თავზე იკისრა 2009 წელს ინფლაციის თარგეთირება, ანუ ინფლაციის მიღწევა ერთ მაჩვენებელზე და ამ ინფლაციის თარგეთირებას ის ვერ ახორციელებდა, ეროვნულმა ბანკმა კეთილი უნდა ინებოს და ახლა მაინც უზრუნველყოს ქვეყანაში სტაბილური ინფლაციის მაჩვენებელი.

**მეშვიდე:** ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს საბანკო ზედამხედველობის ცვლილება, გამდიდრება და გამრავალფეროვნება ევროპული გამოცდილების შესაბამისად, ანუ უნდა გახადოს ზედამხედველობა უფრო მკაცრი, ადეკვატური, რომ ის ნაკლებად განსხვავდებოდეს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საბანკო ზედამხედველობისგან.

## თურქეთი ევროკავშირში გაწევრიანებისთვის მზად არ არის — ევროკომისიის პრეზიდენტი



– თურქეთი ევროკავშირში გაწევრიანებისთვის მზად არ არის, – ამის შესახებ ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟან კლოდ იუნკერმა გამოცემა Handelsblatt-თან ინტერვიუში ისაუბრა.

– ვფიქრობ, რომ ეს მომდევნი 10 წლის განმავლობაში არ მოხდება, – განაცხადა იუნკერმა.

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა კი ცოტა ხნის წინ აღნიშნა, რომ თურქეთმა ევროკავშირში გაწევრიანებისთვის გაცილებით მეტი უნდა გააკეთოს. (ნიუპოსტი)

## ცხრა ბავშვს თქვენი დახმარება სჭირდება!



გლდანში, ნაქირავებ ერთოთახიან ბინაში 11 ადამიანი ცხოვრობს. ოთახში ორი საწოლი და დივანია, იატაკზე ერთი ლეიბი დევს. პატარა ოთახში პატარა მაგიდაცაა, რომელზეც ოჯახის თერთმეტივე წევრი რიგრიგობით სადილობს. სადილი დღეში ერთხელ სოციალურად დაუცველთა სასადილოდან მოაქვთ. რძის პროდუქტი, ხორცი და ხილი ბავშვებს დიდი ხანია არც კი უნახავთ.

ასეთ მძიმე მდგომარეობაში უხდება ცხოვრება მირიანისა და ნინოს ოჯახს, სადაც 9 ბავშვი იზრდება, მაგრამ მათ მკაცრად ნუ განსჯით. შვილის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ გადაწყვიტეს, იმდენი შვილი გაეჩინათ, რამდენსაც ღმერთი მისცემდათ.

მართლაც, მათ არაჩვეულებრივი შვილები ჰყავთ. ერთი მეორეზე უკეთესები, ლამაზები და ჭკვიანები. უფროსები – გიორგი, ნათია და ვერიკო მშობლებს პატარა და-ძმების აღზრდაში ეხმარებიან. საბა შვიდი წლისაა, ის ყველაზე დამჯერი და ცნობისმოყვარეა. სკოლაში სულ ათიანებზე სწავლობს! მოუსვენარი ლიზი ხუთი წლისაა, ყველაზე კეთილი მარიამი – ოთხის, უშიშარი ნიკოლოზი – სამის, ბარბარე, რომელსაც ოჯახში სიყვარულით „პრინცესა ბარბის" ეძახიან, ორი წლისაა. ოჯახის ყველაზე პატარა და მთავარი წევრი ჭიჭიკოა. ორ კვირაში ის ერთი წლის გახდება.

თუ გაქვთ საშუალება, ოჯახს ფინანსური დახმარება აღმოუჩინოთ, თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ ფონდის ანგარიშის ნომერზე **GE15TB7194336080100003** ან **GE64BG0000000470458000** (დანიშნულება: ჩიკვაიძეების ოჯახი) (fsp.ge)

## „ვილაცასთან გაივლ-გამოივლი, ეს ჩემთვის ღალატი კი არა ფიზიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა“ — ვახტანგ ტატიშვილი



მომღერალი ვახტანგ ტატიშვილი ოჯახურ ურთიერთობებზე საუბრობს და ამბობს, რომ მისთვის ღალატი სულაც არ არის ის ფაქტი, თუ ქმარი ცოლისგან მალულად სხვა ქალთან წავა მაშინ, როცა მეუღლეებს ერთმანეთისგან მრავალი კილომეტრი აშორებთ და სხვადასხვა ქვეყნებში არიან.

– ნორმალური კაცი ცოლს არ ღალატობს. 4-5 თვით რომ ამერიკაში წახვალ და იქ ვილაცასთან გაივლ-გამოივლი, ეს ღალატი არ არის, ეს ჩემთვის ფიზიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა. ღალატი მაშინაა, როდესაც ცოლთან ცხოვრობ და პარალელურად სხვასთან დადიხარ. ამდენი ხნით რომ მივდიოდი, რა თქმა უნდა, ალბათ, იფიქრებდა ასეთ რაღაცებს, მაგრამ ყველაფერი ნორმაში უნდა იყოს. მთავარი ისაა, რომ არავის გადავყოლივარ, ფული სხვებისთვის არ დამიხარჯავს და იქიდან ხელცარიელი არ დავბრუნებულვარ. ჩემს ცოლს არც არასოდეს უკითხავს, ხომ არ მღალატობდიო, ეგ რა ღალატია, ეგ ვარჯიშია, რომ იქიდან დაბრუნებული ცოლთან ფორმაში ვყოფილიყავი, – ამბობს ვახტანგ ტატიშვილი. (სარკე)

## „გუდვილში“ ხანძრის შედეგად 500 კვადრატული მეტრი დაიწვა




საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე დავით გელაშვილის ინფორმაციით, ხანძარი „გუდვილის“ შენობის ცენტრალურ ნაწილში, სიღრმეში იყო გაჩენილი, რომლის გამომწვევი მიზეზები უცნობია. ცეცხლი დაახლოებით 450-500 კვ.მ ფართობზე გავრცელდა და მოიცვა საკონდიტრო მაღაზია და გადახურვის ნაწილი. ელექტროსადენების მეშვეობით ხანძარი სახურავშიც გავრცელდა. ადგილზე 18 სახანძრო ბრიგადა და მაშველები მუშაობდნენ.

მისივე განცხადებით, დაშავდა ერთი მეხანძრე, რომელიც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ შემთხვევის ადგილიდან გაიყვანა. როგორც დავით გელაშვილი აცხადებს, მისი ინფორმაციით, „გუდვილის“ მომსახურე პერსონალიდან არავინ დაშავებულა.

შემთხვევის ადგილზე იმყოფება ვაკის რაიონის გამგებელი ნოდარ ტურძელაძე, რომლის განცხადებით, ჯერჯერობით ზარალის ოდენობა უცნობია, შესაბამისად, უცნობია, რა დახმარების გაწევა შეუძლია გამგეობას. (ინტერპრესნიუსი)

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



# რის გამო დასცინიან უცხოეთში პრეზიდენტ მარგველაშვილს და რისი დათმობა მოუწევს საქართველოს რუსეთთან?



ქართველი პოლიტიკოსების პორნოსკანდალი კარასინის მუქარის შემცველმა განცხადებამაც კი ვერ გადაფარა. მსოფლიო მედიაში უკვე აქტიურად განიხილავენ საქართველოში მიმდინარე მორალურ ამბებს. პრეზიდენტმა მარგველაშვილმა განსაკუთრებულად მიიპყრო მსოფლიო მედიის ყურადღება, რადგან ის მედიას ისეთ პრეზიდენტად მოევლინა, რომელიც საუბრობს საკუთარ სექსუალურ ცხოვრებაზე და ამბობს, რომ მას აქვს და ექნება მდიდარი და მრავალფეროვანი სექსი.

მარგველაშვილის გამოსვლა-განცხადება ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა შეაფასა და მას არაადეკვატური უწოდა. იმისთვის, რის გამოც სააკაშვილს ვქოლავდით და მიწაში ვდებდით, ტაშს ვუკრავთ მარგველაშვილს. მისი განცხადება უყურადღებოდ არც სასულიერო პირებს დარჩენიათ, სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსი, მეუფე სპირიდონი საქართველოს პრეზიდენტის განცხადებას ინტერნეტსივრცეში კადრების გავრცელების შემდეგ აკრიტიკებს და აცხადებს, რომ პრეზიდენტი საროსკიპოს მენეჯერის, სუტენიორის ტერმინოლოგიით საუბრობს.

გადავრთოთ ჩვენი „გაყვითლებული“ პრეზიდენტი პოლიტიკის მიმართულებით, რომელსაც დროებით კომპასი აერია სექსუალური რაკურსით. ის მოუწოდებს საქართველოს საელჩოებს, ითარგმნოს კარასინის განცხადება და მიეწოდოს ჩვენი მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლებს მათივე ენაზეო. ვიდრე ელჩები თარგმნიან კარასინის განცხადებას, ნათარგმნი და დამუშავებული ტექსტები სათანადო ადგილზე უკვე დევს, მთავარია, ვის რა საპასუხო რეაქცია აქვს, ჯერჯერობით ჩვენ ვხედავთ მხოლოდ დასავლეთის აღშფოთებას, რომლის იქითაც ვეღარ ქაჩავენ. მოკლედ, ვითარება ასეთია, – კრემლი მუქარაშემცველ გზავნილებს ამჯერად პრაღიდან აგზავნის. კარასინი თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელს თავს ესხმის და მოუწოდებს, შეწყვიტოს აგრესიული რიტორიკა. შეგახსენებთ, რომ ხიდაშელმა ევროპას მოუწოდა ოკუპანტი რუსეთის წინააღმდეგ გაერთიანება და შუაგულ ევროპაში ომის მოწყობა. ხურუშიანი სააკაშვილის არ იყოს, ეს ხიდაშელიც კარგად უბერავს, მაგრამ კარასინის თითის დასაქნევი საქართველო არ არის და დიახაც, ოკუპირებული ქვეყნის თავდაცვის მინისტრის ამგვარი განცხადება ნათელი და გასაგებია.

კარასინმა მოგვთხოვა ოკუპაციის კანონის გაუქმება, მინიმუმ ცვლილებების შეტანა, რადგან 1-5 ივლისს დაგეგმილია ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ფართომასშტაბიანი ფორუმი საქართველოში და თუკი ცვლილებები არ შევა ოკუპაციის შესახებ კანონში, რუსეთის დელეგაციის იმ წევრებს, რომელთაც დარღვეული აქვთ საქართველოს კანონი ოკუპაციის შესახებ, ქვეყანაში შემოსაშვები არ არიან.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერი გია ვოლსკი აცხადებს, რომ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში შესაძლოა ცვლილებები განხორციელდეს, საუბარია გამონაკლისზე, რადგან რუსეთის დელეგაციას, რომელიც ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე დასასწრებად საქართველოში ჩამოსვლას აპირებს, პრობლემა არ შეექმნას. ამ თხოვნით, საქართველოს მხარეს მიმართეს მეგობარმა ქვეყნებმა და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურმა მდივანმა. როგორც ჩანს, ცვლილებები აუცილებლად მოხდება, მაგრამ ჯერჯერობით მის გაუქმებაზე ხელისუფლება უარს აცხადებს, ვნახოთ, რა იქნება მომავალში. ერთი რამ ფაქტია, რუსეთი არანაირ დათმობაზე არ მიდის და ის მხოლოდ საქართველოსგან ითხოვს პატივისცემასა და მეგობრობას, მაშინ, როცა ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა აქვს დარღვეული.

**უნდა შევიდეს თუ არა ცვლილება ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში? რამდენად სწორი პოზიცია უკავია გამოწვევებზე საქართველოს ხელისუფლებას?**

**„ალიას“ „მართვის სტრატეგიული ცენტრის“ ხელმძღვანელი, პეტრე მამრაძე ესაუბრა:**

– საქართველო ყველაზე დაუცველია მეზობელი რუსეთის მხრიდან, რომელთან ბრძოლის გამოც ურთიერთობას არ გაიფუჭებს დასავლეთი. გავითვალისწინოთ, რომ პუტინის ხელისუფლებას კიდევაც აწყობს სააკაშვილის მსგავსი აგრესიული რიტორიკის პოლიტიკოსები ჰყავდეს საქართველოში. ამიტომაც, ამ ვაიპოლიტიკოსებმა, ვინც ანტირუსულ განცხადებებს აკეთებენ, უნდა იცოდნენ, რომ ეს აწყობს მხოლოდ პუტინს. მე მათ პუტინის სასარგებლო იდიოტებს ვუწოდებ. დავუშვათ, რასაც ხიდაშელი ამბობს, არის სრული ჭეშმარიტება, მაგრამ ერთია, რასაც პირისპირ შენს კოლეგებს ეუბნები, მეორეა, როცა ამას საჯაროდ ამბობ. საჯაროდ კი თინა ხიდაშელის მიერ ნათქვამი, ეს იყო პირდაპირ ფეხებში პასის მიცემა კარასინისთვის. მერწმუნეთ, ასეთი განცხადებებით უფრო აძლიერებს რუსეთს და პუტინის რეიტინგი ზევით იწევს, რადგან მას მუდმივად სჭირდება მტრის ხატის შექმნა.

თუ საქართველოს ხელისუფლება არ გამოიჩენს სათანადო სიფრთხილეს და პასუხისმგებლობას, თუ არ გაითვალისწინებენ, რომ ჩვენ ვართ დაუცველები, „კაგებეს“ ეფრეიტორ სააკაშვილის მოყვანილი ჯარები, რომლებსაც ორი სამხედრო ბაზა სააკაშვილის დროს დაუბრუნდათ, კარგ დღეში არ ჩაგვყრიან. ამ ფონზე გამოდის ამერიკის ელჩი იან კელი და ამბობს, – რაც შეეხება ნატოში საქართველოს შესვლას, ამ საკითხზე განცხადებებს რაც მოჰყვა, საქართველოს მეგობრებს კარგად გვახსოვს. კერძოდ, ბუქარესტის სამიტს 2008 წლის აგვისტოს ომი მოჰყვა. ამერიკელი დიპლომატები პრივატულ საუბრებში მეუბნებიან, – ჩვენ რომ ხმამაღლა დავიწყოთ იმაზე ლაპარაკი, რომ საქართველოს აუცილებლად მივანიჭებთ მაპ-ს და შევიყვანთ ნატო-ში, რუსეთი საქართველოში მაშინვე ომს დაიწყებს. „დააკმაყოფილებენ“ სამხრეთ ოსეთის მოთხოვნას და მიიღებენ რუსეთის შემადგენლობაში. ასევე, „დააკმაყოფილებენ“ აფხაზეთის მოსახლეობის მოთხოვნას და შეიყვანენ რუსეთის შემადგენლობაში, გადააადგილებენ თავის ჯარებს და დაიკავებენ დამატებით თავის პოზიციებს ახალქალაქის, სენაკის ტერიტორიაზე და რუსები იტყვიან, რომ საქართველო ნახევარი ნაბიჯით შესულია ნატოში და ჩვენ ხომ უნდა დავიცვათ ჩვენი საზღვრები, მით უმეტეს, თურქეთის ფაქტორია გააქტიურებული და რუსები ჩვენს ტერიტორიას არ დათმობენ. ეს ესმის ძალიან კარგად ნატოს და ამერიკას, რატომ არ ესმით საქართველოში ვაიპოლიტიკოსებს, ჩემთვის ეს გაუგებარია.

**— კი მაგრამ, რუსეთი საქართველოს არაფერს უთმობს და თან პრეტენზიულ მოთხოვნებს გვიყენებს. ამ დროს რა არის უკეთესი — საერთოდ გაწყვიტო ურთიერთობა თუ კონტრმოთხოვნებზე წახვიდე?**

– გამორიცხულია, რუსეთმა რამე დათმოს, ის არ წავა კომპრომისზე, აშშ-მ ვერ შეძლო, კომპრომისზე დაეყოლიებინა რუსეთი, თეთრმა სახლმა გამოაცხადა, ჩვენ რუსეთთან შევთანხმდით, რომ საქართველოზე გვექნება უთანხმოება. ეს ნიშნავს, რომ არის საკითხები, რომლებსაც სხვადასხვანაირად უყურებენ მხარეები, მაგრამ ისინი არ დაუშვებენ, რომ რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაზე საქართველოს ფაქტორმა იმოქმედოს.

**— რაც შეეხება ოკუპაციის კანონის გაუქმების მოთხოვნას, რასაც კარასინი ულტიმატუმის სახით გვიყენებს, ფიქრობთ, რომ ეს კანონი გასაუქმებელია? პარლამენტის უმრავლესობა მზადაა, კორექტირება შეიტანოს კანონში და გამონაკლისები დაუშვას. რას გამოიწვევს ეს და რამდენად სწორი მიმართულებით მიდის ხელისუფლება?**

– სააკაშვილის დროს მიღებული კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ არის უაღრესად კონტრპროდუქტიული და მავნე. იმდენად მავნეა, რომ ზოგიერთმა უცხოელმა ექსპერტმა, რომლებიც მოწვეულები იყვნენ ამ კანონზე სამუშაოდ, თავი მიანებეს და წავიდნენ. შემდეგ ევროკომისარმა გააკეთა განცხადება, რომ თბილისმა არ უნდა ჩაუკეტოს ყველაფერი თავის რეგიონებს – აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს. ასეთი კანონი არ უნდა ემსახურებოდეს იმას, რაც უნდათ რუსებს. კანონში არის დაწერილი, რომ არც ერთ სახელმწიფოს არ შეიძლება ჰქონდეს ურთიერთობა აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან, არც ვაჭრობის და არც მიმოსვლის სახით, თბილისის ნებართვის გარეშე. ხოლო თბილისში ნებართვას არ იძლევიან. ეს ნიშნავს, რომ ექსკლუზიური უფლება და სრული მონოპოლია აჩუქა რუსეთის მთავრობას სააკაშვილმა. ეს ნიშნავს, რომ შენ ეხმარები რუსეთს და უშვებ რკინის ფარდას შენს რეგიონებთან. ჯო ბაიდენმა, როცა ის საქართველოში იყო ჩამოსული, 2008 წელს პარლამენტიდან განაცხადა: გააღეთ ფართოდ კარები აფხაზებისთვის და ოსებისთვისო. ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეეძლო ახალ ხელისუფლებას ამ მიმართულებით, უნიათობისა და ლაჩრობის ნაცვლად, რომ ჰქონოდათ პოლიტიკური ნება, ეს კანონი თავიდანვე იყო გამოსასწორებელი. დიახ, აუცილებლად უნდა შევიდეს ცვლილებები, მიუხედავად იმისა, რომ დღეს მთავრობა წამგებიან პოზიციაშია, რადგან კარასინმა თქვა, გამოდის, რომ ამის გამო ოკუპაციის შესახებ კანონში ცვლილებები შედის, ამასაც უნდა გადააბიჯონ და მიიღონ ის გადაწყვეტილება, რაც სასარგებლოა ქვეყნისთვის და ეს უნდა აუხსნან ხალხს. „ნაცების“ შიში „ქოცებისთვის“ დღემდე ძლიერი ფაქტორია. სულ იმას ფიქრობენ, რას იტყვიან „ნაცები“, არადა, არ მესმის, როგორ უნდა გეშინოდეს სააკაშვილის სადისტური რეჟიმის ნარჩენების, თუ მართლა ყველას არ ეშინია, რომ კადრებს დაუდებენ და შანტაჟის ქვეშ არ ჰყავთ ისინი?

**„მთავრობამ ამასაც უნდა გადააბიჯოს და მიიღონ ის გადაწყვეტილება, რაც სასარგებლოა ქვეყნისთვის და ეს უნდა აუხსნან ხალხს. „ნაცების“ შიში „ქოცებისთვის“ დღემდე ძლიერი ფაქტორია. სულ იმას ფიქრობენ, რას იტყვიან „ნაცები“, არადა, არ მესმის, როგორ უნდა გეშინოდეს სააკაშვილის სადისტური რეჟიმის ნარჩენების, თუ მართლა ყველას არ ეშინია, რომ კადრებს დაუდებენ და შანტაჟის ქვეშ არ ჰყავთ?“**

## 17 მარტიდან ენგურის ხიდზე 2 ე.წ. საკონტროლო-გამშვები პუნქტი დაიხურა



ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით, ენგურის ხიდზე ე.წ. საკონტროლო-გამშვები პუნქტების რაოდენობა შემცირდება. ორი პუნქტი საფეხმავლო მოძრაობისთვის დაიხურება. შესაბამისი გადაწყვეტილება ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. მინისტრთა კაბინეტმა მიიღო. როგორც სააგენტო „სპუტნიკს“ ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. მთავრობის წარმომადგენელმა ლაშა ცაავამ განუცხადა, ერთი საკონტროლო-გამშვები პუნქტი მთლიანად დაიხურა, ხოლო მეორე – საფეხმავლო მოძრაობისთვის. მთლიანად ოკუპირებულ აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის ე.წ. საზღვარზე ექვსი საკონტროლო-გამშვები პუნქტია გახსნილი. (kvira.ge)

## „კეთილი უნდა ვინებოთ და რუსეთთან მაქსიმალურად დაბალანსებული ურთიერთობა ვიქონიოთ“



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, რუსეთი საქართველოს მეზობელი ქვეყანაა და ამიტომ კეთილი უნდა ვინებოთ და მასთან მაქსიმალურად დაბალანსებული ურთიერთობა ვიქონიოთ.

აღნიშნული განცხადებით, ზაქარეიშვილი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრეგორი კარასინის განცხადებას გამოეხმაურა, სადაც მან თქვა, რომ მთავარი საფრთხე საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მოახლოება და აშკარად მზარდი ანტირუსული რიტორიკაა.

– არსებობს შეშფოთებები რუსეთში, რომ პრორუსული ძალები ვერ იკიდებენ ფეხს საქართველოში, ამიტომ ეს განცხადება შეტყობინებას აძლიერებს იმ ხალხისთვის, ვისგანაც მეტს ელოდებიან, ვინც პრორუსულ პოლიტიკას ახორციელებს. მე ვფიქრობ, ეს ყველაფერი აბსოლუტურად ფუჭად და უსაფუძვლოდ კეთდება, მაგრამ ამის ჩხირკედელაობას ადგილი აქვს. ეს არის შეშფოთების გამოხატვა, რადგან არჩევნები უნდა იყოს დემოკრატიულობის გამოხატვის, წარმატებისა და მდგრადობის ნიშანი და როცა ვინმეს ჰგონია, რომ არჩევნები არის დაძაბულობის ნიშანი, ცოტა არ იყოს, ღიმილის მომგვრელია, – განაცხადა ზაქარეიშვილმა. (kvira.ge)

## საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპის სავარაუდო გამარჯვება 10 გლობალურ საფრთხეში შეიტანეს



**Economist Intelligence Unit** ვერსიით, 10 ყველაზე მნიშვნელოვან გლობალურ საფრთხეში აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის სავარაუდო გამარჯვება შედის.

ყოველწლიური რეიტინგის ავტორები ფიქრობენ, რომ ხელისუფლებაში ტრამპის მოსვლა მსოფლიო ეკონომიკას შეარყევს, ასევე, აშშ-ში პოლიტიკისა და უსაფრთხოების სფეროში რისკებს გაზრდის.

**EIU**-ში, აგრეთვე, ფიქრობენ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპი ჰილარი კლინტონს ვერ მოუგებს, რომელიც დემოკრატების მხრიდან ყველაზე აშკარა კანდიდატად მიიჩნევა.

რეიტინგის შექმნისას **Economist Intelligence Unit** ანალიტიკოსები საფრთხის სერიოზულობას 25-ქულიანი სისტემით აფასებდნენ. ტრამპის, სავარაუდოდ, გაპრეზიდენტებას მათ 12 ქულა მიანიჭეს. ამდენივე ქულით შეაფასეს ჯიჰადისტებისგან მზარდი საფრთხე, რომელიც მსოფლიო ეკონომიკას სერიოზულად ემუქრება.

სიის სათავეშია ჩინეთის ეკონომიკის კლების საფრთხე, რომელიც 20 ქულითაა შეფასებული. შემდეგ მოდის რუსეთის სამხედრო ინტერვენცია უკრაინასა და სირიაში, რომელსაც შეუძლია, მსოფლიო ახალ ცივ ომამდე მიიყვანოს (16 ქულა).

ანალიტიკოსების აზრით, ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გამოსვლა და შეიარაღებული დაპირისპირება სამხრეთ-ჩინეთის ზღვაში ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე დონალდ ტრამპის ხელისუფლებაში მოსვლა.

გლობალური საფრთხეები ათეული ასეთია:

– ჩინეთის ეკონომიკის შენელება;

– უკრაინასა და სირიაში რუსეთის ჩარევას ახალი ცივი ომი მოჰყვება;

– განვითარებად ბაზრებზე სავალუტო არასტაბილურობით გამოწვეული კორპორაციული ვალების კრიზისი;

– გარე და შიდა ფაქტორების გავლენით ევროკავშირის დაშლა;

– ევროზონიდან საბერძნეთის გამოსვლა, რასაც ევროკავშირის დაშლა მოყვება;

– აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის გამარჯვება;

– ისლამური ექსტრემიზმის საფრთხის ზრდა, რაც მსოფლიო ეკონომიკის დესტაბილიზაციას გამოიწვევს;

– დიდი ბრიტანეთი ევროკავშირიდან გამოსვლას უჭერს მხარს;

– ჩრდილოეთ კორეის ექსპანსია სამხრეთ-ჩინეთის ზღვაში შეიარაღებულ დაპირისპირებას გამოიწვევს;

– ნავთობის მრეწველობაში ინვესტიციების ჩადების შეწყვეტა ნავთობის ფასის კლებას გამოიწვევს. (ლიბერალი)

## რატომ შეიძინა „საქართველოს ბანკმა" „ჯი-პი-სის" აფთიაქები და რა შეიცვლება მოსახლეობისთვის?



„საქართველოს ბანკის" ჰოლდინგში შემავალი „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი" ფარმაცევტული კომპანია „ჯიპისის" 100-პროცენტიან წილს ყიდულობს. გარიგების ღირებულება 14 მილიონი აშშ დოლარია.

გამოითქვა მოსაზრებები, რომ ეს გარიგება „საქართველოს ბანკის" ფარმაცევტულ ბაზარზე შესვლას ნიშნავს და ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც ბანკებს ოფიციალურად აეკრძალათ არაპროფილური აქტივების ფლობა.

აღნიშნულ გარიგებასთან დაკავშირებით ინტერესი დიდია, ასევე, იმ თვალსაზრისით, რა ზეგავლენას მოახდენს ის მედიკამენტების ფასებზე.

„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის" პრეზიდენტის შოთა გულბანის მოსაზრებით, ეს გარიგება ფარმაცევტულ ბაზარზე ფასების ცვლილებაზე გავლენას მოახდენს და მედიკამენტები კიდევ უფრო გაიაფდება.

– მსგავსი გარიგებები ჩვეულებრივ ბიზნესპროცესად უნდა განვიხილოთ. კომპანია „ჯიპისის" მფლობელებმა საჭიროდ ჩათვალეს და ფარმაბიზნესიდან გადიან და ამ ბაზრით დაინტერესებულ სხვა ბიზნესსტრუქტურაზე ყიდიან ბიზნესს. განვიხილოთ, რამდენად წაადგება ეს კონკრეტული გარიგება ფარმაბაზარს. სტაბილური განვითარება, პირველ რიგში, უნდა გამოიხატოს მომხმარებლის კმაყოფილებაში, ყოველ შემთხვევაში, ნორმალურ ქვეყანაში ასე ხდება.

ჩვენც აქეთ მივისწრაფვით, რომ მომხმარებელი იყოს კმაყოფილი. ეს კი გამოიხატება იმაში, რომ შედარებით ხელმისაწვდომი მედიკამენტები შესთავაზო მას. თუ „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი" სერიოზულ ფინანსურ რესურსს მიმართავს ამ სეგმენტისკენ, მათ უნდა იზრუნონ იმაზეც, რომ კონკურენტებთან შედარებით დაბალ ფასად შესთავაზონ მომხმარებელს მედიკამენტები. საინტერესო ვითარება იქმნება – ერთი მხრივ, ბაზარზე საკმაოდ დაბალი ფასებით უკვე ოპერირებს ახალშემოსული კომპანია „ჰუმანითი" და შემოდის „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი", რომელსაც სხვა გზა არ ექნება, კიდევ უფრო დაბალი ფასები უნდა შესთავაზოს ბაზარს. ასე რომ, მედიკამენტების გაიაფების კუთხით, ჩემი მოლოდინები პოზიტიურია, – აცხადებს შოთა გულბანი.

მისივე განცხადებით, იმის თქმა, რომ „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის" გადაწყვეტილება, შეეიდეს ფარმაცევტულ ბაზარზე, „ჰუმანითის" შემოსვლამ განაპირობა, ცოტა გადაჭარბებული იქნება, თუმცა ლოგიკის დიდი წილი ამ მოსაზრებაშიც დევს.

– „ჰუმანითის" შემოსვლა მნიშვნელოვანი ფაქტორია, 30 პროცენტით იაფია მისი წამლები, ხშირად 50 პროცენტითაც კი ნაკლებია მათი ფასი, ეს ეხება ჯენერიულ მედიკამენტებს. ჩვენ ვაწარმოებთ კვლევას წამლების ფასებზე და „ჰუმანითის" შემოსვლამ გაიაფების თვალსაზრისით ცვლილებები მართლაც განაპირობა. ცალსახად იმის თქმა, რომ „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის" გადაწყვეტილება „ჰუმანითის" აქტიურებით არის ინსპირირებული, არ იქნება მართებული, თუმცა ამ მოსაზრებაში ლოგიკის დიდი წილია და თუ ეს ასეა, ამით მხოლოდ მომხმარებელი იხეირებს, რაც ძალიან კარგია, – მიაჩნია გულბანს.

გულბანის მოსაზრებით, როცა ბაზარზე ასეთი მასშტაბური გარიგება ხდება, იქ საზოგადოებას თუ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს კითხვები არ უნდა დარჩეს. ამ შემთხვევაში კი კითხვები რჩება, რაც ამ გარიგების პოზიტიურ მოლოდინებს ჩრდილს აყენებს, მიაჩნია გულბანს.

– გარიგების დასახელებული ფასი 14 მილიონი აშშ დოლარი, შეუსაბამოდ მცირეა „ჯიპისის" ქსელის, „ჯიპისის" ბიზნესის რეალურ ღირებულებასთან მიმართებაში და ეს გარკვეულ ეჭვებს წარმოშობს. ვფიქრობ, ამ გარიგების მონაწილე ორივე მხარემ საზოგადოებას უნდა გააცნოს საკუთარი არგუმენტები, რატომ შეთანხმდნენ ასეთ დაბალ ფასზე. ფარმაცევტული ბიზნესი საზოგადოებრივად ძალიან მნიშვნელოვანი სექტორია და სოციალური სტაბილურობის ელემენტებს შეიცავს. ამდენად, თითოეული გარიგება, მით უფრო ასეთი მასშტაბის, როცა ძირეულად იცვლება ბაზრის სურათი, მოითხოვს სრულ გამჭვირვალობას. თავის მხრივ, შესაბამისი მარეგულირებლებიც რეალურად უნდა დაინტერესდნენ ამ გარიგებით, – მიაჩნია გულბანს. (რადიო კომერსანტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კობალაძე ფარულ ჩანაწერებზე: ვერ დავაზღვევდით, რომ ვინმეს არ „გადაეკოპირებინა" ეს ფაილები



გენერალი კობა კობალაძე პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების გამოქვეყნების ფაქტს გამოეხმაურა. კობალაძის თქმით, კონკრეტული დაინტერესებული მხარეები ან პირები, დღევანდელი პროცესებით მართული ქაოსის გამოწვევას ცდილობენ.

საკრებულოს დეპუტატი მიიჩნევს, რომ დამნაშავე პირები უნდა გამოვლინდნენ და დაისაჯონ. რაც შეეხება კადრების გავრცელების პრევენციას, კობალაძის განცხადებით, საქართველოში ინტერნეტი თავისუფალი სივრცეა და ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია გამოიყენოს თავისუფალი ინტერნეტწვდომის სივრცე სასტუმროში, რესტორნებში....

მისივე განმარტებით, სახელმწიფო ვერ დააზღვევდა იმას, რომ არსებული ფირების „კოპირება" არ მომხდარიყო.

– მე ვგმობ ამ ფაქტებს, ადამიანის პირადი ცხოვრება სხვას არ ეხება. ამავე დროს, ვგმობ ყოველგვარ ამორალურ ქმედებას. დღევანდელი პროცესებით მართული ქაოსის გამოწვევას ცდილობენ. ეს ყველაფერი სპონტანურად არ ხდება. ხელისუფლების ბრალი არ არის ის, თუ ვინმეს მორალთან აქვს პრობლემა. ხელისუფლების ვალდებულებაა, გაატაროს პრევენციული ზომები და ეს მექანიზმი ჩართულია, მაგრამ ინტერნეტსივრცე საკმაოდ ხელმისაწვდომი არეალია.

ჩვენ არ ვართ დახურული სახელმწიფო, სადაც კონტროლდება ინტერნეტსივრცე. არის სახელმწიფოები, სადაც ინტერნეტთან წვდომა ყველას არ აქვს. ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია გამოიყენოს თავისუფალი ინტერნეტწვდომის სივრცე სასტუმროში, რესტორნებში.... ის, ვინც ხელყოფს ადამიანის პირად ინფორმაციას, დაისჯება. ჩვენ მომხრე ვართ იმისა, რომ მათ მიმართ სასჯელი გამკაცრდეს. გარდა ამისა, იმ შემადგენლობის ლუსტრირება უნდა მოხდეს, ვისზეც შეიძლება გარკვეული სახის ზეწოლა იყოს განხორციელებული. სახელმწიფომ ამაზე თავისი პოზიცია გამოხატა, როდესაც ოფიციალურად გაანადგურა ფარული ჩანაწერები. სახელმწიფო ვერ გააკეთებდა იმის პრევენცირებას, რომ ვიღაცას შეიძლებოდა ამ მასალებზე წვდომა ჰქონოდა. ამას აკეთებდა არა ერთი და ორი ადამიანი, არამედ მთელი სამსახურებრივი სისტემები იყო ჩართული. ამიტომ ვერ დავაზღვევდით, რომ ვინმეს არ „გადაეკოპირებინა" ეს ფაილები, – განაცხადა კობა კობალაძემ. (kvira.ge)

## დღეს პუტინი ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის 2 წლისთავს ვიზიტით აღნიშნავს



რუსეთის პრეზიდენტი ყირიმში ჩასვლას გეგმავს, რაც ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის 2 წლისთავს ეძღვნება.

პუტინი მოინახულებს ქერჩის სრუტეზე მშენებარე ხიდს და ჩაატარებს თათბირს ყირიმისა და სევასტოპოლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებზე.

რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა ჟურნალისტებს გაანდო ყირიმის მუზეუმის უხუცესი მუშაკის ალა ხანილოს სურვილი, რომელიც პუტინისთვის ხელის ჩამორთმევაზე ოცნებობს. ის ქალბატონ ალას დაჰპირდა, რომ სურვილის ასრულებაში დაეხმარება.

შეგახსენებთ, რომ რუსულმა მხარემ ყირიმის ქვეყნის შემადგენლობაში შეყვანის დოკუმენტი 2014 წლის მარტში გააფორმა. (ipress.ge)

## გიორგი კვირიკაშვილი კარასინის განცხადებას პასუხობს



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის განცხადებას უპასუხა.

– საქართველოში არსებული განწყობების შესახებ საუბრისას რუსმა პოლიტიკოსებმა, ალბათ, პირველ რიგში, საკუთარ მიდგომებს უნდა მიაქციონ ყურადღება. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის საფუძველზე აწყობილი ურთიერთობა იქნება ის, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება ურთიერთობების სრული ნორმალიზაცია, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა. (marshalpress.ge)

## კიდევ ერთხელ და ათასჯერ — მივმართავ მამაჩემის მკვლელობის თვითმხილველებს



აკადემიკოს გურამ შარაძის ქალიშვილი რუსუდან შარაძე მამის მკვლელობის თვითმხილველებს და იმ ადამიანებს მიმართავს, ვისაც შესაძლოა, გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჰქონდეთ.

– კიდევ ერთხელ და ათასჯერ – მივმართავ მამაჩემის მკვლელობის თვითმხილველებს, რომლებიც ასეული თუ არა, ათეულობით მაინც არიან: მელიქიშვილზე, მკვლელობის შემსწრენი; შანიძის, ხორავას, პეტრიაშვილის ქუჩების, პეტრიაშვილის ჩიხის მაცხოვრებლები; ფეხით მოსიარულეები და აგრეთვე, ისინი, ვინც ავტომანქანით გადაადგილდებოდნენ – თქვენ ყველამ ნამდვილი მკვლელები ნახეთ და მათ იცნობთ სახეზე.

ის მაინც იცით დანამდვილებით, რომ მამაჩემის მკვლელებიდან არც ერთი არ იყო გიორგი ბარათელი. მივმართავ, აგრეთვე, სხვა მოწმეებს, რომლებიც იმ დროს სხვადასხვა ძალოვან უწყებაში მუშაობდნენ და დღეს ფლობენ მნიშვნელოვან ინფორმაციებს, ან სულაც, რაღაც ფორმით, მონაწილეობაც აქვთ მიღებული თუნდაც, იმით, რომ აქამდე დუმილს ინარჩუნებენ – ყველას უმორჩილესად გთხოვთ, ითანამშრომლეთ გამოძიებასთან, გნებავთ, კონფიდენციალურად, გნებავთ, დაცვით ისარგებლეთ. ჩემი მხრიდან, გავაკეთებ თქვენთვის ყველაფერს, რაც შემიძლია.

თან არ მინდა ვინმე გავანაწყენო, მაგრამ არ გრცხვენიათ, კაცო? რა გაძინებთ ღამე? მიშას დროს ხომ არ გთხოვდით არაფერს?! – აცხადებს რუსუდან შარაძე. (marshalpress.ge)

## გიგა ბოკერია: სუს-ი არის გაუარესებული კუდ-ი და არჩევნების შემდეგ ის გაუქმდება



„ნაციონალური მოძრაობის“ საგარეო ურთიერთობათა მდივანი გიგა ბოკერია მიიჩნევს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური „პროდასავლურ ოპოზიციას ებრძვის“. პრემიერ-მინისტრის განცხადების შეფასებისას მან ასევე განაცხადა, რომ სუს-ი არის გაუარესებული კუდ-ი და არჩევნების შემდეგ ის გაუქმდება.

– როგორც მოსალოდნელი იყო, „ნაციონალური მოძრაობის“ ინიციატივის საპასუხოდ სუს-ის გაუქმების თაობაზე, ივანიშვილის გუნდი, პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი, გადაეფარნენ სუს-ს, იგივე კუდ-ს, გაუარესებულ კუდ-ს და ახლა გვეუბნებიან აბსოლუტურად უტიფრად, რომ თურმე, სუს-ის გაუქმება და კრიტიკაც კი ასუსტებს ჩვენს უსაფრთხოებას. სუს-ი ერთადერთ რამეს აკეთებს, უთვალთვალებს საკუთარ საზოგადოებას, ებრძვის პროდასავლურ ოპოზიციას და დაკავებულია შანტაჟით. ამიტომ სუს-ი – გაუარესებული კუდ-ი აუცილებლად გაუქმდება ივანიშვილის ოქტომბრის არჩევნებში დამარცხების შემდეგ, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ ქვეყნის უსაფრთხოების დისკრედიტაციის მიზნით გამოთქმული თითოეული სიტყვა ასუსტებს ჩვენს სახელმწიფოს. გიორგი კვირიკაშვილი ბოლო დროს ქვეყნის უსაფრთხოების სისტემასა და ინსტიტუტებზე გამოთქმულ ბრალდებებს გამოეხმაურა და მას პოლიტიკური სპეკულაციები უწოდა. პრემიერმა მოუწოდა პოლიტიკოსებს, გააცნობიერონ ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევები.

– მინდა ჩვენს ოპონენტებს შევახსენო, რომ სწორედ ჩვენი მთავრობის პირობებში დაიწყო უმნიშვნელოვანესი რეფორმები შს სამინისტროში, უსაფრთხოების სამსახურში, პროკურატურაში. სწორედ ამ რეფორმების და ამ ინსტიტუტების უშუალო მონაწილეობით განხორციელდა ძირეული ცვლილებები, რამაც დემოკრატიის უფრო მაღალი ხარისხი მოიტანა ჩვენს ქვეყანაში. მინდა, კიდევ ერთხელ მოვუწოდო ყველას, რომ თითოეული სიტყვა, გამოთქმული ამ ინსტიტუციების დისკრედიტაციის კუთხით, ასუსტებს ჩვენს სახელმწიფოს. ის, რომ რეფორმები არ დასრულებულა და ეს ინსტიტუციები კვლავაც საჭიროებს რეფორმებს, არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს იმას, რომ აგდებით ვისაუბროთ მათზე. ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი გამოწვევები და გავაცნობიეროთ, რომ ეს დისკრედიტაცია, პირველ რიგში, ასუსტებს სახელმწიფოს, – აღნიშნა პრემიერმა. (ghn.ge)



# ზაზა ხატიაშვილი: „ამ პარლამენტშიც თუ არ იციან, რა განცხადებები უნდა აკეთონ, ენას კბილი დააჭირონ“!

## რამ გაამწარა და რატომ „დაეტაკა“ ვენეციის კომისია თეა წულუკიანს



*გელა ზედელაშვილი*
555 48-48-61

**ვენეციის კომისია საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, გიორგი პაპუაშვილის მიმართ გაკეთებული განცხადებების გამო საქართველოს მთავრობასა და იუსტიციის მინისტრს, თეა წულუკიანს აკრიტიკებს: „კომისია შეშფოთებულია აღმასრულებელი ხელისუფლების საჯარო მოწოდებებით საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მანდატის დასრულებასთან დაკავშირებით, რაც სასამართლოს ავტორიტეტის ძირის გამოთხრის საფრთხეს შეიცავს“.**

**აი, ახლა ამათი აღშფოთება და დიპლომატიური პანჩურებიღა გვაკლდა, საკონსტიტუციო სასამართლოს რომ ძირი მხოლოდ გამოთხრილი კი არა, გამომპალიც აქვს, ეს ჩვენზე უკეთესად არავინ იცის. თეა წულუკიანი ისევ ძველ ჩვენებას „აწვება“ და ამბობს, რომ ძალიან ბევრი მორალური პრობლემა არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესთან დაკავშირებით, არსებობს კითხვები მის წარსულთან დაკავშირებით, რომელსაც პასუხები უნდა გაეცეს: „მე არაერთხელ აღმინიშნავს, რომ ვადა გასდის სექტემბრის ბოლოს და ამ დრომდე ის გააგრძელებს საქმიანობას და მიიღებს გადაწყვეტილებებს, როგორც თვითონ ჩათვლის საჭიროდ“.**

**ლევან ბერძენიშვილმა თქვა, ეს დიდი არაფერია, ერთი დეპუტატის აზრია. ეს იგივეა, მე რომ რაღაცა ვთქვა და ეს ვინმემ საქართველოს პარლამენტის პოზიციად შეაფასოსო. ეს პოლიტიკური შეფასებაა და შესაძლოა, ბერძენიშვილი მართალია, მაგრამ...**

**რა შეიძლება მოჰყვეს ასეთ შეფასებას? რა ძალა აქვს ვენეციის კომისიის ანგარიშში ამგვარი დასკვნის ჩაწერას?**

**„ალიას“ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ზაზა ხატიაშვილი ესაუბრა:**

– ეს არის კოჰაბიტაციის შედეგი, მე პაპუაშვილთან არავითარი პიროვნული ინტერესი არ მაქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში თეა წულუკიანი არის მართალი, ვერ გავამტყუნებ. მე არ ვიცი, იქ რა მოხდა, პაპუაშვილს ვინ აშანტაჟებდა, მაგრამ მისი შეფასება მოხდა ძალიან ობიექტურად და ამაზე პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს. ადრეც გითხარი, მე თავად ვიყავი ამ კომისიაში, როცა ევროპულ სასამართლოში წარსადგენი კანდიდატურები იხილებოდა და საკუთარი თვალით ვნახე ყველაფერი. იქ წულუკიანს მისთვის კითხვები არ დაუსვამს, მე დავუსვი, ვერაფერზე ვერ მიპასუხა. როგორ შეიძლება ისეთი ადამიანის წარდგენა ევროსასამართლოში, რომელთან დაკავშირებითაც არსებობს კითხვები და დღემდე უკანონოდ ცხოვრობს სხვის სახლში? სხვათა შორის, მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების მიმართ ნაწილობრივ მაქვს კარგი აზრი, განსაკუთრებით 9-თვიანი პატიმრობის ვადის გაუქმებასთან დაკავშირებით. ამიერიდან ადამიანს წინასწარ პატიმრობაში 9 თვეზე მეტს ვეღარ გააჩერებენ. თუნდაც ამიტომ მის მიმართ ცუდად არ ვიყავი განწყობილი, მაგრამ იმდენად სუსტად გამოვიდა, პირი ღია დამრჩა. გარდა ამისა, ვიმეორებ, ხომ არსებობს მორალი?

**— ზაზა, რა ძალა გააჩნია ვენეციის კომისიის ამ განცხადებას და დასკვნაში ჩაწერას, რას შეცვლის?**

– ის ძალა გააჩნია, რომ მოდის არჩევნები და „ქართულ ოცნებას“ ექმნება პრობლემები. ჩვენ ქუჩაში იმიტომ ვიდექით, რომ გვინდოდა, ნორმალური ძალა მოსულიყო ხელისუფლებაში. ახლა სიტუაცია აირია და აქეთ უყენებენ პრეტენზიებს, ბიძინა ივანიშვილი ხეირიანად არც კი იყო მოსული ხელისუფლებაში, გაიქცა და ჩაეხუტა ლევან მურუსიძეს, იმ ადამიანს, რომელმაც სავარაუდოდ, ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული. ამის შემდეგ ჩავარდა სასამართლო რეფორმაც, ჩავარდა ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნაც და დაიწყო ათასი უბედურება. როგორ შეიძლებოდა, სააკაშვილის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების შეფასება არ დადებულიყო? ჩვენ აუცილებლად უნდა გაგვეგო, როგორი არ უნდა იყოს მოსამართლე, როგორი არ უნდა იყოს პროკურორი და ასე შემდეგ. ეს ადამიანები კი არ მოაშორეს სისტემას, პირიქით, დააწინაურეს. ახლა არჩევნების წინ შეიქმნა ტრაგიკომიკური სიტუაცია, ქაოსია. ამას ემატება „ნაცმოძრაობის“ წევრების საკმაოდ ჭკვიანური პიარპოლიტიკა, და ყველგან აგზავნიან თავიანთ ქვაბში მოხარშულ ინფორმაციებს და მათ შორის ვენეციის კომისიაში. თუ პაპუაშვილს აშანტაჟებდა წულუკიანი, ეს უკვე სისხლის სამართლის დანაშაულია, როცა აშანტაჟებდა, მაშინ რატომ არ თქვა, როცა ორიანი დაუწერა, მაშინ გაახსენდა? ამ შემთხვევაში მისი საიმედოობის ხარისხი ძალიან მცირდება. ეგ რომ ჩემთან მოსულიყო, ან არასამთავრობოებთან და ეთქვა, ასე და ასეა საქმეო, ხომ გვერდში დავუდგებოდით? არა, ამან ლაპარაკი დაიწყო მაშინ, როცა ევროსასამართლოში არ გაუშვეს. რაც შეეხება ვენეციის კომისიის დასკვნას, ამაზე წულუკიანმა უნდა გააკეთოს მკაფიო განცხადება, მას კანონით აქვს გამოხატვის თავისუფლება. მე ვფიქრობ, რომ ვენეციის კომისიაში არასწორი ინფორმაციაა წარდგენილი და არ ვფიქრობ, რომ ამას რამე მოყვება. რა მტკიცებულება წარადგინეს? ვიმეორებ, წულუკიანს აქვს უფლება, პაპუაშვილის წარსულ ცხოვრებასთან დაკავშირებით ჰქონდეს შეკითხვები. ეს შეკითხვები არსებობს და ვერავინ გაექცევა.

**— ამ სექსვიდეოს გავრცელების შესახებ რას იტყვი, როგორ აფასებ მოვლენებს? შანტაჟი მიდისო, ამბობენ, მაგრამ როცა ოჯახიანი პოლიტიკოსი აღვირახსნილად იქცევა, მორალის დეფიციტს ვეჯახებით...**

– ძალიან ცუდი რამე მოხდა, ეს უნდა დავგმოთ, მაგრამ უნდა დავგმოთ სწორად: ვინც გაავრცელა, ჩაიდინა საშინელება, ვინც გადაიღო, რა, იმ ხალხს ტაში დავუკრათ? ირაკლი ალასანიამ ბრძანა, ეს სააკაშვილის ხელისუფლების მიერ არის გადაღებული. თუმცა პასუხისმგებლობა ეკისრება ბიძინა ივანიშვილსაც. ძმაო, ფირები რომ აღმოაჩინეს, ბრალი წარედგინა მეგის ქარდავას და კიდევ ვიღაცებს, რომლებიც ამას თავიანთი ინიციატივით ვერ გააკეთებდნენ. შენ ხომ დარწმუნებული ხარ, რომ მეგის ქარდავა არ იყო ის ფიგურა, ასეთი რაღაცები ნებით ეკეთებინა? ამ საქმეზე არ არის დაკითხული ვანო მერაბიშვილი, არ ჩატარდა გამოძიება და არ დადგინდა დამკვეთის ვინაობა, ანუ ვინ აკეთებდა ამ სიბინძურეს. არა, ესენი გადაეფარნენ დამნაშავეებს და აი, შედეგიც. მაშინ დაიწყო ხალხის გადარჩევა, ივანიშვილს ვინ შეჰფიცა ერთგულება და ვინ არ შეჰფიცა. ახლა სიტუაცია უკვე ჩიხში შევიდა, თავის დროზე რომ არ წაუყენე ყველას ბრალდება და არ გამოიძიე, ახლა არჩევნები მოდის, ამას ვეღარ გააკეთებ, რადგან ჩაგეთვლება პოლიტიკურ დევნაში.

ხედავ, რამხელა მნიშვნელობა აქვს დროს? ამ ხელისუფლებამ დროში წააგო. როდესაც ირაკლი ღარიბაშვილი იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, ვალდებული გახლდათ, ბოლომდე გამოეძიებინა ეს საქმე. ნორმალურ სახელმწიფოში მსგავს რაღაცებს პირველივე წელს იძიებენ, მაშინ მურუსიძით დაწყებული, მეიშვილით დამთავრებული, ყველა მზად იყო, სიმართლე დაეწერა და ნებით წასულიყო ციხეში. შემდეგ სიტუაცია სულ სხვანაირად წარიმართა, ამათ უთხრეს, ოღონდ ჩვენები იყავით და რაც გინდათ, ის ქენითო. თუ გინდა, უგულავას საქმე ავიღოთ – მე ამ ადამიანს დასანახად ვერ ვიტან, სულ ებრძოდა „ადვოკატთა ასოციაციას“, მაგრამ ისეთი უტვინობა ჩაიდინა პროკურატურამ, 9 თვე გაიყვანა, მერე ერთი დღით გამოუშვეს და მეორე დღეს ისევ დაიჭირეს და პოლიტპატიმრად აქციეს. კი, ბატონო, ჩვენ ვიცით, უგულავა რასაც წარმოადგენს, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციებმა იციან? იქ ხომ მარტო სამართლებრივ პროცესს აკვირდებიან? აი, ამ უგუნურობამ მოიტანა ის, რომ სააკაშვილის ყველა „მეგობარი“ მიხვდა დასავლეთში, იგივე ვენეციის კომისიაში, რომელიც „ნაცმოძრაობასთან“ ძალიან დაახლოებულია, „ქართული ოცნება“ უშვებს შეცდომას შეცდომაზე. ესენი მობილიზებულები არიან და მომენტს არ უშვებენ ხელიდან. ამ პარლამენტშიც თუ არ იციან, რა განცხადებები უნდა აკეთონ, სჯობს, ენას კბილი დააჭირონ. აი, სოსო ჯაჭვლიანი მიხვდა, რომ არ უნდა ილაპარაკოს და აღარ ლაპარაკობს. მაგ კაცს მე დიდ პატივს ვცემ, ძალიან დაზარალდა სააკაშვილის რეჟიმის დროს, მიყვარს, მაგრამ მაინც ვაკრიტიკებ და ვეუბნები: ხალხო, რას აკეთებთ, ჩვენ ხომ ერთად ვიდექით, რათა მურუსიძეები მოგვეშორებინა, ახლა ხმას რატომ არ იღებთ, რატომ ხართ გაჩუმებულები? ან იმაზე რატომ არაფერს ამბობთ, რომ თავის დროზე ივანიშვილმა თანამდებობებზე სახედაკარგული პოლიტიკოსები დანიშნა? ახლა რომ იძახიან, კადრებით გვაშანტაჟებენო, გასაგებია, ეს დიდი სიბინძურეა, მაგრამ, როცა ადამიანი ასეთ რაღაცას აკეთებ, მაშინ არ უნდა გქონდეს მოთხოვნილება, რომ გახდე მინისტრი. ხომ შეიძლება, დაგაშანტაჟონ და ისეთ რამეზე მოგაწერინონ ხელი, რომ ქვეყანა გახვიო შარში? ღმერთმა ხელი მოგიმართოს, რაც გინდა, ის გააკეთე, მაგრამ უმაღლეს პოლიტიკურ თანამდებობას ნუ იკავებ.

**— რას ფიქრობ მაესტროში მიმდინარე მოვლენებზე? ბოლო დღეებში სასამართლო გაჩეჩილაძეების მხარეს დგასო, ბაია გადაბაძე ამბობს, აქ ხედავ რაიმე კავშირს მურუსიძეების დატოვებასთან სასამართლო სისტემაში?**

– მე ვფიქრობ, ეს პოლიტიკური თამაშია, რადგან „მაესტრო“ იყო კრიტიკული ტელევიზია. აბა, წარმოიდგინე, მილიონობით დოლარს ტელევიზიაში ვინმე ყოველგვარი ვალდებულებისა და დაზღვევის გარეშე ჩადებს? აქ მიდის „მაესტროს“ „იმედიზაცია“. როგორ ფიქრობ, ირაკლი რუხაძე თავის კონკურენტ ტელევიზიას აძლიერებს? ამ ტელევიზიას მალე მთლიანად შთანთქავს „იმედი“ და ამით დამთავრდება ყველაფერი.

**„აი, ამ უგუნურობამ მოიტანა ის, რომ სააკაშვილის ყველა „მეგობარი“ მიხვდა დასავლეთში, იგივე ვენეციის კომისიაში, რომელიც „ნაცმოძრაობასთან“ ძალიან დაახლოებულია, „ქართული ოცნება“ უშვებს შეცდომას შეცდომაზე. ესენი მობილიზებულები არიან და მომენტს არ უშვებენ ხელიდან. ამ პარლამენტშიც თუ არ იციან, რა განცხადებები უნდა აკეთონ, სჯობს, ენას კბილი დააჭირონ“**

## ვლადიკავკაზში ქართული ანსამბლების ჩასვლას ე.წ. სამხრეთ ოსეთში აპროტესტებენ



ე.წ. სამხრეთ ოსეთში ნეგატიურად შეხვდნენ მარტის ბოლოსთვის დაგეგმილ კონცერტებს, რომლებსაც ვლადიკავკაზში ქართული ანსამბლები გამართავენ, – ამის შესახებ სააგენტო „სპუტნიკი“ წერს.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბლოგერების აღშფოთების საპასუხოდ ჩრდილოეთ ოსეთში ამბობენ, რომ „ხელოვნება პოლიტიკის მიღმა უნდა იყოს“.

„ოსრადიოს“ ჟურნალისტი ოლეგ კუდუხოვი აცხადებს, რომ კონცერტები ვლადიკავკაზში – პოლიტიკური თამაშის კულტურული ელემენტია, მისი თქმით, ეს გლობალური ზეგავლენის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი და კომერციული მოგების მიღების შესაძლებლობაა.

ჩრდილოეთ ოსეთის კულტურის სამინისტროში განაცხადეს, რომ მათ რესპუბლიკაში ქართული კოლექტივები არ მიუწვევიათ და ეს ღონისძიება წმინდა კომერციულ ხასიათს ატარებს.

როგორც სააგენტო „სპუტნიკს“ ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აცნობეს, ქართული კოლექტივების კონცერტები რუსეთის ქალაქებში დაგეგმილი ტურის ფარგლებში გაიმართება და ის ვლადიკავკაზიდან იწყება. (kvira.ge)

## ოდესაში სააკაშვილის გადაყენების მოთხოვნით ხელმოწერებს აგროვებენ



ოდესის 30 ათასზე მეტმა მკვიდრმა ხელი მოაწერა გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილის გადაყენების მოთხოვნას. ამის შესახებ სააგენტო „უნიანს“ „პეტრო პოროშენკოს ბლოკის“ ხელმძღვანელმა დიმიტრი გოლუბოვმა შეატყობინა.

უმაღლესი რადას დეპუტატის განცხადებით, მან სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნას პირადად მოაწერა ხელი, ვინაიდან მან ერთი წლის განმავლობაში არაფერი გააკეთა ხალხის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

გოლუბოვმა, ასევე, დაამატა, რომ სააკაშვილმა ოდესა-რენის ტრასის არც ერთი მეტრი არ ააშენა, საბაჟოს გეგმა ჩააგდო, საქართველოს ექსპრეზიდენტის მრჩევლებს შორის კორუფცია სუფევს, სახელმწიფო მოხელეები კი ადგილობრივ ბიზნესმენებს ფულს სძალავენ. (kvira.ge)

## „ვაშინგტონ პოსტი“: „პუტინი კი არა, თვითონ ბარაკ ობამა დგას ჭაობში ჩაფლობის საფრთხის წინაშე“



„ვაშინგტონ პოსტმა“ სირიიდან რუსეთის სამხედრო კონტინგენტისა და ტექნიკის გაყვანის თაობაზე სარედაქციო სტატია გამოაქვეყნა: ვლადიმერ პუტინმა, როგორც ჩანს, აშშ-ის ადმინისტრაცია კიდევ ერთხელ გააკვირვა, ამჯერად სირიიდან ჯარების გაყვანის თაობაზე მკვეთრი გადაწყვეტილების მიღებით. არადა, პრეზიდენტი ბარაკ ობამა აცხადებდა, რომ რუსეთი სირიის ჭაობში ისე ჩაეფლო, იქიდან ველარ ამოვაო და ყირიმის მიერთებაზე და დონბასის ამბებზე ვლადიმერ პუტინს სამაგიერო მიეგებაო, – ნათქვამია სტატიაში და ჩამოთვლილია რუსეთის მიღწევები სირიის პრობლემის მოგვარების საკითხში: „ყველაზე აშკარა წარმატებას ვლადიმერ პუტინმა იმაში მიაღწია, რომ სამოქალაქო ომის ხასიათი შეცვალა – გასულ წელთან შედარებით პრეზიდენტ ბაშარ ასადის ხელისუფლება განმტკიცდა, სირიის არმია რუსეთის დახმარებით ახლა უკვე დამატებით 400 დასახლებულ პუნქტს აკონტროლებს“.

სირიის სამთავრობო ჯარებმა ალეპოს ალყა გაარღვიეს, რუსეთმა აშშ აიძულა, ისეთ მოლაპარაკებაზე დათანხმებულიყო, სადაც სირიის ხელისუფლებაც ფიგურირებს. მოკლედ, ამერიკული გაზეთის რედაქციის აზრით, რუსეთმა ახლო აღმოსავლეთში თავისი გავლენა აღადგინა.

მართალია, უფლებადამცველი ორგანიზაციები და დამოუკიდებელი ექსპერტები რუსეთს ჰუმანიტარულ კატასტროფასა და ლტოლვილთა ნაკადის ინიცირებაში ადანაშაულებენ (რომელიც ინტენსიურმა ავიადაბომბვებმა გამოიწვია), მაგრამ ვლადიმერ პუტინი იმედოვნებს, რომ ამ ზაფხულს დასავლეთი რუსეთს, ალბათ, სანქციებს მოუხსნის.

რუსეთის სამხედრო კონტინგენტის გაყვანამ შეიძლება პრეზიდენტ ბაშარ ასადის გემის აფრებისთვის ქარი შეასუსტოს, რომელიც დემონსტრაციულად აცხადებდა, სირიის მთელ ტერიტორიაზე კონტროლს აღვადგენო, მაგრამ ვლადიმერ პუტინს ასეთი სიტუაციაც აწყობს: მის ინტერესებშია სირიის კონფლიქტის გაყინვა ისე, როგორც ეს უკრაინასა და საქართველოში მოხდა, როცა რუსეთი სტრატეგიულ პოზიციებს მეტ-ნაკლებად ინარჩუნებს, როცა რუსეთის გარეშე ვერანაირი გადაწყვეტილების რეალიზება ვერ მოხდება.

ახლა შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები მარტო არიან დარჩენილნი „ისლამური სახელმწიფოს“ პირისპირ და ბრძოლა უფრო რთული იქნება. დღეს ვლადიმერ პუტინი კი არა, თვითონ ბარაკ ობამა დგას ჭაობში ჩაფლობის საფრთხის წინაშე, – ნათქვამია პუბლიკაციაში. (globalresearch.ge)

## სტალინის შვილიშვილი დახეული კოლგოტებითა და სათამაშო ავტომატით გამოჩნდა

სოციალურ ქსელში დიდი პოპულარობით სარგებლობს იოსებ სტალინის შვილიშვილის, ამერიკის მოქალაქის, კრის ევანსის ფოტოები.

პოლიტიკოსების შვილები და შვილიშვილები ხშირად სარგებლობენ წინაპრების სახელით, თუმცა სტალინის შვილიშვილი მათ რიცხვს არ მიეკუთვნება – კრის ევანსს პოპულარობა და ყურადღების მიქცევა საკუთარი გარეგნობის ხარჯზე სურს.

გოგონას ფოტოსურათებმა, რომლებიც სულ რამდენიმე დღის წინ ფართო განხილვის თემა გახდა, საზოგადოება აღაშფოთა. ვერავის წარმოედგინა, რომ დიდი ბელადის შვილიშვილი ნამდვილი როკ-ენ-როლის წარმომადგენელი გახდებოდა.

მის ფოტოებზე შემდეგ კომენტარებს შეხვდებით:

„მეც ჭკუიდან შევიშლებოდი, რომ მცოდნოდა, სტალინი ბაბუაჩემია“.



„მასში სტალინი არ არის“...

კრის ევანსი, იგივე ოლგა პიტერსი სვეტლანა ალილუევას ქალიშვილია, რომელიც მას უილიამ უესლი პიტერსთან ქორწინებაში შეეძინა. (reitingi.ge)

## 2017 წელი რევოლუციური განწყობების სერიოზულად წარმოჩენის წელი იქნება – გიორგი ახვლედიანი



ვენეციის კომისიის დასკვნასთან დაკავშირებით ინტერპარტიული ჯგუფი პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას ელოდება. ოპოზიციაში აცხადებენ, რომ ვენეციის კომისიის მიერ წარდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებას მთავრობა არ აპირებს.

– ის, რომ ამ არჩევნებს ქვეყნის შიგნით ლეგიტიმაცია აღარ აქვს, ხელისუფლებას კარგად ესმის. ამას თუ ისიც დაემატა, რომ საერთაშორისო დელეგიტიმაციაც მოხდა არჩევნების, ამას საქართველოში ყოველთვის რევოლუცია მოჰყვება. იმიტომ რომ ჩვენ მივიღებთ არჩევნებს, რომელიც საზოგადოების თვალში ნაცრის შეყრა იქნება. 2017 წელი რევოლუციური განწყობების სერიოზულად წარმოჩენის წელი იქნება, – აცხადებს გიორგი ახვლედიანი. (ნიუპოსტი)

## პოლიციამ „ნიუპოსტის“ მთავარი რედაქტორის სახლი გაჩხრიკა

როგორც სამართალდამცავები აცხადებდნენ, ჩხრეკა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო.

დაუდასტურებელი ინფორმაციით, ისინი „ნიუპოსტის“ მთავარი რედაქტორის ეკა შინდაგორიძის სახლში ცეცხლსასროლ იარაღს ეძებდნენ.

გარდა ამისა, დაკითხვაზე იმყოფებოდა ეკა შინდაგორიძის ვაჟი დავით ჯარშეიშვილი, რომელსაც სამართალდამცავები ერთი საათის განმავლობაში კითხავდნენ. დაკითხვა ფორმალური ხასიათის იყო. დეტალები აღნიშნულ საკითხზე ჯერჯერობით უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ჩხრეკის ოპერაციის შედეგად სამართალდამცველებმა კანონსაწინააღმდეგო ვერაფერი აღმოაჩინეს. (ნიუპოსტი)

## „დღეს აღარ არის ერთი დიდი მამაძაღლი, მაგრამ გვყავს ბევრი პატარ-პატარა მამაძაღლი“



ფარული კადრების გავრცელებას გია ხუხაშვილი **TV PIRVELI**-ს ეთერიდან გამოეხმაურა.

მისი განცხადებით, ადრე, როცა პრობლემა იდენტიფიცირებული იყო, ზუსტად ვიცოდით, საიდან მოდიოდა და რასთან უნდა გებრძოლა. დღეს მდგომარეობა სხვაგვარადაა, ვინაიდან უცნობია, ვინ არის ამ სიბინძურის სათავე.

– ადრე ყველაფერი ცხადი იყო. იყო რეჟიმი, სასტიკი რეჟიმი. ჩვენ ვიცოდით, რომ იჯდა ერთი მამაძაღლი სადღაც და ის მამაძაღლი მართავდა ყველაფერს. თუ რამე დანაშაული ხდებოდა, ზუსტად ვიცოდით, რომ ეს დანაშაული მოდიოდა მისგან. დღეს აღარ არის ერთი დიდი მამაძაღლი, მაგრამ გვყავს ძალიან ბევრი პატარ-პატარა მამაძაღლი ყველა მიმართულებით. ჩვენ ახლა ვმსჯელობთ, საიდან უნდა მოდიოდეს ეს ყველაფერი, ვინ შეიძლება იყოს დამკვეთი. ექვმიტანილია, ფაქტობრივად, ყველა. როგორც ხელისუფლება, ასევე პოლიტიკური ოპოზიცია, – აცხადებს გია ხუხაშვილი.

მისივე თქმით, კადრების არსებობით დგება ქვეყნის უსაფრთხოების საკითხი.

– ბევრი ადამიანი შეიძლება ექვემდებარებოდეს შანტაჟს. ეს კადრები გაბნეულია, მას ჰყავს ბევრი მფლობელი. კერძო პირებით დაწყებული უცხოეთის სპეცსამსახურებით დამთავრებული. რეალურად ეს არის მექანიზმი, რომელმაც ძალიან სერიოზულად შეიძლება დაარტყას სახელმწიფო ინტერესებს, – განაცხადა მან. (postalioni.com)

## თბილისის ცენტრში მამაკაცს „დუბინკით“ გაუსწორდნენ




რუსთაველის გამზირზე, ოპერის მიმდებარე ტერიტორიაზე დაუდგენელმა პირმა ახალგაზრდა მამაკაცს სასტიკად სცემა.

როგორც თვითმხილველი აცხადებს, მამაკაცი მცირეწლოვან შვილთან ერთად ავტომობილიდან გადმოვიდა, რა დროსაც „დუბინკით“ თავის არეში დაზიანებები მიაყენეს.

ადგილზე სასწრაფო და საპატრულო პოლიცია გამვლელებმა გამოიძახეს. რაც შეეხება ბრალდებულს, ის ადგილიდან მიიმალა. (ნიუპოსტი)

## „აგენტურული ყოფის ანატომია გულისხმობს, რომ კომპრომატი გამოიყენება „ვერბოვკის“ ინსტრუმენტად და როცა ის საჯაროვდება, კარგავს კომპრომატის ღირებულებას“



მცხეთა-მთიანეთში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული ვასილ მაღლაფერიძე ფარული ჩანაწერების თემას ეხმიანება და აცხადებს:

– წინა ხელისუფლების დროს მადისკრედიტებელ ვიდეოებს რომ იღებდნენ და არ ასაჯაროებდნენ, ამაში სატრაბახო არაფერია. აგენტურული ყოფის ანატომია გულისხმობს, რომ კომპრომატი გამოიყენება „ვერბოვკის“ ინსტრუმენტად და როცა ის საჯაროვდება, კარგავს კომპრომატის ღირებულებას. ათასობით ვიდეოს ვიღაც ერთეული მანიაკები საკუთარი ჭიის გასართობად კი არ იღებდნენ, როგორც ეს დღეს სურთ, რომ წარმოაჩინონ, ეს ცალკეული შემთხვევები კი არ იყო, არამედ კომპრომატებით შანტაჟი იყო ქვეყნის მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი და ამის შესახებ ყველაფერი დეტალურად იცოდა მმართველმა ჯგუფმა, რომლის მითითებითაც ხდებოდა ყველაფერი, რაც ხდებოდა.

სპეცსამსახურების მიერ მოპოვებული ყველა კომპრომატი, მათ შორის პირადი საიდუმლოს შემცველი ვიდეოები ან უკვე გამოყენებული იყო „ვერბოვკისთვის“, ან აპირებდნენ მის გამოყენებას საჭირო მომენტში.

სისტემა კომპრომატ-ვიდეოებს მოქალაქეების დასათრგუნად იყენებდა, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ამის პარალელურად, სისტემის ცალკეული ნაწილები, ამ ვიდეოებს ანგარებისა და გამორჩენის მიზნით გადასცემდნენ ხოლმე სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებსაც, რომლებიც ცხადია, ამ მასალებს ასევე „ვერბოვკისთვის“ გამოიყენებდნენ.

ჩვენ ამჟამად ვსაუბრობთ ვიდეოებით გამოწვეულ ადამიანურ ტრაგედიებზე, მაგრამ ჯერ წარმოდგენა არ გვაქვს, რა ზიანი მიაყენა სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების ხელში მოხვედრილმა „დასავერბოვკებელმა“ მასალებმა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას და რა ადამიანური ტრაგედიები და მსხვერპლი მოჰყვა ამას (და შეიძლება კიდევ მოჰყვეს)! ამას ცალკე გამოძიება სჭირდება!

ამიტომ სრული სიბეცე და სიბრიყვე იყო თავის დროზე ამ ვიდეოების განადგურებაზე საუბარი. თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში როდესაც ერთი „ფლეშკა“ ათასობით ფაილს იტევს, ხოლო გადაწერას წამები სჭირდება, ზედმეტია რაიმეს განადგურებაზე საუბარი. ასევე, რთულია იმის განსაზღვრა, ვის როდის მოუნდება ამ ვიდეოების გავრცელება პოლიტიკური, ანგარების ან სულაც მანიაკალური მიზნებიდან გამომდინარე. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ასეთი ვიდეოების გავრცელება ინტერნეტში არც ისე რთულია, ხოლო გამოძიება – ძალიან ძნელი.

ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ აგრესიულ საგარეო განზრახვებზე საქართველოს მიმართ და განზრახვები სწორედაც რომ „დავერბოვკებული“ აგენტების მეშვეობით ხორციელდება. „დავერბოვკება“, როგორც წესი, სისუსტეების პოვნით და კომპრომატების მოგროვებით ხდება. ამიტომ ეს ავადსახსენებელი ვიდეოები მხოლოდ ცალკეული მოქალაქეების პრობლემას კი არ წარმოადგენს, მთელი ქვეყნის უსაფრთხოების თემას უკავშირდება.

ცალკეული შემთხვევების გამოძიება მნიშვნელოვანია, მაგრამ, ამავე დროს, აუცილებელია გამოძიება, რომელიც მთელ სისტემას წარმოაჩენს – რა მოვლენასთან გვქონდა საქმე, რა მასშტაბი ჰქონდა დანაშაულს?! უნდა გამოაშკარავდეს ჯაჭვი შემსრულებლიდან დამკვეთამდე. ეს, სხვათა შორის, იმ მძიმე კითხვასაც გასცემს პასუხს, ვინ არიან და სად არიან დღეს ამ ჯგუფური და სისტემური დანაშაულის თანამონაწილეები და რამდენად ვართ დაზღვეულები, რომ ისინი კვლავაც აქტიურად არ მონაწილეობენ საზოგადოებისთვის სახიფათო პროცესებში. (marshalpress.ge)

## თეა წულუკიანი: ნიკა გვარამია თავად იყო ფარული ვიდეოების ოპერატორ-რეჟისორი



– თვითონ გვარამია იყო ერთ-ერთი ოპერატორ-რეჟისორი, როდესაც ამტკიცებდა, რომ გამსახურდია თურმე, არის რუსეთის აგენტი, – ასე გამოეხმაურა იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის განცხადებას, სადაც ნიკა გვარამია მის მიმართ შანტაჟის შესახებ საუბრობდა.

თეა წულუკიანმა ნიკა გვარამიას წარსული და ის პერიოდი გაიხსენა, სადაც ყოფილმა მთავარმა პროკურორმა ცოტნე გამსახურდიას რუსეთის აგენტობაში დასდო ბრალი და ფარული ვიდეოკადრები გაავრცელა.

– რაც შეეხება ნიკა გვარამიას განცხადებას თვალთვალის შესახებ, კანონით მე არ ვარ ჩახედული მაგ საქმეში და არც უნდა ვიყო ჩახედული. ასეა კანონით გათვალისწინებული, მაგრამ, ალბათ, შესაბამისი ორგანოები ამის შესახებ პასუხს გასცემენ. თვითონ გვარამიას წარსული კი კარგად გვახსენდება, რომ ის იყო ერთ-ერთი ოპერატორ-რეჟისორი, როდესაც ამტკიცებდა, რომ გამსახურდიების გვარი თურმე არის რუსეთის აგენტი და დგამდა ვიდეოებს, რომ თურმე ვინც ოპოზიციონერია, ყველა არის ხალხის მტერი და შემდეგ გამოდიოდა ტელევიზიით.

არ მავიწყდება, სტრასბურგიდან ვუმზერდი მას, როგორც ამ ყველაფრის დამაანონსებელს და მის მიერვე დადგმულ შავ-თეთრ კადრებს და გავრცელებას. ამიტომ მის სიტყვას, როგორც ერთი მოქალაქის, აქვს ფასი, მაგრამ რომ გითხრათ, ძალიან დიდი ფასი აქვს-მეთქი, მოგატყუებთ. მიუხედავად ამისა, ის ჩვენი ქვეყნის მოქალაქეა და რა თქმა უნდა, ყველა ფაქტი სერიოზულად უნდა იყოს შესწავლილი, – განაცხადა თეა წულუკიანმა. (kvira.ge)

## ანკარაში მომხდარ ტერაქტზე პასუხისმგებლობა დაჯგუფება „ქურთისტანის განთავისუფლების ქორებმა“ აიღო



ანკარაში განხორციელებული ტერაქტისთვის პასუხისმგებლობა რადიკალურმა სამხედრო დაჯგუფება „ქურთისტანის განთავისუფლების ქორებმა“ აიღო. როგორც „ბიბისი“ წერს, შესაბამისი განცხადება დაჯგუფების ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ქურთი რადიკალები განცხადებაში თურქეთს ფაშისტურ ქვეყანას უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ ანკარაში მომხდარი ტერაქტი იყო პასუხი თურქეთის სამხედრო ოპერაციაზე, რომელსაც თურქეთი სამხრეთ-აღმოსავლეთში, ქურთების დასახლებულ რაიონებში ატარებს.

„ქურთისტანის განთავისუფლების ქორებში“ აცხადებენ, რომ ანკარაში ორგანიზებული ტერაქტი თურქეთის უშიშროების ძალების თანამშრომლების წინააღმდეგ იყო მიმართული.

დაჯგუფებაში აცხადებენ, რომ თუ ანკარა პოლიტიკას არ შეცვლის, ახალი თავდასხმები განხორციელდება.

13 მარტს თურქეთის დედაქალაქში დანაღმული ავტომობილის აფეთქებას 37 ადამიანი ემსხვერპლა. (ინტერპრესნიუსი)

## რობი უილიამსის გარდა, საქართველოს, სავარაუდოდ, ეროს რამაზოტიც ეწვევა



ბრიტანელი მომღერლის, რობი უილიამსის გარდა, საქართველოში შესაძლოა, კიდევ ერთი მსოფლიო ვარსკვლავი, პოპულარული იტალიელი მომღერალი ეროს რამაზოტიც ჩამოვიდეს.

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, რამაზოტის სტუმრობა იმ პროექტის ფარგლებში იგეგმება, რომელიც საქართველოში უმაღლესი კლასის არტისტების ჩამოყვანას ითვალისწინებს.

აღნიშნული მიზნით კულტურის სამინისტროსთვის თანხის გამოყოფის საკითხზე მთავრობა დღევანდელ სხდომაზე მსჯელობს.

არსებული ინფორმაციით, მსოფლიო ვარსკვლავების საქართველოში ჩამოყვანა საქართველოს დამოუკიდებლობის 25 წლისთავთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში მოხდება. ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, საქართველოში კონცერტების გამართვის საკითხზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს რობი უილიამსთანაც. (პირველი რადიო)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



# ბაგა-ბაღებში უვარგისი ხორცის შემდეგ, „მუტანტი“ კარტოფილის შეტანაც დაუწყიათ...



**რა აღმოაჩინეს არასამთავრობო ორგანიზაციის მონიტორებმა ბაგა-ბაღებში? ვინ ამარაგებს ბაღებს და რას აკეთებს სიტუაციის გამოსასწორებლად ბაღების მართვის სააგენტო?**

**„ალიას“ „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე, გია ბურჯანაძე ესაუბრა:**

– ბაგა-ბაღების კვების ბლოკში სერიოზული პრობლემებია, წლებია, მიმდინარეობს საუბრები ხორცთან დაკავშირებით. ამის მიუხედავად, პრობლემა დარჩა პრობლემად. ბოლო ორი წლის განმავლობაში ხორცის მომმარაგებელ რამდენიმე კომპანიას თავიანთი მოვალეობის არაკეთილსინდისიერად შესრულებისთვის დაეკისრათ სხვადასხვა სახის სანქციები. შესაბამისად, მათ შეუწყდათ თბილისის ბაგა-ბაღებთან დადებული ხელშეკრულებები. უნდა აღვნიშნო, რომ თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტო ჩვენთან ერთად აქტიურად არის ჩართული ისეთ საქმიანობაში, რომელიც დანაშაულებრივი საქმიანობის აღმოფხვრას ითვალისწინებს, თუმცა ზოგიერთი კომპანიები, რომლებიც მხილებულები არიან სხვადასხვა ქმედებებში, დღესაც აქტიურად მუშაობენ ამ ბაზარზე. ტარდება ტენდერი უმაღლესი ხარისხის საქონლის რბილ ხორცზე, და ვიღებთ საშუალო ხარისხის, ხშირ შემთხვევაში კი, გადასაყრელად გამზადებული პროდუქტების შეტანას საბავშვო ბაღების კვების ბლოკში. სამწუხაროა, რომ ჩვენი პატარების ჯანმრთელობის ხარჯზე გარკვეული ბიზნესმენები ჯიბეებს ისქელებენ და ამის აღმოფხვრას საშველი არ დაადგა.

გასულ წლებში ასეთი ქმედებები ბაგა-ბაღების სააგენტოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წახალისებულიც კი იყო. საქმე გვქონდა კორუმპირებულ სისტემასთან, დღეს კი, ამ პრობლემას ჩვენთან ერთად ებრძვის თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტო, რასაც ვერ ვიტყვით სოფლის მეურნეობის სამინისტროზე. პირდაპირ ვაცხადებ, არ მომწონს ამ სამინისტროს მუშაობა იმიტომ, რომ მუშაობის პროცესში მთელ რიგ ბარიერებს გვიქმნიან. შესაბამისად, წარმოუდგენელი და შეუძლებელი ხდება ამ მიმართულებით მონიტორინგის წარმოება. მე ვთხოვ მინისტრ დანელიას, რომელიც საკმაოდ კეთილგანწყობილია არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, ყურადღება მიაქციოს ჩვენ მიერ მიწოდებულ ინფორმაციებს, თორემ ჩვენ რომ ინფორმაციას ვაწვდით 3 საათზე, ბაგა-ბაღებში შესამოწმებლად შედიან 7 საათზე. უამრავჯერ მოხდა მსგავსი რამ.

16 მარტს საღამოს ჩემი მონიტორებისგან მივიღე ინფორმაცია, რომ ისევ და ისევ გრძელდება უხარისხო ხორცის შეტანა საბავშვო ბაღებში. შედის კამეჩის ხორციც და მე მინდა მივმართო ბაგა-ბაღებს, ყურადღება მიაქციონ შემდეგ გარემოებას: თუ ხორცის ხარშვა გრძელდება 4-5 საათის განმავლობაში, ეს უკვე არის არა საქონლის, არამედ, კამეჩის ხორცი. ასეთ შემთხვევაში შეადგინონ ოქმი, ეს მოგვცემს საშუალებას, რომ დავაფიქსიროთ დარღვევა, თორემ ისე ჰგავს კამეჩისა და საქონლის ხორცი ერთმანეთს, რომ ძნელი გასარჩევია. საქონლის ხორცი იხარშება საათ-ნახევარში, ხოლო კამეჩის 4-5 საათში. ასეთი შემთხვევები კი უნდა მიაწოდონ ბაღებმა შესაბამის სამსახურებს, რაც თავისთავად გამოავლენს დარღვევას, რომ ის კომპანია, რომელიც დღეს თბილისის ბაგა-ბაღებს ხორცით ამარაგებს, იქნეს გამოვლენილი.

ჩვენმა ორგანიზაციამ დააკომპლექტა ექსპერტების ჯგუფი, რომლებისთვისაც არ არის რთული საქონლისა და ძროხის ხორცის ერთმანეთისგან გარჩევა. ეს ჯგუფები იმუშავებენ შესაბამისი უფლებების ფარგლებში. ეს ყველაფერი გამჭვირვალეს გახდის კვების ბლოკს და არაკეთილსინდისიერ მეწარმეს არ მისცემს იმის ფიქრის საშუალებას, რომ უვარგისი პროდუქცია შეიტანოს ბაგა-ბაღში. პრობლემების ბუკეტებია საბავშვო ბაღების კვების ბლოკში და ჩვენ ვცდილობთ, რაღაც გამოსავალი ვნახოთ.

ბაგა-ბაღების ძალიან ბევრი გამგე მართლაც გასათავისუფლებელია, მსგავსი ფაქტების დამალვის გამო. ისინი მსგავს დარღვევებზე პირველ რიგში არიან ინფორმირებულები. სანამ გამგეებად მუშაობენ, მანამ ხმას არ იღებენ, როგორც კი გაათავისუფლებენ, აღმოჩნდება, რომ თურმე პრობლემები ყოფილა კვების ბლოკში. ძირითადად, სამსახურებიდან ტყუილად არავინ არავის უშვებს, თუმცა არის გარკვეული შემთხვევები, როდესაც სააგენტო ნამდვილად აჭარბებს თავის კომპეტენციას. ჩვენი ინფორმაციით, ასეთი შემთხვევებიც კი ფიქსირდება, როდესაც ბაღის გამგეებს გარკვეული პროდუქტები სახლში მიაქვთ და საახლობლოში ყიდიან. შეგნებულად არ ვასახელებ მათ სახელებსა და გვარებს, თუმცა თვითონ მიხვდებიან, ვის ვგულისხმობ.

**— რატომ არ აყენებთ საქმის კურსში შესაბამის სამსახურებს?**

– ჩვენ კონკრეტული ფაქტები არ გვაქვს ამის დასამტკიცებლად, არ გვაქვს იმხელა რესურსი, რომ მათი მონიტორინგი ვაწარმოოთ.

ახლა, კვების ბლოკის მეორე საკითხს შევეხები, რაზეც არავინ ლაპარაკობს რატომღაც... საუბარი მაქვს კარტოფილზე. თქვენ გინახავთ ერთ და ორკილოიანი კარტოფილები? მე მინახავს...

ბოლოს ასეთი კარტოფილი ვნახე თბილისის ბაგა-ბაღებში. ჩემი ინფორმაციით, ასეთი ფოტომასალები თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოსაც აქვს და ისინი იწყებენ გარკვეულ ქმედებებს. შემოსავლების სამსახურს მინდა მივმართო: როდესაც საბაჟოზე შემოდის მსგავსი პროდუქცია, ასეთი შემთხვევები ხომ ავალდებულებს საბაჟოს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, კონტროლი გაუწიონ ასეთ პროდუქციას. ეს ბოსტნეული გაჯერებულია ნიტრატებით, რატომღაც მსგავსი კონტროლი არ ხორციელდება და ბაგა-ბაღების კვების ბლოკში ხდება კილოიანი კარტოფილების შეტანა, ეს პროდუქტი არის გაჯერებული ნიტრატებით, რომლის წინააღმდეგაც მსოფლიო იბრძვის. ალბათ, წარმოგიდგენიათ, რა ნიტრატებით უნდა იყოს გაჯერებული მიწა, რომ ასეთი მუტანტი კარტოფილი მიიღო.

ბაგა-ბაღების გამგეებს ვუსვამ კითხვას, ისინი მიიტანენ ასეთ კარტოფილს სახლში და საკუთარ შვილებს აჭმევენ?! რატომ იმეტებენ სხვის შვილებს და რატომ დუმან?.. ჩვენი მთავრობა კი, ნაცვლად იმისა, რომ პრობლემის მოგვარებაზე მუშაობდეს, ვითარებას აუარესებს.

მე მაქვს საგანგაშო ინფორმაცია, რომლის თანახმადაც არსებობს 567-ე დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ ქვეყანაში შემოსულ კარტოფილზე საერთოდ მოიხსნას ნიტრატების შემცველობის შესახებ აკრძალვის რეგულაცია. რაც ნიშნავს იმას, რომ არანაირი ნიტრატები არ შემოწმდება, ნებისმიერი კარტოფილი შემოვა ქვეყანაში და გაიყიდება ბაზარზე. სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაგიდასტურებთ ჩემ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, არ ვიცი, კონკრეტულად ვისი ბიზნესინტერესები ტარდება ამ ქმედებით, ან ვინ შეიმუშავა ეს დადგენილება, მაგრამ ფაქტია, რომ მიმდინარე წლის ივლისში ძალაში შევა. ეს იქნება ბიოლოგიური ომი, რომლითაც ყველას ამოგვწყვეტენ. თხოვნით მინდა მივმართო უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს, დაინტერესდეს აღნიშნული საკითხით, ნუ მოგვიკლავენ შვილებს, რომლებიც საბავშვო ბაღებში იკვებებიან. ერთი და იგივე კორუმპირებული ჩინოვნიკების ინტერესს სიცოცხლე და ჯანმრთელობა არ უნდა შეეწიროს.

**„ალია“ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილეს, კახა სოხაძეს დაუკავშირდა. „კანონმდებლობა უნდა მოვიდეს ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში. აღნიშნული დადგენილება პირველ ივლისს შედის ძალაში და იქ არის ჩამონათვალი, სადაც ნორმირდება ნიტრატების შემცველობა, თუმცა, ამ ჩამონათვალში კარტოფილი საერთოდ არ გვხვდება“.**

**„ალია“ კვლავ გია ბურჯანაძეს დაუკავშირდა. „თუ ჩამონათვალში კარტოფილი არ არის და არც იქნება, მაშინ საიდან ხვდება საბავშვო ბაღებში კილოიანი კარტოფილები?!“ — რიტორიკული შეკითხვით გვიპასუხა ბურჯანაძემ.**

**„თქვენ გინახავთ ერთ და ორკილოიანი კარტოფილები? მე მინახავს... ბოლოს ასეთი კარტოფილი ვნახე თბილისის ბაგა-ბაღებში... ეს პროდუქტი არის გაჯერებული ნიტრატებით, რომლის წინააღმდეგაც მსოფლიო იბრძვის. ალბათ, წარმოგიდგენიათ, რა ნიტრატებით უნდა იყოს გაჯერებული მიწა, რომ ასეთი მუტანტი კარტოფილი მიიღო. ბაგა-ბაღების გამგეებს ვუსვამ კითხვას, ისინი მიიტანენ ასეთ კარტოფილს სახლში და საკუთარ შვილებს აჭმევენ?! რატომ იმეტებენ სხვის შვილებს და რატომ დუმან?..“**

## მოსკოვი აფხაზებისთვის რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებული წესით გაცემაზე მუშაობს



მოსკოვი სოხუმის მარიონეტულ რეჟიმთან აფხაზებისთვის რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებული წესით გაცემაზე იმსჯელებს.

„რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, შესაბამის საკითხს 18 მარტს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აფხაზ „კოლეგასთან“ ვიაჩესლავ ჩირიკბასთან მოსკოვში დაგეგმილ შეხვედრაზე განიხილავს.

ჩირიკბას განმარტებით, მოლაპარაკებების დროს იგეგმება მსჯელობა ჟენევის დისკუსიების მსვლელობაზე, ე.წ. რუსულ-აფხაზური საზღვრის გადაკვეთის კომფორტული რეჟიმის შექმნასა და სხვა საკითხებზე. (ინტერპრესნიუსი)

## ზვიად კვაჭანტირაძე არ გამორიცხავს, რომ ქართულმა მხარემ აბაშიძე-კარასინის ფორმატის „ხარისხობრივი ცვლილების“ საკითხი დააყენოს

– თუ კარასინი კვლავ აპირებს ასეთი ტონით ლაპარაკს, ამ ფორმატში კარასინი არ გამოგვადგება, რადგან ეს ფორმატი მიმართულია სულ სხვა მიზნებისთვის, – ამის შესახებ ჟურნალისტებს უმრავლესობის ლიდერმა ზვიად კვაჭანტირაძემ განუცხადა.

– ვფიქრობ, ჩვენ გარკვეული მესიჯიც მივიღეთ კარასინის პირით და მოდით, ვაღიაროთ, რომ ის მარტო საკუთარ აზრს, ალბათ, არ ახმოვანებდა, როდესაც ასე თითის დაქნევით გველაპარაკა. ვფიქრობ, ერთი მხრივ, ეს სასარგებლოა იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ ზუსტად ვიცით, რასთან გვაქვს საქმე. თუ კარასინი კვლავ აპირებს ასეთი ტონით ლაპარაკს, ამ ფორმატში კარასინი არ გამოგვადგება, რადგან ეს ფორმატი მიმართულია სულ სხვა მიზნებისთვის, – განაცხადა ზვიად კვაჭანტირაძემ.

მისივე თქმით, აბაშიძე-კარასინის ბოლო შეხვედრისგან გაცილებით მეტი ინფორმაციის მოსმენაა საჭირო.

– აბაშიძე-კარასინის ბოლო შეხვედრისგან ჩვენ გაცილებით მეტ ინფორმაციას მოვითხოვთ. ბატონ ზურაბს მოვიწვევთ და აუცილებლად ვკითხავთ მას ყველა დეტალს. ბევრი შეფასება გაკეთდა კარასინის გამონათქვამებთან დაკავშირებით. მიხარია, რომ მთელი პოლიტიკური სპექტრი იყო ერთსულოვანი განცხადებებში. ერთმნიშვნელოვნად ამ განცხადებას ცინიკურის მეტს ვერაფერს ვუწოდებ. მე ვფიქრობ, რომ ბატონი კარასინი ამ განცხადებაში გასცდა თავისი უფლებამოსილების ფარგლებს, ვიდრე ამას წარმოვიდგენდით, – განაცხადა ზვიად კვაჭანტირაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## აი, მესმის თანამდებობების შეცვლააა!..




სურსათის ეროვნული სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი ზაზა დოლიძე ფეხბურთის განვითარების ფონდს ჩაუდგა სათავეში.

ზაზა დოლიძის ფეხბურთის განვითარების ფონდის ხელმძღვანელად გადასვლის შესახებ ინფორმაცია სოფლის მეურნეობის სამინისტროში დაადასტურეს.

ზაზა დოლიძე სურსათის ეროვნულ სააგენტოს 2016 წლის 1-ელ მარტამდე ხელმძღვანელობდა. იგი თანამდებობიდან პრემიერ-მინისტრის ბრძანების საფუძველზე განთავისუფლდა.

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, ზაზა დოლიძემ თანამდებობა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა და უკვე ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდში" განაგრძობს მუშაობას. (bpn.ge)

## რამდენად ბედნიერია საქართველო

საქართველომ ბედნიერების ინდექსის მიხედვით, მსოფლიოს 156 ქვეყანას შორის 126-ე ადგილი დაიკავა. შესაბამისი ანგარიში გაეროს „მდგრადი განვითარების გადაწყვეტის ქსელმა" გამოაქვეყნა.

კვლევის თანახმად, 2015 წელთან შედარებით საქართველო ბედნიერების ინდექსის მიხედვით დაწინაურდა და პოზიცია 4 პუნქტით გაიუმჯობესა.

2016 წლის ბედნიერების ინდექსის მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ქვეყანა დანიაა. ამ მხრივ, მეორე ადგილი შვეიცარიამ დაიკავა. ხუთეულში, ასევე, შევიდნენ ისლანდია, ნორვეგია და ფინეთი. ათეულში კი კანადა, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ავსტრალია და შვედეთი. რაც შეეხება აშშ-ს, იგი მე-13 პოზიციას იკავებს წელს, გერმანია კი მე-16 ადგილზეა.

კვლევის მიხედვით, ყველაზე ნაკლებად ბედნიერი ქვეყანა ბურუნდი აღმოჩნდა, რომელიც მწვავე პოლიტიკურ კრიზისს განიცდის.

მას მოჰყვება სირია, სადაც სამოქალაქო ომი უკვე 5 წელია მიმდინარეობს.

რაც შეეხება ჩვენს მეზობელ ქვეყნებს, ყველა მათგანი ბედნიერების ინდექსის მიხედვით საქართველოს რეიტინგში უსწრებს. კერძოდ, 2016 წლის კვლევის მიხედვით, რუსეთი 56-ე, თურქეთი 78-ე, აზერბაიჯანი 81-ე, ხოლო სომხეთი 121-ე ადგილზე გავიდა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მოლდოვა – 55-ე, ხოლო უკრაინა 123-ე ადგილზეა.

ბედნიერების ინდექსს თითოეული ქვეყნიდან 1 000 გამოკითხულის პასუხების მიხედვით ადგენენ. კვლევაში მონაწილე პირებს სთხოვენ, შეაფასონ თავიანთი ცხოვრებისა და ბედნიერების დონე 0-დან 10 ქულამდე.

კვლევაში გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები: მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, სოციალური მხარდაჭერა, სიცოცხლის ხანგრძლივობა, თავისუფლება, კორუფციის აღქმა და ასე შემდეგ. (allnews.ge)

## „აუცილებლად წავიკითხავ „ვეფხისტყაოსანს" — რა იცის საქართველოზე შოთა რუსთაველის ორეულმა ბრიტანელმა მოდელმა

„ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი და მე აშკარად დაბადებისას განგვაცალკევეს. ანუ გამოდის, ახლა 800 წლის ვარ", – წერს ბრიტანელი მოდელი რიჩარდ ბიედული თავის „ფეისბუკ" გვერდზე და ფოტოს აქვეყნებს, სადაც მასა და რუსთაველს შორის საოცარი მსგავსებაა. **sova.news**-მა ბრიტანელ მოდელთან ამ საკითხზე ინტერვიუ ჩაწერა:

**— შენ ქართული ინტერნეტსივრცე ააფეთქე. ყველა აზიარებს შენს ფოტოს, სადაც შოთა რუსთაველს გაჭრილი ტის გაგება ადამიანზე, რომელსაც ასე ჰგავხარ. გაქვს სურვილი, წაიკითხო მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი"?**

– „ვიკიპედიაზე" წავიკითხე მის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა საქართველოს ისტორიაში. ჯერ არ მომცემია საშუალება „ვეფხისტყაოსნის" წაკითხვის, მაგრამ რამდენიმე დღეში გერმანიაში მივდივარ და აუცილებლად წავიკითხავ პოემას თვითმფრინავში.

**— გყავს ქართველი მეგობრები? რა იცი, ზოგადად, ამ ქვეყნის შესახებ?**

– საქართველოზე ცოტა რამ ვიცი და მგონი, არც ქართველს ვიცნობ არავის. თუ არ ჩავთვლით ცნობილ ფეხბურთელ გიორგი ქინქლაძეს, რომელიც „მანჩესტერ სიტიში" თამაშობდა, როდესაც ახალგაზრდა ვიყავი. ძალიან მაგარი ფეხბურთელი იყო და ყველას უნდოდა, მას დამსგავსებოდა.

**— გაქვს საქართველოს მონახულების სურვილი? იქ უკვე მრავალრიცხოვანი ფანკლუბი გელის.**

– რასაკვირველია. თქვენს ქვეყანას ძალიან მდიდარი ისტორია აქვს და მინდა, მეტი შევიტყო მის შესახებ პირველწყაროდან.

**— მოგვიყევი შენს შესახებ. რამდენი ხანია სამოდელო ბიზნესში ხარ?**

– სანამ მოდელი გავხდებოდი, 5 წელი ლონდონში ადვოკატად ვმუშაობდი. შემთხვევით სამოდელო სააგენტოს აგენტმა შემამჩნია პაბში. უკვე 3 წელია მოდელი ვარ და ეს საოცარი გამოცდილებაა. მსოფლიო მოვიარე და ბევრი კარგი ადამიანი გავიცანი. ისეთ ბრენდებთან მაქვს ნამუშევარი, როგორიცაა „არმანი", „კანალი" და „ლა პერლა"...

**— ჰობი თუ გაქვს? რითი ხარ ხოლმე დაკავებული თავისუფალ დროს?**

– თავისუფალ დროს წიგნებს ვკითხულობ და ფილმებს ვუყურებ. ქალაქების ფოტოპეიზაჟების დიდი ფანატი ვარ.

**— ყველას გვყავს იდეალები და კუმირები. შენ თუ გყავს — შოუბიზნესიდან ან სხვა სფეროდან?**

– კონკრეტული იდეალი არავინ მყავს. ალბათ, ჩემი ყველაზე დიდი შთაგონება ჩემი მშობლებია.






**ვაშლივით ჰგავხარ. ელოდი, რომ შენს ხუმრობას ასეთი შედეგი ექნებოდა?**

– ფოტო ვნახე ინტერნეტში და საკუთარ გვერდზე დავდე. ვერც წარმოვიდგენდი, რომ ასეთ ემოციებს გამოიწვევდა ქართველებში.

**— მოგწონს გარეგნულად შოთა რუსთაველი?**

– კი! ვერ ვიჯერებ ასეთ მსგავსებას. ტანსაცმელიც კი მსგავსია. წარმოუდგენელია, რომ 800 წლის წინათ ცხოვრობდა.

**— როგორ შეიტყვე მის შესახებ?**

– ფოტოზე მომნიშნეს, შემდეგ კი დავგუგლე მისი სახელი.

**— ალბათ, დაგაინტერესა მე-**





**— რას ეტყოდი შოთა რუსთაველს, მასთან შეხვედრა რომ შეგძლებოდა?**

– ალბათ, ვკითხავდი, სად შეიძინა თავისი არაჩვეულებრივი ქუდი. მეც მინდა ასეთი! (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ISET — საქართველოში ბიზნესის ნდობის ინდექსი გაუმჯობესდა




საქართველოში ბიზნესის ნდობის ინდექსი მკვეთრად გაუმჯობესდა და – 100/100 ბალიანი შკალით 11-დან 14 პუნქტამდე გაიზარდა.

„კვირიკაშვილის ეფექტი" – ასე უწოდებენ თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის **(ISET)** მკვლევარები საქართველოს გაუმჯობესებულ მონაცემებს. მათი მოსაზრებით, იმის ფონზე, რომ საქართველოში მაკროეკონომიკური კუთხით რაიმე მასშტაბური ცვლილება არ მომხდარა, ბიზნესის ნდობის ინდექსის განმტკიცება შეიძლება ჩაითვალოს ნდობის ვოტუმად საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილისთვის ბიზნესწრეების მხრიდან.

**ISET** აღნიშნავს, რომ კვირიკაშვილის პრემიერობის პირველი რამდენიმე თვე გამოირჩა ბიზნესის დახმარებისკენ მიმართული უამრავი ინიციატივით, მათ შორის საგადასახადო კოდექსისა და საგადასახადო ადმინისტრირების კუთხით.

– ბიზნესის მოლოდინების კუთხით დაფიქსირდა მოულოდნელი და აუხსნელი გაუმჯობესება. ბიზნესსექტორის ენთუზიაზმი შესაძლოა, იმით იყოს გამოწვეული, რომ კვირიკაშვილისთვის ბიზნესთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება და კერძო სექტორის სასარგებლოდ გადაწყვეტილებების მიღება პრიორიტეტულია, – წერს **ISET**.

კვლევის თანახმად, გასული წლის მეოთხე კვარტალში მოსალოდნელმა საცალო ფასებმა უმაღლეს მაჩვენებელს მიაღწია, ხოლო 2016 წლის იანვარში წლიურმა ინფლაციამ 5,6% შეადგინა.

– საახალწლო პერიოდმა საშუალება მისცა ბიზნესს, დაერეგულირებინა ფასები ვალუტის კურსის გაუფასურების შესაბამისად, რის გამოც კომპანიები აღარ ელოდებიან საცალო გაყიდვების სექტორში მომდევნო ზრდას, – აღნიშნულია კვლევაში.

**ISET** საქართველოში ბიზნესის კეთების ყველაზე შემზღუდავ ფაქტორად არასაკმარის მოთხოვნას ასახელებს, მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის ფინანსური რესურსების მოზიდვა გაცილებით რთულია, ვიდრე დიდი კომპანიებისთვის. **ISET**-ის კვლევაში მონაწილეობა 222-მა კომპანიამ მიიღო, აქედან 158 მცირე და საშუალო, 64 კი დიდი კომპანია იყო. (bpn.ge)

## რუსეთმა ერაყელ ქურთებს საზენიტო დანადგარები მიაწოდა



რუსეთმა ერაყელ ქურთებს საზენიტო დანადგარები მიაწოდა. ამის შესახებ სააგენტო „რია ნოვოსტის" ერაყის ქურთისტანში რუსეთის საკონსულოში აცნობეს.

შეიარაღების პარტია, რომელიც 5 საზენიტო დანადგარ „**ЗУ-23-2**"-სა და ტყვია-წამალს შეიცავს, ერაყის ქურთისტანის შეიარაღებულ ფორმირება „ფეშმერგას", 14 მარტს გადაეცა.

შეგახსენებთ, თურქეთი ქურთულ შეიარაღებულ ფორმირებებს საკუთარ მოწინააღმდეგედ მიიჩნევს.

13 მარტს ანკარაში მომხდარი ტერაქტის შემდეგ, თურქეთმა ერაყის ჩრდილოეთში ქურთების პოზიციები დაბომბა. (ნიუპოსტი)

## ამერიკამ ISIS-ის ქმედებები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ გენოციდად აღიარა



შეერთებულმა შტატებმა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ **ISIS**-ის ქმედებები გენოციდად აღიარა.

გადაწყვეტილება ჯონ კერიმ სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა.

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის განცხადებით, ისლამისტებმა გენოციდი სირიასა და ერაყში იეზიდების, ქრისტიანებისა და შიიტი მუსლიმანების წინააღმდეგ განახორციელეს. მისივე თქმით, დაჯგუფებაა პასუხისმგებელი ეთნიკურ წმენდასა და კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულშიც.

ეს 2004 წელს დარფურის კონფლიქტის შემდეგ ოფიციალური ვაშინგტონის მიერ აღიარებული პირველი გენოციდია. (rustavi2.com)

## ეროვნული ბანკი ლარის გამყარებას ვერ აჩერებს



ლარი გამყარებას განაგრძობს – ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა, რომლის მიხედვითაც, ეროვნული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში კიდევ გამყარდა.

კერძოდ, 18 მარტისთვის 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 2,3157 ლარი გახდება. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2,3240 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0,0083 ლარი შეადგინა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაში გაუფასურდა. კერძოდ, დღეს 1 ევროს შეძენა 2,6251 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2,5771 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0,0480 ლარი შეადგინა.

ამასთან ერთად, 17 მარტს, პირველად, 2014 წლის შემდეგ, სავალუტო აუქციონზე ეროვნულმა ბანკმა 5 000 000 აშშ დოლარი შეისყიდა. (bpn.ge)

## „ბენზინი დაასხა და ცეცხლი წაუკიდა, გაზიც გაუშვია, უბედური შემთხვევის იმიტაცია უნდოდა“ — ჯარისკაცის მკვლელობის დეტალები




გორში მომხდარმა სასტიკმა მკვლელობამ საზოგადოება შეძრა. 39 წლის რომან ბედიანაშვილი საკუთარ სახლში გარდაცვლილი მიმდინარე წლის 7 მარტს იპოვეს.

კომბინატის დასახლებაში ე.წ. ნარკოლოგიურის შენობაში მცხოვრებლები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ახალგაზრდა მამაკაცი გაიგუდა. თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დანაშაულისთვის 19 წლის გოგონა დააკავა.

გარდაცვლილის მეზობლების განცხადებით, გვამის ექსპერტიზის შედეგად გაირკვა, რომ ჯარისკაცს დამაძინებელი მედიკამენტები მიაღებინეს, შემდეგ კი მის ოთახში ბენზინი დაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს.

– თავიდან ჭორის დონეზე გავრცელდა, რომ ამ გოგომ წამლები დაალევინა გაქურდვის მიზნით, მაგრამ, როგორც შემდეგ სამართალდამცავებისთვის უთქვამს, ჩემზე ძალადობდა და იძულებული ვიყავი, გამეგუდაო... ჯერ გაზი გაუშვია, იმიტაცია შექმნა, ვითომ გაზის გაჟონვით იყო გარდაცვლილი, მაგრამ რომ არაფერი გამოუვიდა, შემდეგ ბენზინი დაასხა და ცეცხლი წაუკიდა. სახლიდან კვამლის გამოსვლის შემდეგ მეზობლებმა სახანძროც მალევე გამოიძახეს, – აცხადებს გარდაცვლილის მეზობელი ფიქრია მარუაშვილი. ქალბატონი ჯარისკაცს დადებითად ახასიათებს. მისი თქმით, რომან ბედიანაშვილი დედასთან და 5 შვილთან ერთად სოფელ ფხვენისში ცხოვრობდა.

– სამსახურიდან გამომდინარე, კომბინატის დასახლებაში ხშირად რჩებოდა. მეუღლეს დაშორებული იყო, – ამბობენ მეზობლები.

დაკავებულის დედა ნინო ბაშარული აცხადებს, რომ მის ქალიშვილს ფსიქიკური პრობლემები აქვს.

– ჩემთან არ ჰქონდა კონტაქტი, არც კი მოვუკითხივარ ნორმალურად. რაღაცნაირად. თავისებური ბავშვია, მაგრამ ეს ნაბიჯი რატომ გადადგა, ნამდვილად არ ვიცი. მე რწმუნებულმა მითხრა, თქვენმა შვილმა ჩაიდინა მკვლელობაო და თვითონ ჩაბარდა პოლიციასო. რა მოხდა, როგორ მოხდა, მე არაფერი ვიცი. არ ვიცი, ვინ იყო ის პიროვნება საერთოდ. ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა, მკვლელობა რამ გაარისკვინა, არ ვიცი. საკუთარ თავში ჩაკეტილი ბავშვია, ადრე შხამი დალია, წავიყვანეთ თბილისში, გადასხმები გავუკეთეთ, რომ გამოკეთდა გაგვეპარა ისევ, – აცხადებს მკვლელობაში ბრალდებულის დედა. (ნიუპოსტი)



მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19

## სად და ვის დაუპირისპირდებიან აქციაშეწყვეტილი სტუდენტები, თუკი მათთვის მიცემული პირობა დაირღვევა?

**სტუდენტების ერთკვირიანმა მწვავე პროტესტმა შედეგი გამოიღო, „აუდიტორია №115-ელებმა“, რამდენიმედღიანი მოლაპარაკების შემდეგ, განათლების სამინისტროსგან მიიღეს პირობა, რომ მათი მოთხოვნები შესრულდება.**

**16 დეკემბერს, გვიან ღამით, მას შემდეგ რაც, სტუდენტებმა 115-ე აუდიტორია დატოვეს, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის კიბეზე გამოცხადდა მანიფესტი, რომლის მიხედვითაც, შეიქმნა ახალი სტუდენტური მოძრაობა, „აუდიტორია №115“. განისაზღვრა კონკრეტული საკითხები სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით, რომლის გადაწყვეტასაც კონკრეტულ ვადაში სტუდენტები განათლების სამინისტროსა და პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად შეეცდებიან.**

**რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ერთ თვეში სტუდენტების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება და კონკრეტულად რას მოიცავს მემორანდუმის პუნქტები?**

**ამის შესახებ „ალიას“ საპროტესტო დღეების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე, სტუდენტი, სენატის წევრი ირაკლი კუპრაძე ესაუბრა:**

**— ირაკლი, მემორანდუმში, პირველ პუნქტად დასვით რეფორმირების პროცესში მართვის სისტემის დემოკრატიზაციის საკითხი სტუდენტთა და პროფესორთა მაქსიმალური ჩართულობით, კონკრეტულად რას მოიცავს ეს?**

– ჯერჯერობით მხოლოდ ზოგადი დებულებების სახით ვართ შეთანხმებული ჯგუფში, რომ, პირველ რიგში, აუცილებელია, გარედანაც ფასდებოდეს პროფესორებისა და სტუდენტების საქმიანობა. აკადემიური კვლევითი უნარ-ჩვევები და მათი მიღწევები უნივერსიტეტებიდან საერთაშორისო დონეზე უნდა ფასდებოდეს, ესაა ძალიან მნიშვნელოვანი და დასახვეწი, ასევე, უმნიშვნელოვანესია არჩევითი ორგანოების ლეგიტიმაციის საკითხი, სენატის, რექტორისა და აკადემიური საბჭოსი, რადგან არასწორად არის განაწილებული პრიორიტეტები. მაგალითად, რექტორის მოვალეობის შემსრულებელს, რომელიც ორთვიანი თანამდებობაა და 2 თვე რექტორის არჩევნებს ამზადებს, ფაქტობრივად, ეს ფუნქცია აქვს, მას ირჩევს მთლიანი აკადემიური პერსონალი, სამი ათასზე მეტი პროფესორი, რექტორს კი, რომელიც 4 წლის ვადით აირჩევა სრული უფლებამოსილებით, ირჩევს მხოლოდ აკადემიური საბჭო, რაც სრული აბსურდია. მეტი დემოკრატიზაციისთვის ეს სისტემა შესაცვლელია.

**— „აუდიტორია №115“-ელები ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნად სენატის დაშლასა და წევრების რაოდენობის ზრდას აყენებთ მანიფესტში, რა რაოდენობის უნდა იყოს ეს ორგანო, რომ უფრო ლეგიტიმური იყოს?**

– უნდა გაიზარდოს ერთიანი რაოდენობა, სტუდენტების რაოდენობის პარალელურად, ფაკულტეტების მიხედვით, ანუ ყველა ფაკულტეტს არ უნდა ჰყავდეს ერთნაირი წარმომადგენლობა, მაგალითად, ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე 5-ჯერ მეტი სტუდენტია, ვიდრე იურიდიულზე, შესაბამისად, შეუძლებელია, ორივეს ერთი და იგივე რაოდენობის აკადემიური საბჭოს წევრი ჰყავდეს, როგორც ახლაა. ანუ აბსოლუტურად ირღვევა ხმათა თანასწორობის პრინციპი. ასევე, გვაქვს მსჯელობა და არ მივსულვართ ჯერ კონსენსუსამდე, რამდენად მისაღებია სენატისა და აკადემიური საბჭოს გამიჯვნა ერთმანეთისგან, თუ შესაძლებელია, უმჯობესია, გაერთიანდეს და გახდეს ერთი მთლიანი ლეგიტიმური ორგანო, რომელთაც არ ექნებათ ერთმანეთთან დაშორიშორება.

**— თქვენს მემორანდუმში კლანებზე იყო საუბარი, მხოლოდ ადმინისტრაციას გულისხმობდით თუ აკადემიურ საბჭოსა და სენატსაც?**

– ყველა რგოლში არის კლანური მმართველობა, რომელიც ძირითადად პარტიულ ჭრილში განიხილება. როგორც ყველა სფეროში, აქაც წარმოდგენილი არიან „ნაციონალური მოძრაობა“ და ანტინაციონალური მოძრაობა, რომელთა ერთი ნაწილი „ოცნებისტია“, ნაწილს არც ერთი არ მოსწონს. ისე, უმრავლესობაში ახლა „ნაციონალები“ ნამდვილად არ არიან.

**— რექტორის არჩევის წესში რისი შეცვლა გინდათ?**

– რექტორი უნდა აირჩიონ პროფესორებმა, მთლიანმა შემადგენლობამ და ახლა სწორედ იმას განვიხილავთ, რამდენად შესაძლებელი იქნება, სტუდენტების ჩართვა არჩევის პროცესში. ჯერ ეს ყველაფერი მოსაზრებებია, მუშაობის პროცესი დაიწყება მალე, ერთი თვეა დრო. უნდა განვიხილოთ ეს ყველაფერი და განათლების სამინისტროს ახალი პაკეტი შევთავაზოთ.

**— მთავარი და რადიკალური პირობა, რაც მანიფესტშიც ჩაწერეთ აკადემიური საბჭოს დაშლაა, ეს როდემდე უნდა შესრულდეს, ამ მოთხოვნასაც ერთთვიანი ვადა აქვს?**

– ამჯერად ვსაუბრობთ უნდობლობის გამოცხადებაზე, რიგი წევრები არიან მიუღებლები. როგორც ვიცით, თავად აკადემიურ საბჭოშიც განიხილავენ ამ საკითხს. ერთმა წევრმა საერთოდ თავისით მოხსნა კანდიდატურა, მარიამ გერსამიამ და შეიძლება ეს დასაწყისი იყოს, რომ აკადემიური საბჭო ნელ-ნელა შეიცვალოს, გადახალისდეს, თუ ახალი შემადგენლობა აირჩევა, იმედი გაჩნდება, უფრო გაბედული და სასიკეთო ცვლილებების, რომელიც არ იქნება კერძო პოლიტიკური ინტერესებით ნაკარნახევი.

**— რაც შეეხება თვითმმართველობას, უნდა შეიცვალოს თუ უნდა გაუქმდეს, რომ თანასწორობა იყოს სტუდენტებს შორის და ერთი ჯგუფი არ წყვეტდეს უნივერსიტეტში მეორე ჯგუფის პროექტის დაფინანსების საკითხს?**

– ჩემი აზრით, თვითმმართველობის გაუქმება ნამდვილად შესაძლებელია. სტუდენტთა ჩართულობა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ნამდვილად არ ნიშნავს ამ ტიპის წარმონაქმნის გაჩენას უნივერსიტეტში. თუმცა ახლა ინფორმაციის ნაკლებობის პირობებში, ამ ინსტიტუტის გაუქმებამ შესაძლოა, გამოიწვიოს პროტესტი, ჯერჯერობით ვსაუბრობთ რეფორმაზე, ვსაუბრობთ მის დახვეწაზე, რათა ის არ იყოს გამოყენებული პოლიტიკური მიზნებისთვის, ხელისუფლებისგან თუ სხვა პოლიტიკური ძალისგან სტუდენტების კონტროლისთვის. ეს რეფორმა უნდა იყოს ამ ყველაფრის ხელშემწყობი. მათ შეუმცირდეთ პრივილეგიები და მონოპოლიური მდგომარეობა. ინდივიდუალურ სტუდენტებსაც, რომელთაც უნდათ რაღაც პროექტის დაფინანსება და რესურსის მიღება უნივერსიტეტისგან, თვითმმართველობა არ უნდა წყვეტდეს, მიიღოს თუ არა მან ფინანსები, რადგან ეს არანაირ კავშირში არ არის თვითმმართველობასთან და ადმინისტრაციის პრეროგატივაა. თვითმმართველობა განხილული უნდა იყოს იმ ერთ-ერთ ჩვეულებრივ რიგით ორგანიზაციად, რომლის მსგავსი ორგანიზაციებიც მრავლადაა უნივერსიტეტში. არ სარგებლობდნენ პრივილეგიებით და ფინანსებზე წვდომის შესაძლებლობა გაუქმდეს, არა მარტო თვითმმართველობაზე, არამედ ყველა ისეთ ჯგუფზე, რომელიც შესაძლებელია, არამიზნობრივად იყენებს თანხას.

**— მიუხედავად იმისა, რომ თქვენ გამოხვედით 115-ე აუდიტორიიდან და შეწყვიტეთ პროტესტის რადიკალური ფორმა, თვითმმართველობის სტუდენტები არ ცვლიან ჯერჯერობით პოზიციას და პაპავას გადადგომას მოითხოვენ. როგორ შეიძლება დასრულდეს მათი მოთხოვნა?**

– ჯერჯერობით არ ცვლიან, მაგრამ პროცესი ამ ეტაპზე უკვე აღარაა მწვავე და მათაც კარგად იციან, რომ არარეალურია ეს მოთხოვნა, რადგან ამ მოთხოვნას მხარს არავინ არ უჭერს და რეალური მოტივები საეჭვოა.

**— ორიოდე დღის წინ მინისტრის მოადგილე დაგპირდათ, რომ „ოდეერების“ საკითხის შესასწავლად პარლამენტში საგამოძიებო კომისია შეიქმნება. რას აპირებთ, თუკი პირობა არ შესრულდა?**

– გარდა იმისა, რომ მოხდება სტუდენტური გაფიცვა, აუცილებლად გაიმართება ხალხმრავალი აქციები განათლების სამინისტროსთან, სისტემურ ცვლილებებთან დაკავშირებით და შსსთან, „ოდეერის“ საკითხთან დაკავშირებით.

**— არის კიდევ ერთი საინტერესო საკითხი, თვითმმართველობა დღემდე უარყოფს აქციებზე გადაცმული და შენიღბული ადამიანების მათ რიცხვში ყოფნას, რამდენიმე თავის თანამებრძოლზე კი თქვეს, რომ გაციებული იყო და ასეთი პირზე აფარებული მაისურებით ამიტომ დადიოდნენ, თქვენ დადასტურებულად იცით, რომ ეს „საეჭვო ადამიანები“ მათ დასახმარებლად მოვიდნენ და არა სიტუაციის ასარევად? მით უმეტეს არაერთხელ ახსენე შენ თითქოს „სუს“-ია დაინტერესებული პროცესების თავის სასარგებლოდ მართვით...**

– კადრებითაც დადასტურებულია, რომ ეს „შენიღბული“ ხალხი მათ მხარდამხარ იდგა, თან სხვადასხვა თვითმმართველობიდან. ეს ხალხი იყო გამიზნულად თვითმმართველობისთვის მოყვანილი კადრები, რომლის ერთი ნაწილსაც შეადგენდნენ „ქართული ოცნების“ ახალგაზრდულის წევრები და ამის გამჟღავნებაც არ იყო მათთვის სასურველი, მაგრამ ამოვიცანით.

**— თვითმმართველობის უკან ზოგიერთი თქვენი წევრი ყოფილ ხელისუფლებას ხედავს, შენ ამბობ რომ „ოცნების“ ახალგაზრდული დაახმარეს. რაში აწყობდა ხელისუფლებას წინასაარჩევნოდ მასშტაბური სტუდენტური პროტესტი? სტუდენტების ყველა ხელისუფლებას ეშინია...**

– მასშტაბური არეულობა და პროტესტი კი არ აწყობთ, ხელისუფლებას საციცოცხლოდ სჭირდება უნივერსიტეტის კონტროლი, რათა არ მოხდეს უნივერსიტეტში პროტესტის მუხტის მომწიფება სხვადასხვა სოციალურ თუ ამორალურ თემებზე, როგორც 2012 წელს მოხდა. ამიტომ მოსინჯეს ძალები უნივერსიტეტის დამორჩილებაზე, საკმაოდ დიდი ფსონიც ჰქონდათ დადებული, თუმცა რეალურად ვერ შეძლეს ვერაფერი, რადგან ჩვენ ძალიან პრინციპულად დავუდექით წინ, არ მივეცით საშუალება და მართლა ძალიან ძლიერად ვიბრძოლეთ, დიდი მადლობა ყველა სტუდენტს და იმ ადამიანებს, ვინც ჩვენ გვერდით იდგა, ბრძოლა გრძელდება, ეს მხოლოდ პირველი ეტაპი და პირველი მცირე გამარჯვებაა.





**„ხელისუფლებას საციცოცხლოდ სჭირდება უნივერსიტეტის კონტროლი, რათა არ მოხდეს უნივერსიტეტში პროტესტის მუხტის მომწიფება სხვადასხვა სოციალურ თუ ამორალურ თემებზე, როგორც 2012 წელს მოხდა. ამიტომ მოსინჯეს ძალები უნივერსიტეტის დამორჩილებაზე, საკმაოდ დიდი ფსონიც ჰქონდათ დადებული“**

## ვლადიმერ პუტინი: თუ საჭირო გახდა, რუსეთი სირიაში სამხედრო ძალებს რამდენიმე საათში აღადგენს



რუსეთი, საჭიროების შემთხვევაში, სირიაში სამხედრო ძალებს რამდენიმე საათში აღადგენს. ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა.

– რა თქმა უნდა, თუ საჭირო გახდა, რუსეთი რეგიონში თავის დაჯგუფებას რამდენიმე საათში გაზრდის და ჩვენს ხელთ არსებული შესაძლებლობების მთელ არსენალს გამოიყენებს. ამის გაკეთებას არ ვისურვებდით, რადგან სამხედრო ესკალაცია ჩვენი არჩევანი არ არის, – განაცხადა პუტინმა.

მისი ინფორმაციით, რუსეთმა სირიაში ოპერაციის დაწყებიდან დღემდე 33 მილიარდი რუბლი დახარჯა.

პუტინის თქმით, მოსკოვი მომავალშიც გააგრძელებს სირიისთვის სამხედრო დახმარების გაწევას, ამასთანავე, არაბულ რესპუბლიკაში ცე-400-ის კომპლექსს ტოვებს.

პუტინის თქმით, არავის აქვს უფლება სირიის საჰაერო სივრცე დაარღვიოს, მოსკოვმა ყველა პარტნიორი გააფრთხილა, რომ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებებს გამოიყენებს ყველა სამიზნის წინააღმდეგ, რომელიც რუსი სამხედროებისთვის საფრთხის მომცველად ჩაითვლება.

– მინდა აღვნიშნო, რომ საუბარია ნებისმიერ სამიზნეზე, – განაცხადა პუტინმა. (ინტერპრესნიუსი)

## სააკაშვილი შეცდა — გუბერნატორმა არასწორად გააუქმა საგზაო ნიშანი.



ოდესის ოლქის გუბერნატორმა ის ამკრძალავი ნიშანი გააუქმა, რომელიც არ უნდა გაეუქმებინა, მისმა არაადეკვატურმა ქმედებამ დართო ნება „ევროტერმინალიდან“ გამომავალ სატვირთო მანქანებს, ემოძრავათ საცხოვრებელ კვარტალში.

შეგახსენებთ, რომ სააკაშვილმა თავის ვანდალურ ქმედებას არგუმენტად დაუდო ის, რომ თითქოსდა ამკრძალავი ნიშანი არ აძლევდა უფლებას სატვირთო მანქანების მძღოლებს, უფასოდ ემოძრავათ პორტის ტერიტორიაზე.

თუმცა, როგორც შემდგომ გაირკვა, ამკრძალავი ნიშანი არა თუ კრძალავდა პორტის ტერიტორიაზე სატვირთოების გადაადგილებას, არამედ კრძალავდა „ევროტერმინალიდან“ საცხოვრებელ პუნქტში გადაადგილებას.

ასე რომ, გუბერნატორის „ამკრძალავი ნიშნების რეფორმამ“ ხაჯიბეის ქუჩის მაცხოვრებლებს ნამდვილად აგრძნობინა „ფეოდალიზმის“ წინააღმდეგ ეფექტური „ბრძოლა“. (ttaoba.ge)

# „მე-5 კოლონა ძლიერდება და ესენი იმაზე მსჯელობენ, ვის აქვს სექსი და ვის არა“

გრიგორი კარასინის მიერ გაკეთებული განცხადებების შემდეგ, საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობა აბაშიძე-კარასინის ფორმატის გადახედვის შესაძლებლობის საკითხზე ალაპარაკდა. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის ზვიად კვაჭანტირაძის განცხადებით, თუ კარასინის მხრიდან ასეთი ტონალობა კიდევ გაჟღერდება, პარლამენტი ფორმატის ცვლილების საკითხს დააყენებს.

– ვფიქრობ, რომ ჩვენ გარკვეული მესიჯიც მივიღეთ კარასინის პირით და მოდით, ვაღიაროთ, რომ ის მარტო საკუთარ აზრს, ალბათ, არ ახმოვანებდა. როდესაც ასე თითის დაქნევით გველაპარაკა, ვფიქრობ, ერთი მხრივ, ეს სასარგებლოა იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ ზუსტად ვიცით, რასთან გვაქვს საქმე. თუ კარასინი კვლავ აპირებს ასეთი ტონით ლაპარაკს, ამ ფორმატში



კარასინი არ გამოგვადგება, იმიტომ, რომ ეს ფორმატი მომართულია სულ სხვა მიზნებისთვის.

ვფიქრობ, რომ ბატონი კარასინი ამ განცხადებაში გასცდა თავისი უფლებამოსილების ფარგლებს, ვიდრე ამას წარმოვიდგენდით. ვგულისხმობ წარმომადგენელს იმ კონკრეტულ ფორმატში მოლაპარაკებებზე და არა როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს. თუ ასეთი ტონალობა კიდევ გაჟღერდება ბატონი კარასინის მხრიდან, ვფიქრობ, რომ უნდა დავაყენოთ საკითხი ამ ფორმატის ხარისხობრივი ცვლილების შესახებ, – აცხადებს ზვიად კვაჭანტირაძე.

აბაშიძე-კარასინის ფორმატის გადახედვის შესაძლებლობის აუცილებლობას ჯერჯერობით ვერ ხედავს ხელისუფლება. როგორც მთავრობის ადმინისტრაციაში აცხადებენ, დიალოგის შეწყვეტა პრობლემების მოგვარებას ხელს არ შეუწყობს. თუმცა, ადმინისტრაციაში კატეგორიულად აცხადებენ, რომ რუსულ მხარესთან დიალოგი, ნებისმიერ ფორმატში გამორიცხავს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხარჯზე რაიმე სახის კომპრომისს.

– დიალოგს ყველაზე რთულ მხარესთანაც კი ალტერნატივა არ აქვს. ამაზე მუდამ საუბრობენ ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც. დიალოგის შეწყვეტა პრობლემების მოგვარებას ხელს არ შეუწყობს. მოლაპარაკებები რუსულ მხარესთან რთული პროცესია, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ დიალოგის ფორმატში შეძლებისდაგვარად, უნდა მოხდეს არსებული პრობლემების გადაჭრა, მათ შორის პრაქტიკული ხასიათის საკითხების – ისეთ სფეროებში, როგორიც არის სავაჭრო ურთიერთობები, სატრანსპორტო კომუნიკაციები და ჰუმანიტარული საკითხები, – აცხადებენ მთავრობის ადმინისტრაციაში.

უმრავლესობის ლიდერების პოზიციას არც ექსპერტები იზიარებენ და მიიჩნევენ, რომ ფორმატი უნდა შენარჩუნდეს.

ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე აცხადებს, რომ ფორმატის გაუქმება გამოსავალი არ არის.

– რას მივიღებთ ფორმატის გაუქმებით, ეს კვაჭანტირაძეს უნდა ვკითხოთ. აბაშიძე-კარასინის ფორმატის გაუქმებით ქვეყანა არაფერს არ მიიღებს, გარდა იმისა, რომ რუსები იტყვიან, ქართველები დიალოგზე მზად არ არიან და ამით ახალი შარის საბაბი მიეცემათ და რაღაც სისულელეებს დაგვაბრალებენ.

სჯობია, კვაჭანტირაძემ იმაზე იფიქროს, რატომ გვიბედავენ რუსები ამდენს. გვიბედავენ იმიტომ, რომ სუსტები ვართ, როგორც ქვეყნის გარეთ, ისე ქვეყნის შიგნით. სამწუხაროდ, ქვეყანაში ძლიერდება მე-5 კოლონა და მსჯელობა მიდის იმაზე, ვის აქვს სექსი და ვის – არა. მე ვურჩევდი კვაჭანტირაძეს, რომ ფორმატის გაუქმების ნაცვლად სხვა რამეებზე იფიქროს. კერძოდ, იმუშაოს აშშ და გერმანიასთან ჩაფლავებული ურთიერთობის აღდგენაზე, საგარეო პოლიტიკაზე აგებს პასუხს, – აცხადებს თორნიკე შარაშენიძე.

ექსპერტი გია ხუხაშვილი ამბობს, რომ აბაშიძე-კარასინი ფორმატი არ არის გადაწყვეტილებების მიმღები, რამაც შეიძლება სისტემურად დააზიანოს ან გააუმჯობესოს საქართველო-რუსეთის ურთიერთობა.

– მეჩვენება, რომ ზვიად კვაჭანტირაძის განცხადება ხარკის გადახდაა იმ ისტერიაზე, რაც დრო და დრო თავს ატყდება საქართველოს რუსეთის მხრიდან. იმიტომ, რომ ვილაცამ პრორუსულობა არ დააბრალოს, სულ რაღაცას ამტკიცებენ და ათას სისულელეს მოაყოლებენ. რეალურად, ეს ფორმატი ვერაფერს ისეთს ვერ გააფუჭებს, რაზეც შეიძლება მსჯელობა ღირდეს და ვერც სისტემურადაც ცვლის რამეს.

კარასინის განცხადებაში განსაკუთრებული არაფერია. შეიძლება მუქარაც იყოს, მაგრამ რუსები ჩვენ კი არა ყველას ემუქრებიან. ამაზე უნდა გამოვხატოთ პრინციპული პოზიცია და არა ის, რომ გავაუქმოთ მოლაპარაკების ფორმატი. ეს არის არასერიოზული და არაკომპეტენტური. არაკომპეტენტურია, რომ ადამიანები მაშინვე იწყებენ რაღაც ისტერიკას. კი ბატონო, გააკეთა პრემიერმა და პრეზიდენტმა ამაზე რეაქცია და საკმარისია, აღარ უნდა მე-13 გოჭის გამოხტომა, – აღნიშნა ხუხაშვილმა. (for.ge)

# ხევსურეთში გზის გაწმენდითი სამუშაოების დროს ტრაქტორი სავალი ნაწილიდან გადავარდა, მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა



ხევსურეთში, ბარისახო-შატილის გზის გაწმენდითი სამუშაოების დროს საგზაო ტექნიკა გზის სავალი ნაწილიდან გადავარდა. ტრაქტორის მძღოლი, სოფელ კაწალხევის მკვიდრი, 55 წლის მამაკაცი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც გზების დეპარტამენტში თვითმხილველების ინფორმაციაზე დაყრდნობით აცხადებენ, უბედური შემთხვევა გრუნტის საფარზე მოხდა და იმ მონაკვეთზე თოვლის საფარი არ იყო. მათივე ინფორმაციით, შესაძლოა, მემანქანე გულის შეტევით გარდაიცვალა, რადგან მას ცოტა ხნის წინ შვილი დაეღუპა.

როგორც დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვაჟა ჩოხელმა განაცხადა, მომხდარზე მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები და რას უკავშირდება გოჩა ზარიძის გარდაცვალება, გამოძიების დასრულების შემდეგ გაირკვევა. (ინტერპრესნიუსი)

# ქართველ მილიარდერსაც კი ხვდება ხოლმე და რა ხეირი რო?



2015 წლის „მსოფლიოს წლის მეწარმე“, სამშენებლო ბიზნესში ერთ-ერთი ლიდერი ფრანგული კომპანია „ალტრად ჯგუფის“ დამფუძნებელი, მწერალი და ფრანგული ელიტური სარაგბო კლუბ „მონპელიეს“ პრეზიდენტი მოჰედ ალტრადი პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ქვეყანაში არსებულ ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს. გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა ფრანგულ ინვესტიციებს მიესალმება. მოჰედ ალტრადი დაინტერესებულია საქართველოთი, ქვეყნის კულტურითა და ისტორიით.

საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, მოჰედ ალტრადი ქართველი სტუდენტებისთვის მეწარმეობის სულისკვეთების თემაზე ლექციას წაიკითხავს.

„ალტრად ჯგუფის“ შვილობილ კომპანიებში, მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში, გასულ წელს 17 000 ადამიანი იყო დასაქმებული. კომპანიის წლიურმა ბრუნვამ დაახლოებით 1,6 მილიარდი ევრო შეადგინა. (ინტერპრესნიუსი)

# „სტუდია მაესტროს“ დამფუძნებელი — მე არ წარმოვადგენ არც ერთ მხარეს, ამიტომ ვთავაზობ დაპირისპირებულ მხარეებს, დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან

შპს „სტუდია მაესტროს“ დამფუძნებელი ეკა აკობია ტელეკომპანია „მაესტროს“ დავაში მონაწილე პირებს „მაესტროს“ გადასარჩენად მოლაპარაკებებს სთავაზობს.

როგორც ეკა აკობიამ განაცხადა, ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა „მაესტროს“ იმიჯი საგრძნობლად დააზარალა. მისივე თქმით, სწორედ იმიტომ, რომ ის არ წარმოადგენს არც ერთ მხარეს, გამოდის ინიციატივით, მხარეებმა დაპირისპირება „ცისფერი ეკრანებიდან“ კაბინეტებში გადაიტანონ და დაპირისპირებულ მხარეებს შორის მოლაპარაკებები დაიწყოს.

– მე ჩემს თანამოაზრეებთან ერთად დავაფუძნე „მაესტრო“ და ვიზრუნე იმაზე, რომ ამ ტელეკომპანიას შექმნოდა იმიჯი. ჩემდა სამწუხაროდ, ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა, ეს იმიჯი საგრძნობლად დააზიანა. დღეს დადგა დრო, რომ მხარეებმა, რომლებიც მონაწილეობენ დავაში, რომლებიც „მაესტროს“ იმიჯს ბღალავენ, შეურაცხყოფენ, დასვან წერტილი.

ვფიქრობ, დადგა დრო, მედიამფლობელებმა გაიხსენონ, რომ მედია არ არის ჩხუბის ტირაჟირების ადგილი. ჩვენგან მაყურებელი ელის დაბალანსებულ, ობიექტურ ინფორმაციას. ეს არ არის მფლობელთა ჩხუბის პოლიგონი.

მე არ წარმოვადგენ არც ერთ მხარეს, არც მაკა ასათიანის და არც გია გაჩეჩილაძის მხარეს და ამ დავაში ნეიტრალური ადგილი მიჭირავს. ამიტომაც, ვთავაზობ ორივე მხარეს, დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან. დროა ყველანაირი კონფლიქტი კაბინეტურ სიტუაციაში გადაიტანონ და არა ცისფერ ეკრანებზე გამოიტანონ.

მე ვიღებ ვალდებულებას და ამას შევასრულებ, დაველაპარაკო ორივე მხარეს. მისცენ ჟურნალისტებს საშუალება, რომ მათ იმუშაონ ჯანსაღ გარემოში. ყველა მფლობელმა აიღოს თავისი წილი პასუხისმგებლობა და თანამშრომლებსა და ჟურნალისტებს მოექცეს, როგორც ნამდვილ ადამიანებს და არა როგორც ხორცს, რომელსაც ბრძოლისთვის იყენებენ. ეს არის ბოლო შანსი, – განაცხადა ეკა აკობიამ. (ინტერპრესნიუსი)

# საყოველთაო ჯანდაცვაში წელსაც გადახარჯვაა




ჯერჯერობით საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სახელმწიფო დაზღვევის პროგრამას წელსაც გადახარჯვა ექნება. წლის პირველ 2 თვეში ეს ტენდენცია უკვე გამოიკვეთა. ამიტომ მთავრობას საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამისთვის დამატებითი ფინანსური რესურსის მოძიება, შესაძლოა, წელსაც დასჭირდეს.

სახელმწიფო პროგრამისთვის 2016 წლის პირველ კვარტალში გამოყოფილი 161 მილიონიდან ორი თვის განმავლობაში 122 მილიონ ლარზე მეტი უკვე დახარჯულია. სპეციალისტები ამბობენ, რომ შარშანდელის მსგავსად, წლის დასაწყისში უკვე ფიქსირდება რამდენიმემილიონიანი გადახარჯვა, რაც არაეფექტური მონიტორინგის შედეგია. ექსპერტთა ნაწილი მთავრობას საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მიზნობრიობაში კორექტივების შეტანასაც ურჩევს. სპეციალისტები არ გამორიცხავენ, რომ პროგრამას თანხები წელსაც დააკლდეს.

ჯანდაცვის პოლიტიკისა და მართვის სპეციალისტი სერგო ჩიხლაძე ამბობს, რომ 2016 წლის პირველ 2 თვეს, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გადახარჯვა გაცილებით მეტია.

– 2015 წლის პირველ კვარტალზე გამოყოფილი იყო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამისთვის 110 მილიონი ლარი და აქედან 2 თვეში დაიხარჯა 82 მილიონ ლარზე მეტი – გამოყოფილი თანხის 75 პროცენტზე მეტი. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველთვიურად, გადახარჯვა იყო დაახლოებით 4,5 მილიონი ლარი. წელს პირველ კვარტალზე გამოყოფილია გაცილებით მეტი თანხა – 161 მილიონი ლარი. გასული 2 თვის მონაცემებით, ამ თანხიდან დახარჯულია უკვე 122 მილიონ ლარზე, ანუ კვლავ 75 პროცენტზე მეტი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველთვიური გადახარჯვა არის კიდევ უფრო დიდი – 7 მილიონ ლარზე მეტი. სპეციალისტთა ნაწილი, უკვე 2 წელიწადზე მეტია, ვურჩევთ მთავრობას, რომ გადახედოს ამ პროგრამის მიზნობრიობასა და ხარჯვის ეფექტიანობას. წინა წელს, ხელისუფლებას გაუმართლა და მოიძებნა დამატებითი 100 მილიონი, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფინანსური გარღვევა შევსებულიყო და ეს მოხდა ისევ და ისევ სხვა სამინისტროების უნიათობის ხარჯზე, რომლებმაც ვერ აითვისეს მათთვის კუთვნილი საბიუჯეტო სახსრები. წელს კი, ვეჭვობ, ამის რესურსი ჰქონდეს მთავრობას, რადგანაც არჩევნების წელია და წლის ბოლოს აუთვისებელი თანხები ნამდვილად არ იქნება ბიუჯეტში, რომ მოხდეს მათი გადმოსროლა ჯანდაცვაში, – აცხადებს ჩიხლაძე.

ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო კი, მიმდინარე წელს, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამისთვის, ბიუჯეტიდან თანხის დამატების საჭიროებას ვერ ხედავს. მისი აზრით, საყოველთაო ჯანდაცვის სისტემაში ხარჯი, სავარაუდოდ, გრიპის ეპიდემიასთან დაკავშირებით გაიზარდა.

„წელს, საყოველთაო ჯანდაცვის სისტემისთვის თანხის დამატების საჭიროებას ვერ ვხედავ. სავარაუდოდ, ხარჯი გაზრდილი იქნებოდა გრიპით ავადობის ეპიდემიასთან დაკავშირებით. ჩვენ ყოველდღიური მონიტორინგი გვაქვს და იმ ნაბიჯებს ვდგამთ, რაც ადმინისტრირებისთვის არის უკეთესი, – აღნიშნა სერგეენკომ.

ექსპერტები კი ხელისუფლებას ურჩევენ, სანამ დროა, დაძლიონ თავიანთი სიხისტე და სიჯიუტე და გადადგან ნაბიჯები, რომ საყოველთაო ხარჯები გახდეს ეფექტური და მოხდეს ფინანსური სახსრების ხარჯვის მონიტორინგი.

– კიდევაც რომ გააორმაგონ ან გაასამმაგონ საყოველთაო ჯანდაცვის ბიუჯეტი, ეს ვერ გადაჭრის პრობლემას, რადგანაც პრობლემა არის არა თანხაში, არამედ მის მიზნობრივ ხარჯვაში და სწორი პრიორიტეტების დასახვაში. როგორც ჩანს, ზოგადად, ჯანდაცვის სამინისტროში არის პროგრამების დაგეგმვის, პრიორიტეტების დასახვისა და ეფექტური მენეჯმენტის სერიოზული დეფიციტი, – ამბობს სერგო ჩიხლაძე. (ghn.ge)

# „მაესტროს“ თანამშრომლები ბაია გადაბაძეს ზეწოლაში ადანაშაულებენ



ტელეკომპანია „მაესტროს“ თანამშრომლები განცხადებას ავრცელებენ, სადაც ბაია გადაბაძეს ზეწოლაში ადანაშაულებენ:

– მივმართავთ შპს „სტუდია მაესტროს“ დირექტორს, დამფუძნებლებს – მამუკა ღლონტს, ეკა აკობიას, გია გაჩეჩილაძეს, მაკა ასათიანს, საქართველოში არსებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, ადამიანის უფლებათა და დასაქმებულთა შრომის დაცვის სფეროში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

შექმნილ სიტუაციაში ჩვენთვის მორალურად და ფსიქოლოგიურად ისედაც მძიმეა დაკისრებული მოვალეობის შესრულება. ბოლო ერთი კვირაა კომპანიის ყოფილი დირექტორის, ეთერ გადაბაძის მხრიდან გახშირდა ჩვენზე თავდასხმები და საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტები. ის თავისი შეხედულების საფუძველზე განსაზღვრავს, თანამშრომლებიდან ვინ უნდა დაუშვას „მაესტროს“ შენობაში და ვინ – არა, თანამშრომლების ნაწილს აიძულებს, დაწეროს განცხადება „მაესტროდან“ წასვლაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეთერ გადაბაძე მათ უკრძალავს შენობაში შესვლას. სამწუხაროდ, იყო არაერთი ფაქტიც თანამშრომლების სიტყვიერი შეურაცხყოფის, რომლებმაც უარი თქვეს „მაესტროდან“ გადასვლაზე. გარდა ამისა, ეთერ გადაბაძე ჩვენს, როგორც თანამშრომლების, სახელს უსაფუძვლოდ იყენებს საჯარო განცხადებების გაკეთებისას. აღნიშნული ქმედებებით ეთერ გადაბაძემ გაყო თანამშრომლები ორ ნაწილად და ერთმანეთს დააპირისპირა. ვფიქრობთ, რომ ეთერ გადაბაძე აღნიშნული ქმედებებით ცდილობს, შეაფერხოს შპს „სტუდია მაესტროს“ ტელემაუწყებლობა. მოგიწოდებთ, შეისწავლოთ შპს „სტუდია მაესტროს“ თანამშრომლების უფლებების დარღვევისა და ჟურნალისტებზე ზეწოლის ფაქტები. იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენი შრომითი უფლებები დაცული იქნება, „მაესტრო“ მომავალშიც გააგრძელებს შეუფერხებელ მაუწყებლობას, ხოლო პარტნიორებს შორის არსებული დავები არ შეგვეხება თანამშრომლებს, – ნათქვამია განცხადებაში. (news.ge)

## „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონში შესაძლოა, ცვლილებები შევიდეს



ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე გიორგი ვოლსკის განცხადებით, საუბარია გამონაკლისის შესაძლებლობაზე, რათა რუსეთის დელეგაციას, რომელიც ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე დასასწრებად საქართველოში ჩამოსვლას აპირებს, პრობლემა არ შეექმნას.

შესაბამისი თხოვნით, გიორგი ვოლსკის თქმით, საქართველოს მეგობარმა ქვეყნებმა და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურმა მდივანმა მიმართეს.

– ჩვენი მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლები, დელეგაცია, ისევე როგორც ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია და საპარლამენტო ასამბლეის გენერალური მდივანი, მოგვმართავს თხოვნით, რომ შევქმნათ პირობები იმისთვის, რათა თბილისში 1-5 ივლისს დაგეგმილ ძალიან ფართომასშტაბიან ფორუმზე რუსეთის დელეგაციის ჩამოსვლას პრობლემა არ შეექმნას. ეს არის საკითხი, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ. თუ ამისთვის კანონში შესატანი იქნება დეტალი იმის თაობაზე, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე თუ არის ნამყოფი ადამიანი და ის ამავე დროს რომელიმე ქვეყნის დელეგაციაში საერთაშორისო ორგანიზაციიდან მოვლენილი, შეიძლება განვიხილოთ მისი დაშვების საკითხი, თუ ეს სახელმწიფოს ინტერესებშია, – განაცხადა ვოლსკიმ.

მისივე თქმით, ანალოგიური პრობლემა საქართველოს 2 წლის წინაც შეექმნა, როდესაც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრს, რომელსაც „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონი ჰქონდა დარღვეული, ქვეყანაში შემოსვლაზე უარი ეთქვა. ამ მიზეზით, ევროპის საბჭომ საქართველოს უმნიშვნელო, თუმცა პოლიტიკურად არასასიამოვნო სანქცია დაუწესა.

– საერთაშორისო ფორუმის რეგლამენტი საქართველოში არსებულ რეგულაციებთან შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი. თუკი საერთაშორისო ფორუმი და საერთაშორისო ორგანიზაციის ადმინისტრაცია მოგვმართავს თხოვნით, რომ განვიხილოთ გამონაკლისის დაშვება, საქართველოს უნდა ჰქონდეს მექანიზმი, რომ საერთაშორისო ორგანიზაციის ასეთი თხოვნა შეასრულოს. ამ მექანიზმის შემოტანაზეა საუბარი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონში“, – განაცხადა გიორგი ვოლსკიმ.

ამასთანავე, დეპუტატის განმარტებით, ეს ცვლილება 2013 წელსაც იყო ინიცირებული, როცა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტი პარლამენტში გაჩერდა.

რაც შეეხება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის განცხადებას, რომ „უკეთესი იქნება, თუ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონს საერთოდ გააუქმებენ, ვოლსკის თქმით, ეს არ განიხილება. (ინტერპრესნიუსი)

## ძაღლების და კატების პატრონებს შეზღუდვები უწესდებათ




ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37


**„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, გია ცაგარეიშვილმა, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად, „კომპანიონ ცხოველების შესახებ“ პარლამენტში კანონპროექტი წარადგინა, რომელსაც ახლო მომავალში განიხილავენ კომიტეტებში. წარმოდგენილ პროექტში გაწერილია ცხოველთა კეთილდღეობის ძირითადი საჭიროებები, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ბიოლოგიური წონასწორობის პირობებში თანაბარი არსებობის შესაძლებლობას და ცხოველთა ტკივილისა და ტანჯვისგან დაცვას.**

**რა რეგულაციებია განსაზღვრული პროექტში, რაც ცხოველების პატრონებისთვის შესასრულებლად სავალდებულო გახდება?**



„ალიას“ გია ცაგარეიშვილი ესაუბრა:

**— ბატონო გია, კანონპროექტის მიხედვით, შინაური ცხოველების გადაადგილებისა და ტრანსპორტირების წესები იცვლება. კონკრეტულად, რა შეეზღუდებათ ცხოველების მეპატრონეებს?**

– მაგალითად, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას დიდი ზომის ძაღლები უნდა გადააადგილონ მოკლე საბელით ან ალიკაპით, კატების გადაადგილება კი ნებადართული იქნება მხოლოდ სპეციალური გალიებით. შეზღუდვები ტრანსპორტის სახეობაზე, ცხადია, არ დაწესდება, ნებისმიერი ავტომობილით ან ნებისმიერი საზოგადოებრივი ტრანსპორტით შესაძლებელი იქნება ცხოველის გადაადგილება. მთავარია, დაცული იყოს მგზავრების და ცხოველის უსაფრთხოება.

**— ვინც ამ წესს არ დაემორჩილება და ვთქვათ, ალიკაპით არ წაიყვანს ძაღლს ან კატას გალიით, მას რა სანქციები დაეკისრება?**

– სანქციები არსებობს მონახაზის სახით, მაგრამ მათზე ჯერ ბოლომდე არ ვართ შეჯერებული, სანქციების ნაწილს ჩამოვაყალიბებთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში. ცხადია, მარტო ამ დარღვევაზე არ ვლაპარაკობ, ზოგადად, სხვა დარღვევების შესახებაც ვსაუბრობ. ყველა ეს სანქცია ამოქმედდება 2018 წლის 1-ლი იანვრიდან და მანამდე ყველა დეტალზე შევთანხმდებით.

**— კანონპროექტი ცხოველთა ორთაბრძოლების აკრძალვასაც ითვალისწინებს. ვინც კანონს დაარღვევს, მას რა სანქცია დაეკისრება?**

– კი, ცხოველთა ორთაბრძოლები, უპირველესად, ძაღლების ჩხუბი უნდა აიკრძალოს. ეს არის საშინელი, ამაზრზენი სანახაობა, რომელიც დიდი ფულის მოხვეჭის საშუალებაა და ზოგჯერ მასში პოლიციელებიც მონაწილეობენ. თბილისის საკრებულომ ეს 5-6 წლის წინათ აკრძალა, მაგრამ სანქცია არ დააწესა. მოკლედ, აკრძალულია, მაგრამ ვინც ამ წესს არ დაემორჩილება, ის არ ისჯება, არც ადმინისტრაციულ და არც სისხლის სამართლის კოდექსში არ შევიდა ცვლილებები. ეს რაღა აკრძალვაა, ვერ გავიგე. ახლა კი ძალიან მკაცრი სანქციები დაწესდება ამ დანაშაულისთვის. სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 253-ე პრიმა მუხლი, რომელიც 4 პუნქტისგან შედგება. პირველი ნაწილი ითვალისწინებს ჯარიმას, ან 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, მახსოვს, რომ მე-4 ნაწილი ძალიან მკაცრად დასჯადია – არაერთგზის, ჯგუფურად, ორგანიზებულად, არასრულწლოვანთა მონაწილეობით ამ დანაშაულის ჩადენა 4 წლამდე ციხეს ითვალისწინებს და 4-დან 10 წლამდე ცხოველის ყოლის უფლება აეკრძალება. ამ კანონპროექტით ძალიან საინტერესოდ არის დარეგულირებული ცხოველების მოვლა-პატრონობის წესებიც. კანონი ძალაში რომ შევა, დაიცავს ძაღლების ჯიშთა სიწმინდეს, არ შეიძლება ჯიშთა აღრევა. ეს ადმინისტრაციული წესით დასჯადი იქნება.

**— ბევრი ადამიანი ინახავს ოჯახს ძაღლების მოშენებით და ლეკვების გაყიდვით. მათ აეკრძალებათ მაგალითად, კავკასიური ნაგაზის სენბერნართან შეჯვარება?**

– არა, ეს არის თავისუფალი ბიზნესი და მათ არანაირი ახალი რეგულაცია არ დაუწესდებათ, შესაძლოა, რაიმე დაიხვეწოს ამ სფეროში, მაგრამ ისე, რომ არანაირი პრობლემა არ შეექმნათ. რაც შეეხება შეჯვარებას, ეს ყველაფერი ამ კანონით დარეგულირდება, იქ იქნება მითითებული, რომელი ჯიშის ძაღლების შეჯვარება შეიძლება და რომლის – არა, ყველაფერი იქნება დაკონკრეტებული. ამ ჯიშთა აღრევამ დაგვაკარგვინა, ფაქტობრივად, კავკასიური ნაგაზი, რომლის წარმომავლობას ხან ოსები იბრალებენ, ხან რუსები და ხან ერთი, ხან მეორე კავკასიური ერის წარმომადგენლები. უნდა გავუფრთხილდეთ სუფთა ჯიშის ძაღლებს და ეს სანქციებიც ამისთვის წესდება.

ძალიან მნიშვნელოვანია მაწანწალა და უპატრონო ძაღლების თემა. ასეთ ცხოველებს ბიოთერმულ ორმოებში ყრიან და ისე ანადგურებენ, რაც ბარბაროსობაა და მეტი არაფერი. გარდა ამისა, ასეთი ძაღლები უკონტროლოდ მრავლდებიან, მიკედლებული არიან უბნებს და გამვლელ მოქალაქეებს პრობლემებს უქმნიან. ამგვარი ძაღლებისა და კატების სტერილიზაცია და კასტრაცია მოხდება, აღარ გამრავლდებიან და ეს პრობლემას დიდწილად გადაჭრის. ამით მაწანწალა ცხოველებს იმ მასშტაბებში მოვაქცევთ, რომელიც ხიფათის ნაკლებად შემცველი იქნება.

**მეეჭვება, მარტო ამ ღონისძიებებით მოგვარდეს ეს პრობლემა. 2 წლის წინათ, თბილისში ამგვარი ცხოველების საკითხის გადაჭრა, მერიის ცხოველთა მონიტორინგის ცენტრს დაევალა, 3.5 მილიონი ლარიც გამოიყო ამისთვის, მაგრამ თბილისში არც მაწანწალა ძაღლების, არც კატების ნაკლებობა არ შეიმჩნევა. სად დახარჯა ეს 3.5 მილიონი ლარი და რატომ არ ჩანს შედეგი, რატომ არ შემცირდა თბილისში მაწანწალა ძაღლებისა და კატების რაოდენობა? იმიტომ, რომ თანხის უდიდესი ნაწილი თანამშრომლების ხელფასებსა და მივლინებში დახარჯულა და რას შეცვლის ამ კანონის მიღება, ესაც გამოჩნდება.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 10-წლიანი პერიოდულობით ჩატარდება



მოსახლეობის საყოველთაო აღწერა არაუმეტეს 10-წლიანი პერიოდულობით ჩატარდება. საყოველთაო აღწერის პერიოდულობა „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებებით დგინდება, რომელიც მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა.

პროექტის ავტორთა განმარტებით, ეს ხელს შეუწყობს მომავალში მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ორგანიზებას და ჩატარებას, საზოგადოებისთვის კრებსითი ინფორმაციის მიწოდების ოპერატიულობასა და საბიუჯეტო სახსრების ოპტიმალურ გამოყენებას.

ამავე ცვლილებებით, ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრა სტატისტიკური კლასიფიკაციებისა და სტანდარტების შემმუშავებელი ორგანო – საქსტატი და სტატისტიკური კლასიფიკაციებისა და სტანდარტების დამდგენი ორგანო – საქსტატის საბჭო. (ინტერპრესნიუსი)

## თბილისის ზოოპარკს მიმდინარე კვირას ახალი ფრინველები და ცხოველები შეემატება



თბილისის ზოოპარკი რიგის ზოოპარკის საჩუქარს მიმდინარე კვირას მიიღებს. უფრო კონკრეტულად კი, როგორც თბილისის ზოოპარკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი მზია შარაშიძე აცხადებს, რიგიდან 19 მარტს ავიარეისით ჩამოაფრენენ დიდი თუთიყუშის სახეობას, ორ არას, 21 მარტს კი ბათუმში, გემით შემოიყვანენ ცხოველებს.

– რიგის ზოოპარკისგან თბილისის ზოოპარკს საჩუქრად გადაეცემა 3 ალპაკა, ერთი აქლემი და 1 აზავერი, რომელთა ტრანსპორტირება თბილისში მოხდება, – განაცხადა შარაშიძემ.

ამასთანავე, მისივე ინფორმაციით, რიგამ ცხოველების ტრანსპორტირებისთვის 15 000 ევრო გამოყო. (ინტერპრესნიუსი)

## „ნუ შეგვჭამეთ, ბატონო, ნურც თქვენი მარადქალწულობით და ნურც სრული დატვირთვით დღნაურით!“



პარტია „იმედის“ ლიდერი ირინა სარიშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ბოლო დროს გახმაურებულ სკანდალს ეხმიანება, რომელიც პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გასაჯაროებას ეხება.

– უნახავმა რა ნახაო, ისეა, რა, ჩვენი საქმე...

ადრე ჩემს ბავშვობაში გოგო სიგარეტს თუ ეწეოდა, მაგარი გოიმებისთვის კაი ტიპი იყო. მახსოვს, ერთმა თავის შეყვარებულზე როგორ მითხრა, აუ, ირა, მაგარი გოგოა, თან რამდენს ეწევა, იციო?

ეხლა ამ სექსზე გადეირია ყველა.

ერთნაირი მარაზმია, მე რომ მკითხო, სექსის არქონით ან ქონით ტრაბახი!

ნუ შეგვჭამეთ, ბატონო, ნურც თქვენი მარადქალწულობით და ნურც სრული დატვირთვით დღნაურით!

ვისაც არ გაქვთ, მოგეცეთ და ვისაც გაქვთ, ჩვენ გარეშე რო ისიამოვნოთ, ხო შეიძლება?

სტატუსი ამაღლებულია, – წერს სარიშვილი სოციალურ ქსელში. (daijesti.pia.ge)

## ინგა გრიგოლია იმედოვნებს, რომ პროკურატურა გამოძიებას ბოლომდე მიიყვანს



დაკითხვის შემდეგ ინგა გრიგოლია აცხადებს, რომ მან საგამოძიებო ორგანოს მიერ დასმულ ყველა კითხვას უპასუხა.

გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ინგა გრიგოლია ვერ საუბრობს ყველა იმ კითხვის შესახებ, რაც მას საგამოძიებო უწყების თანამშრომლებმა დაუსვეს.

ჟურნალისტი იმედოვნებს, რომ გამოძიება დროულად დასრულდება.

– თუ პროკურატურა გამოძიებას ბოლომდე არ მიიყვანს და არ დავრწმუნდებით, რომ ყველა დამნაშავე დაისაჯა, მე უფლებას დავიტოვებ, სრულიად სხვა ვერსია გამიჩნდეს, რომელზე საუბრისგანაც ახლა თავს შევიკავებ, – აღნიშნა ინგა გრიგოლიამ.

შეგახსენებთ, რომ ჟურნალისტის განცხადებით, მას პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გამოქვეყნებით ემუქრებიან. (pia.ge)

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## კაცი, რომელიც 2749 წელში მოხვდა და უკან დაბრუნდა



ალ ბილეკი, რომელიც 1943 წელს ლეგენდარული ფილადელფიური ექსპერიმენტის მონაწილე გახლდათ, დროში საკუთარი მოგზაურობის შესახებ ყვება. ამერიკელის თქმით, მან 2137 წელს ექვსი კვირა იცხოვრა, ხოლო ორი წლით 2749 წელში მოხვდა.

მამაკაცმა 1943 წელს აღწერა მომავლის მოვლენები, რომლებიც დღეს უკვე რეალობად იქცა. ბილეკი ირწმუნება, რომ რვა ასწლეულის შემდეგ პლანეტაზე სოციალისტური წესრიგი დამყარდება სახელმწიფოს გარეშე, კლიმატურ ცვლილებებს კი კატასტროფული შედეგი ექნება.

1943 წლის 30 აგვისტოს ალი გემზე იმყოფებოდა, რომელიც იმავე დღეს გაქრა. მას შემდეგ, რაც ამერიკელმა სამხედროებმა ხომალდის მაგნიტიზმის შემცირება დაიწყეს, ბილეკმა გონება დაკარგა და 2137 წელს გაიღვიძა. იქ ექიმები მიღებული რადიაციისგან კურნავდნენ. ექიმები სინათლის ვიბრირებად ხელსაწყოს იყენებდნენ, რომელმაც პაციენტი სრულად გამოაჯანმრთელა.

აღმოჩნდა, რომ გლობალური კლიმატური ცვლილებები 2025 წელს დაიწყო და ჩვენი პლანეტა ამოუცნობ მდგომარეობამდე გარდაქმნა. მსოფლიო ოკეანის დონე იმდენად აიწია, ამერიკის შტატი ფლორიდა მთლიანად დაიტბორა. მდინარეები შეერთდნენ. ამერიკის ინფრასტრუქტურა განადგურდა.

2137 წელს, ბილეკის თქმით, ამჟამინდელი ამერიკის ტერიტორიაზე ლოკალური საომარი მდგომარეობაა, ამასთანავე, ამერიკის ცენტრალური მმართველობა აღარ იარსებებს.

ადამიანები შეძლებენ, ხელოვნური პოლუსის სტრუქტურა შექმნან, რომელიც შერეული მაგნიტური პოლუსების კატასტროფას აღმოფხვრის. კატაკლიზმების, მესამე მსოფლიო ომის და ახალი დაავადებების გამო პლანეტის მოსახლეობა 300 მილიონ ადამიანამდე შემცირდება.

მალე მესამე მსოფლიო ომი დაიწყება, სადაც რუსეთი და ჩინეთი ამერიკისა და ევროპის წინააღმდეგ იბრძვის. ეს უკანასკნელნი დამარცხდებიან, განსაკუთრებით ცუდ დღეში ამერიკა ჩავარდება, შტატები არსებობას შეწყვეტს. ამ ომში ბირთვულ იარაღს გამოიყენებენ, თუმცა ინოვაციური ტექნოლოგიები დედამიწის რადიაციისგან განთავისუფლებას მოახერხებენ.

ამერიკელი ირწმუნება, რომ შემდეგ 2749 წელში მოხვდა, სადაც მსოფლიო ოკეანეზე გადაადგილებადი ქალაქები ნახა. მსოფლიოს მართავდა კომპიუტერი, რომლის ინტელექტუალურმა შესაძლებლობებმაც მთელი კაცობრიობის ჯამურ ინტელექტს გადააჭარბა. განვითარდა ტელეპათია. სახელმწიფოები გაქრნენ, ხოლო ადამიანებმა, რომლებმაც განვითარების ახალ საფეხურს მიაღწიეს, ერთად ცხოვრება მოახერხეს. მსოფლიოს მოწყობის სტრუქტურა სოციალისტურია – ყველა ადამიანს ყველაფერი ჰქონდა, რაც სჭირდებოდა.

ალ ბილეკმა არ იცის, როგორ მოხვდა მომავალში და არც ის, როგორ მოახერხა უკან დაბრუნება. ბილეკის მონათხრობს ბევრი ცინიკურად უყურებს, თუმცა ის ყველას აფრთხილებს, რომ მომავლის შეცვლა შესაძლებელია, საჭიროა თავიდან ავირიდოთ გლობალური კონფლიქტები და მოვუფრთხილდეთ პლანეტას.

*ambebi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## „არ გაზარდოთ სწავლული ურჩხულები და ჭკვიანი ფსიქოპათები“ – ომგამოვლილი პედაგოგის დამაფიქრებელი წერილი კოლეგებს



ერთ-ერთი სკოლის დირექტორი ყველა მასწავლებელს, ვისაც სამსახურში იღებდა, ერთნაირ წერილს სწერდა. მართალია, წერილები მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან რამდენიმე წელიწადში დაიწერა, მაგრამ მათი შინაარსი დღესაც გასათვალისწინებელია ყველა ადამიანისთვის, ვისაც მომავალი თაობის აღზრდა ევალება. გთავაზობთ ამ წერილს:

„ძვირფასო მასწავლებელო!

მე საკონცენტრაციო ბანაკი გამოვიარე და ისეთი რამ ვნახე, რაც ადამიანის თვალს არ უნდა ენახა.

– ვნახე, როგორ აგებდნენ უნიჭიერესი ინჟინრები გაზის კამერებს.

– ვნახე, როგორ წამლავდნენ კვალიფიციური ექიმები ბავშვებს.

– ვნახე, დახელოვნებული მედდები როგორ ხოცავდნენ ახალშობილებს.

– ვნახე, როგორ ხვრეტდნენ და წვავდნენ უნივერსიტეტების წარჩინებული კურსდამთავრებულები ქალებსა და ბავშვებს.

ამიტომაც არ ვენდობი მხოლოდ განათლებულობას და გთხოვთ: დაეხმარეთ მოსწავლეებს, რომ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ. თქვენმა ძალისხმევამ სწავლული ურჩხულები, განათლებული ფსიქოპათები და ჭკვიანი მანიაკები არ უნდა წარმოშვას.

კითხვა, წერა, არითმეტიკა მაშინ არის მნიშვნელოვანი, როცა ბავშვებს უფრო გაადამიანურებაში ეხმარება“.

*mshoblebi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## 7 შვილის დაკარგვის შემდეგ, ამერიკელმა წყვილმა 5 ახალი გააჩინა



წყვილმა, რომელსაც 2011 წელს ხანძრის გამო 8 შვილიდან 7 დაკარგა, 2016 წლისთვის შვილების წინანდელი რაოდენობა თითქმის აღადგინა.

ჯანელ და ტედ კლუზებს ტრაგედიის შემდეგ 4 ბავშვი გაუჩნდათ და მეხუთეს ელოდებიან.

2011 წელს კლუზები თავიანთ ფერმაში მუშაობდნენ, როცა მოულოდნელად სახლს ცეცხლი გაუჩნდა და სახლში მყოფი ბავშვები კვამლით გაიგუდნენ. ცეცხლმოკიდებული სახლიდან გამოღწევა მხოლოდ 3 წლის ლეამ მოახერხა და მშობლებსაც ტრაგედიის შესახებ სწორედ მან გააგებინა.

„ასეთ შემთხვევას ვერასოდეს დაივიწყებ, მაგრამ წინსვლა უნდა გააგრძელო“, – განაცხადა ჯანელ კლუზმა. ჯანელი კითხვაზე, რამდენი ბავშვი ჰყავს, ყოველთვის პასუხობს, რომ 12.

ფერმერები ძველ საცხოვრებელ ადგილას დარჩნენ და შვილების ძველი რაოდენობის სრულად აღდგენას აპირებენ.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ამერიკელმა შემთხვევით ცოლის 400-ათასიანი ბეჭედი გადააგდო



ზოგი განძს ეძებს და ზოგმა სად წაიღოს, არ იცის. ბერნი სკატერმა კი თავისი ცოლის 400 ათას დოლარად შეფასებული საქორწილო ბეჭედი ნაგავს გააყოლა.

გარემოს დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები თურმე ბერნის სახლთან ახლოს, თავის საქმე აკეთებდნენ, ბერნმაც შენიშნა და თავისთან მიიხმო, რათა კონტეინერში ქაღალდის ხელსახოცები ჩაეყარა. ერთ-ერთ ხელსახოცში კი 12.5-კარატიანი ბრილიანტის ბეჭედი აღმოჩნდა.

თურმე, ცოლმა ბეჭედი მოიხსნა და იქვე, სამზარეულოს მაგიდაზე დადო. რას იფიქრებდა, თუ ეს ბრდღვიალა ბეჭედი თავის ქმარს ნაგავში აერეოდა.

მოგვიანებით, წყვილმა იგრძნო, რომ რაღაც სახლში არასაკმარისი სინათლე იყო და აღმოაჩინეს, რომ ქალის ხელიდან ბრილიანტი აღარ ანათებდა. დაედევნენ ნაგვის მანქანას და ჰოი საოცრებავ, 25-წუთიანი ძებნის შემდეგ წყვილმა მოძულებული განძი დაიბრუნა.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## რატომ არის სხვისი ცოლი უფრო ტკბილი?



დიდი ხნის წინ, ღმერთმა ათი ადამი გამოძერწა. ერთ-ერთი მათგანი მიწას ამუშავებდა, მეორე ცხვრებს მწყემსავდა, მესამე თევზაობდა.... ერთხელ, ათივე ადამი შემოქმედთან მივიდა თხოვნით:

– ღმერთო, თითქოს ყველაფერი გვაქვს, მაგრამ რაღაც გვაკლია. მოვიწყინეთ.

ღმერთმა მათ ცომი მისცა და უთხრა:

– თითოეულმა თქვენგანმა გამოძერწოს თავისი გემოვნების ქალი, ვისაც როგორი მოსწონს, ისეთი: სრული, გამხდარი, მაღალი, დაბალი... მე კი მათ სიცოცხლეს შთავბერავ.

ამის შემდეგ ღმერთმა გამოიტანა თასით შაქარი და თქვა:

- აქ შაქრის 10 ნატეხია. თითოეულმა აიღეთ თითო და აჭამეთ თქვენს ცოლს, რათა მათთან თქვენი ცხოვრება ტკბილი იყოს.

მართლაც ასე მოიქცნენ.

უცებ ღმერთი შეიჭმუხნა:

– თქვენ შორის ვიღაც მატყუარაა, რადგან თასზე შაქრის 11 ნატეხი იდო. ვინ აიღო ზედმეტი?

ყველა დადუმდა.

ღმერთმა წაართვა მათ ცოლები, ერთმანეთში აურია, შემდეგ კი ათივე ადამს არეულად დაურიგა.

მას შემდეგ ათიდან ცხრა მამაკაცი ფიქრობს, რომ სხვისი ცოლი უფრო ტკბილია,...რადგან რომელიღაცამ შაქრის ზედმეტი ნატეხი შეჭამა...და მხოლოდ ერთმა ადამმა იცის, რომ ყველა ქალი ერთნაირია, რადგან შაქრის ზედმეტი ნაჭერი თავად შეჭამა.

*plus.kvira.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## საუდის არაბეთის მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ქალები... ძუძუმწოვრები არიან




ჯერ კიდევ გუშინ ამ ქვეყანაში ქალებს საყოფაცხოვრებო ნივთად აღიქვამდნენ, დღეს ისინი „დააწინაურეს“ და იმდენი უფლებები მისცეს, რომლებიც სხვა ქვეყნებში ცხოველებს აქვთ. საუდის არაბეთის მეცნიერთა კოლეგია საოცარ გადაწყვეტილებამდე მივიდა. მათ გადაწყვიტეს, რომ ქალი ძუძუმწოვართა რიცხვს განეკუთვნება და ამიტომაც იგივე უფლებები უნდა ჰქონდეს, როგორიც, მაგალითად, აქლემს ან თხას აქვს. „საუდის არაბეთის ამ „ანთროპოლოგიურ“ აღმოჩენას მთელ მსოფლიოში დასცინიან“, – წერს ფრანგული ჟურნალი. უფლებადამცველთა თქმით, ცოტა უფრო მეტი დროა საჭირო და ქალები, რაც მათ ეკუთვნით, ყველა უფლებას მიიღებენ.

*plus.kvira.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ტყუპი დები, რომლებსაც საერთო ბოიფრენდი ჰყავთ




ტყუპი დები, 30 წლის ანა და ლუსი დეკინქუები ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან, უყვართ ყველაფერი ერთნაირი და ეს სიყვარული იმდენად მძაფრია, რომ გოგონებს ბოიფრენდიც კი საერთო ჰყავთ.

„ჩვენ ადრეც გაგვინაწილებია ბოიფრენდები, მაგრამ წინა ბიჭებს ჩვენი სიახლოვის არ ესმოდათ. ბენი კი სულ სხვანაირია, ისიც ტყუპისცალია და ხვდება ჩვენს გრძნობებსა და სურვილებს“, – განაცხადეს ტყუპებმა ერთ-ერთ ავსტრალიურ ტელეშოუში.

ახლა ბენი გოგონებთან ერთად ერთ ოთახში ცხოვრობს ტყუპების დედის სახლში და სამივენი ძალიან ბედნიერები არიან.

აღსანიშნავია ისიც, რომ გოგონებმა პლასტიკური ოპერაციებიც კი ზუსტად ერთნაირი გაიკეთეს.

*dorni.ge*

გვერდი მოამზადა დარინა ქამადაძე 593 19-85-99

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. წრილი სისხლძარღვი
2. აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო
3. ნანგი, ბინადრობს ინდოეთში
4. მოგზაური, მკვლევარი თურ ...
5. მოკრივე ... პოლოფილდი
6. კუნძული აფრიკასთან
7. ოპერა „სევილიელი ..."
8. მამუნის სახეობა
9. არამისის ფსევდონიმი (დიუმა)
10. გეომეტრიული ფიგურა
11. შტატი აშშ-ში
12. დადებითი ელექტროდი
13. მევიოლინე ... ისაკაძე
14. მოჭადრაკე ალექსანდრია
15. მსახიობი ... კეიჯი
16. მომღერალი ... რიდი
17. მხ/ფ „ტრუფალდინო ..."
18. სახელმწიფო ... და ტობაგო
19. ვაგონმაცივარი
20. რომაელი იმპერატორი
21. ბაგე
22. „ჯეინ ეარი" ავტორი
23. წრეების შემოსახაზი ხელსაწყო
24. ცხელი ქარი ჩრდ. აფრიკაში
25. ცის ღმერთი ბერძნულ მითებში
26. ბიჭუნა მფრინავი ქომებით
27. იაპონური არაყი
28. სოფელი ქარელის რაიონში
29. ოთახი მთავარ შესასვლელთან (თეატრ.)
30. მსახიობი ... ნიკულინი
31. მშობელი
32. საბუნებისმეტყველო მეცნიერება
33. მსახიობი რიჩარდ ...
34. იაპონური ფულის ერთეული
35. ლორის საქმელი
36. გამის ნოტი
37. „... ოკეანის საიდუმლოება"
38. ძროხის ნაშიერი
39. კომპოზიტორი მოთა ...
40. ცხენის კუდის ბალანი
41. სკანდინავიური ნივთი
42. ჩარიზი
43. მისი დედაქალაქი ტოკიო
44. ქალაქი იმერეთში
45. საქუდე თბილი ქება
46. ტურგენევის მოთხრობა
47. მაგნიტი
48. შესაყრავი სახლის ბოლოში
49. სტადიონი ერევანში
50. სახელმწიფო აფრიკაში
51. მხ/ფ „ჩვენი ..."
52. სახელმწ. ცენტრ. ამერიკაში
53. სრული გამარჯვება ძიუდოში
54. გოლიათი ქართ. ზღაპრებში
55. მისი დედაქალაქი დელი
56. ფეხბურთის სახლი
57. უფულო, უქონელი
58. კომპოზიტორი ... კალმანი
59. წრილი (ძვ.)
60. მხატვარი ... აბირ
61. როგორიც ... ისეთიც ბეჭიო
62. ბოჭკოვანი მცენარე
63. ვრცელი ველები აფრიკაში
64. ფულის კუპიურა
65. მხ/ფ „... ძა-ძა"
66. ძვ. თბილისური მიმართვა
67. თავად აზნაურულ. წოდება ინგლისში
68. თევზის ქვიშ
69. მსახ. ... ჯესიკა პარკერი
70. რეჟისორი ... დამიანი
71. ცნობილი პესი ეგვიპტეში
72. შესახედაობა
73. ავგა-როზი
74. ებრაული ენა
75. მომღერალი ... კალასი
76. „სამი მუშკეტერის" კარდინალი
77. ბოჭკოვანი მცენარე
78. მეომრის ლითონის საფარველი
79. ცომის ნაწარმი
80. კონან დოილი. „... ძაღლი"
81. ანტილოპის სახეობა
82. რეპტილია ზოგადად
83. ზამბახი
84. მსახიობი ... რიჩი
85. მსახიობი ... პიტი
86. ინგლისური ლუდი
87. მსახიობი ჯუდ ...
88. საჭურნალო მცენარე
89. გადია
90. მდინარე სანკტ-პეტერბურგში
91. მტაცებელი ფრინველი
92. ჯუფა სახელმწიფო ევროპაში
93. მსახიობი ... სხირტლაძე
94. ნადიმის სუფრა (?) გვერ
95. სამთო კურორტი შვეიცარიაში
96. მეფე-კლეობის საფეხბური აპარატი
97. მსახიობი ვივიენ ...
98. მსახიობი ბრედ ...
99. სოფელი გურის რაიონში
100. ნადირობა აფრიკაში
101. წინაპრების დედალი
102. სიმინდის ყვავილედი
103. ჩეხური ხალხური ცეკვა
104. ინის საპირისპირო
105. ძვირფასი ქვები
106. კინოკომპანია ... იგორ
107. ინდური ნიგვზის წვენში
108. მსახიობი ... გიბსონი
109. ნამუსი
110. ლითონის ქურქელი პირიანი
111. მხატვარი იენსტროგი
112. წელის სამგზავრო ქურქელი
113. რეჟისორი ... შახნაზაროვი
114. ახლის განვითარების პროცესი ბიოლოგიაში
115. საქართველოს დედაქალაქი
116. ფერი, აბუ ...
117. მექსიკური არაყი
118. ბრიტანეთის გასამხედროებული ოთახი
119. ფრინველის თბილისის ლუდიდან
120. ბარაქა
121. ქალაქი დას. საქართ.
122. ... ხრენნიკოვი
123. მხატვარი ათო ...
124. ავტოსახაო შემთხვევა
125. მერიმე. „... ფალკონე"
126. უდაბნო აფრიკაში
127. ერთნაირი არაყი
128. უცნობი მისა: ... ინფორმაცია
129. „მაუგლი" დათვი
130. ტაბლეტი
131. მომღერალი ... აგილერა
132. წვრილი ბაგეები, აბუ ...
133. შემწვარი სტოპის სპორტი
134. მორიგეობა გემზე
135. ნათურის აგურული საფარი
136. სოფელი საჩხერის რაიონში
137. მდინარე ესპანეთში
138. ნარინჯისფერი მომწიფული ...
139. მხ/ფ „... წყნეთ ... ლი"
140. ლეგის მჭამელი ფრინველი
141. ავსტრიის დედაქალაქი
142. მსახიობი ... სალრაძე
143. მუხის ნაყოფი
144. მსახიობი ... პაჩინო
145. მოსალოდნელი კლასიკოსი იაპონიაში





CIAN MAGENTA YALLOW BLACK




**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


*გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას*

ფრიდონ ინჯია, ოჯახით, ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს ზურაბ ჩხაიძეს მეუღლის,

**მარიამ გაბრიჩიძის**

გარდაცვალების გამო.

*გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას*

## მეცნიერები: წყალი კვებაზე დიდ გავლენას ახდენს



– რა გავლენას ახდენს წყალი და ბოსტნეული ადამიანის კვების რაციონზე? სწორედ ამ კითხვაზე პასუხის მოძიება სცადეს ამერიკელმა მეცნიერებმა და საკმაოდ საინტერესო შედეგებიც მიიღეს.

ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ასაკის ადამიანებმა: 3-5 წლის ბავშვებმა, 19-23 წლის ახალგაზრდებმა და პენსიონერებმა. რამდენიმე დღის მანძილზე მოხალისეებს სხვადასხვა მენიუს სთავაზობდნენ, რომელშიც ბოსტნეული და სასმელები შედიოდა.

ანალიზმა აჩვენა, რომ სკოლამდელი ბავშვები, რომლებიც სტაფილოსა და ტკბილ წიწაკას მიირთმევდნენ, უპირატესობას ანიჭებდნენ ჩვეულებრივ წყალს, ვიდრე ტკბილ სასმელებს. მათზე უფროსებისთვის კი სასმელი წყალი ნაკლებად მისაღები აღმოჩნდა.

ყველაზე მთავარი დასკვნა, რომელიც მეცნიერებმა ამ კვლევიდან გამოიტანეს, არის ის, რომ კალორიული საკვებისა და ტკბილი სასმელების რეგულარული მიღება ადამიანის ორგანიზმის გაუწყლოებას და როგორც შედეგი, გასუქებას, შაქრიან დიაბეტსა და შესაბამისად, ძალიან დიდ პრობლემებს იწვევს. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, მიჩიგანის უნივერსიტეტის სპეციალისტები აპირებენ, ჩვეულებრივი სასმელი წყლის პროპაგანდის არნახული მასშტაბების მქონე კამპანია წამოიწყონ.

***wordscience.org***

## დღის რომელ მონაკვეთშია უკეთესი წამლების მიღება?



ეჰ, რას ვიზამთ, წამლების ყლაპვის გარეშე არ გამოდის ხოლმე ხანდახან ცხოვრება, ყველაზე საშინელი კი ის არის, ზოგ ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ სჭირდება მედიკამენტოზური მკურნალობა. მოკლედ, საკითხი საკმაოდ აქტუალურია და ვფიქრობთ, ეს სიახლე დაგაინტერესებთ.

ექსპერტებმა დაადგინეს, რომ საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, როდის მიიღებს ადამიანი წამალს. აქედან გამომდინარე, უნდა ვიცოდეთ, როგორ გამოვიყენოთ მედიკამენტები უფრო ეფექტურად.

კავშირს წამლის დალევასა და დღის მონაკვეთს შორის შემდეგნაირად ხსნიან: მათი განმარტებით, ჩვენი ორგანიზმი ბიოლოგიური საათებით ცხოვრობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ხდება თავის ტვინის გარკვეული მონაკვეთების კონტროლი. ასევე, კონტროლდება იმუნური სისტემა, სხეულის ტემპერატურა, წნევა, ჰორმონების გამომუშავება და ასე შემდეგ. აქედან გამომდინარე, წამალი უფრო ეფექტურად კონკრეტულ დროს მოქმედებს.

ასე მაგალითად, გულის პრეპარატების მიღება უმჯობესია დილას, რადგან დღის სხვა მონაკვეთში მათი ეფექტურობა დაიწევს. ჰიპერტონიის, ინსულტისა და სისხლის წნევის კონტროლის საშუალებები ადამიანმა უნდა დალიოს საღამოს ან ღამით. გარდა ამისა, მათი ეფექტურობა მატულობს მაშინ, როცა აბების მიღება დაახლოებით ერთსა და იმავე დროს ხდება. მედიკოსები ამ ყველაფრის გათვალისწინებას გვირჩევენ, რათა საკუთარ თავს უკეთესი და უფრო ეფექტური დახმარება აღმოვუჩინოთ.

***medkarta.com***



## მამაკაცები ოფისების ბაქტერიებით „მომმარაგებლებად“ გამოაცხადეს

ალბათ, რამდენი ქალი აიწევს წარბს და მედიდურად იტყვის – აი, ხომ ვამბობდი, კაცები აბინძურებენ ჩვენს სამუშაო ადგილებსო.

რას ვიზამთ, მეცნიერებიც მათ მხარეზე არიან და ამტკიცებენ, რომ სწორედ ძლიერი სქესის „ფუნქციაა“ ოფისების ბაქტერიებით გაჯერება, რადგან მამაკაცებს სისუფთავის დაცვა, უბრალოდ, არ შეუძლიათო.

სულ ახლახან ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, „მამაკაცურ“ ოფისებში კატასტროფული რაოდენობით ბაქტერიები იქნა აღმოჩენილი.

კერძოდ, სპეციალისტებმა ამერიკის სამი ქალაქის 90 ოფისში 500-ზე მეტი სახეობის ბაქტერიას მიაკვლიეს. სინჯების აღება მოხდა სამუშაო მაგიდებიდან, კლავიატურებიდან, კომპიუტერის მაუსებიდან, ტელეფონებიდან და სკამებიდან.

აღმოჩნდა, რომ ყველაზე დიდი რაოდენობით, ბაქტერიები სკამებსა და ტელეფონებზე იმალება.

რაც შეეხებათ ქალებს, მათ შემთხვევაში, ნაპოვნია 200-მდე ბაქტერია, რომელიც „კაცურ ბაქტერიებთან“ შედარებით ნაკლებად საშიში აღმოჩნდა.

***myjane.ru***

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**18 მარტი:** შეეცადეთ, დღეს კეთილი და გულისხმიერი იყოთ. მეტი ყურადღება მიაქციეთ, რა ხდება თქვენ გარშემო და თუ ვინმეს დახმარება დასჭირდება, დაეხმარეთ.

**კურო 22.04-21.05**

**18 მარტი:** გარკვეულ სიტუაციებში, როცა მოსახდენი გარდაუვალი გეგონებათ, ბოლო მომენტში რაღაცა ძალის დახმარებით, უსიამოვნებებს აიცილებთ თავიდან.

**ტყუპები 22.05-21.06**

**18 მარტი:** საქმეებში წარმატების მიღწევის კარგი შანსი გაქვთ. ეს ორმაგად სასიამოვნო იქნება, რადგან შედეგები თქვენი გათვლების იდენტური იქნება.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**18 მარტი:** შეეცადეთ, დაარწმუნოთ თქვენი მეგობრები და კოლეგები, რომ ჩვეულებრივი ამბებიც კი შეიძლება შეიცავდეს სიღრმისეულ აზრს, რომლის გამოვლენაც საინტერესოა.

**ლომი 23.07-22.08**

**18 მარტი:** რაღაცის ძებნას ისე დაიწყებთ, დარწმუნებული არ იქნებით, რა გინდათ. ამაზე დროსა და ენერგიას ტყუილად დახარჯავთ. გიღირთ კი წვალებად?

**ქალწული 23.08-22.09**

**18 მარტი:** დილიდანვე თავს რჩეულად იგრძნობთ. ამ შეგრძნების შედეგები სხვადასხვაგვარი იქნება, მაგრამ დღე მოსაწყენი ნამდვილად არ იქნება.

**სასწორი 23.09-22.10**

**18 მარტი:** ზომაზე ბევრად მეტად გამჭრიახი და პრაგმატული იქნებით. ნუ ჩაიციკლებით მხოლოდ საქმეებზე, ცხოვრებაში სიამოვნების მიღება სხვა რამითაც შეიძლება.

**მორიელი 23.10-21.11**

**18 მარტი:** საშიში ადამიანი იქნებით. შესაძლოა, მიზნის მიღწევის მცდელობაში არავინ არ დაინდოთ, ვინც გზაზე გადაგეღობებათ. შეეცადეთ, თავდაჭერილი იყოთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**18 მარტი:** თქვენსა და თქვენი მიზნების შესრულებას შორის ვერაფერი ჩადგება. დღეს თქვენი საუკეთესო თვისება საკუთარ თავზე ხუმრობა იქნება.

**თხის რქა 22.12-19.01**

**18 მარტი:** დღეს სხვათა პრობლემებით თავი არ დაიტვირთოთ, საკუთარიც თავზე საყრელი გექნებათ. ალტრუიზმი კარგი რამ არის, მაგრამ ეს სხვა დროს გააკეთეთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**18 მარტი:** შეიძლება ისეთი მოვლენის თვითმხილველი გახდეთ, რომ თქვენი წარმოდგენა სამყაროზე, შეიცვალოს. სანამ ამ ამბავს ვინმეს მოუყვებით, დაფიქრდით, ღირს კი?

**თევზები 19.02-20.03**

**18 მარტი:** გართობა და მხიარულება უფასოდაც შეიძლება, მით უმეტეს, თუ ფული უფრო მნიშვნელოვან რამეში გჭირდებათ. შეეცადეთ, არავის გავლენის ქვეშ არ მოექცეთ.


**გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

**„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი**

**(15 საათიდან)**



**განცხადება**

შევისყიდი ძველებურ ნივთებს: ხმლებს, ხანჯლებს, ნახშირის სამოვრებს, მედლებს, ორდენებს, ვერცხლეულს, ძველებურ დამუშავებულ ქარვის, მარჯნისა და ფირუზის მძივებს. რუსულ მეფისდროინდელ მონეტებსა და ქაღალდის ფულს 1898 წლამდე, რუსულ წიგნებს 1940 წლამდე სამხედრო, ისტორიულ, კავკასიურ თემატიკებს. ლენინგრადისა და გერმანულ ფაიფურის ფიგურებს, ძველებურ რკინის მასიურ ქანდაკებებს. ძველებურ ავტორიან ნახატებს, ძველებურ ოქროსა და ვერცხლის სამკაულს, ბინაზე მომსახურებით.

**555 125 770; 596 777 773**


## ადამიანი საკვების მიღებიდან 3 საათში სუქდება



როგორც აღმოჩნდა, არცთუ დიდი დროა იმისთვის საჭირო, რომ ადამიანმა ზედმეტი კილოგრამები აკრიფოს.

სპეციალისტების განმარტებით, ადამიანის ცხიმოვანი ფენების ცვლილება საკვების მიღებიდან 3 საათში იწყება.

კვლევებმა აჩვენა, რომ პირველ რიგში, ცხიმები წელის მიდამოებში გროვდება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანი აგრძელებს დიდი რაოდენობით საკვების მიღებას, ცხიმები უკვე სხეულის სხვა ნაწილებშიც ინაცვლებს.

ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ცხიმი სისხლის ნაკადში საკვების მიღებიდან უკვე ერთ საათში ხვდება და მისი უდიდესი ნაწილი ცხიმოვან ქსოვილებს ემატება.

სპეციალისტები იმასაც ამბობენ, რომ წელი – ცხიმების შენახვის დროებითი ადგილია და იქიდან მისი მოშორება გაცილებით ადვილია, ვიდრე თეძოებიდან ან ბარძაყებიდან.

***kazakh-zerno.kz***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



კოტე სექსშოპში შევიდა.

– აი, ის გასაბერი ქალი მანახეთ, თუ შეიძლება.

– ინებეთ, ბატონო.

– გამოშვების თარიღს ხომ ვერ მეტყვით?

– 2010 წლის 25 ივლისი.

– ესე იგი კირჩხიბია, ხომ? არა, არ მინდა მე ტყუპები ვარ და ჰოროსკოპით ერთმანეთს ვერ ვეწყობით! სხვა მანახეთ...

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


**გაზეთი „ალია“**

გამოდის ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს

გამომცემელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი (577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე 599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი



**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**



**სარეკლამო სამსახური**

☎ 2-333-170

**577-444-442**

მიხეილ სახვაძე

221 21 80 (შიდა ნომერი 108)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 10-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.20